# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 2 ივნისი 1998 №82 (617) ფასი 50 თეთრი

## ეროვნული ყოფის მოდელი ეროვნულ სტადიონზე

### ძაღლი პატრონს ვერ ცნობს

ვინ მოთვლის, რამდენი მნიშვნელოვანი მატჩისთვის უმასპინძლია ჩვენს ეროვნულ სტადიონს, რამდენი ტიტულოვანი გუნდი მიუღია და რამდენი ვარსკვლავი გაქცეულა მის მწვანე გაზონზე.

მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელ, თვითმყოფად ჩემპიონატს ვატარებთ, ჩვენს ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვალა. ახლა არა აქვს მნიშვნელობა უარესობისკენ თუ უკეთესობისკენ. მთავარია, შეიცვალა. ერთი რამ უცვლელი დარჩა — დღემდე ვერაფრით დარეგულირებულა სტადიონზე შესვლის საქმე. ტრიბუნაზე უბილეთო გულშემატკივარი უფრო ადვილად ხვდება, ვიდრე ბილეთიანი. ეს პრობლემა საერთაშორისო მატჩებზე იჩენს ხოლმე თავს, თორემ ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოს" სანახავად თითო-ოროლა კაცი თუ დადის.

30 მაისს გორში გახლდით, ახალგაზრდული გუნდის თამაშზე. იქ სტადიონზე შესვლის პრობლემა არ მქონია. გორელებს თადარიგი ადრიანად დაეჭირათ. სტადიონის ერთადერთ შესასვლელთან პოლიციელებს ორმაგი კორდონი მოეწყოთ და ჟურნალისტებს საგანგებო საშვებით ატარებდნენ, ხოლო გულშემატკივარი ვალდებული იყო, ბილეთი წარედგინა. სხვაგვარად სტადიონზე ვერავინ მოხვდებოდა.

ჩამოვედი თბილისში. ეროვნულ სტადიონზე მრავალი შესასვლელიდან მხოლოდ ორი იყო ღია. უახლოესს მივადექი. ვუჩვენებ პოლიციელს ჟურნალისტის სააკრედიტაციო ბარათს, ის კი მეუბნება, აქედან ვერ გაგატარებთ, ცენტრალურ შესასვლელთან მიბრძანდითო. მივედით, ბატონო, მაგრამ იქ ბილეთიანებს და უბილეთოებს ზედახორა მოეწყოთ. მივაღწიეთ გამშვებ პუნქტამდე და თქვენც არ მომიკვდეთ, არ გვიშვებენ. ახსნა-განმარტების დრო სად იყო. სასწრაფოდ სამლარიანი ბილეთი შევიძინეთ და როგორც იქნა სტადიონზე მოვხვდით.

მალე ის ორი ღია ჭიშკარიც დაიკეტა და ხალხმა შტურმით შეაღწია სტადიონზე. მერამდენედ ხდება მსგავსი ამბები. მანამ ჭკუას ვერ ვისწავლით, სანამ ზედახორას მსხვერპლი არ მოჰყვება. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს...

ვინ იცის, ფედერაციის ხელმძღვანელებისთვის რამდენჯერ მოგვითხოვია ახსნა-განმარტება, მაგრამ 30 მაისს მათ ჩვენზე მეტი გასაჭირი დაადგათ.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი, ალექსანდრე ჩივაძე და გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე საქართველო — რუსეთის მატჩზე კიშინიოვიდან ჩამოფრინდნენ. პირდაპირ სტადიონისკენ გაეშურნენ. შესასვლელთან ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ნოდარ ანდრიაძეს გადაეყარნენ. ვიცე-პრეზიდენტი რუს სტუმრებთან ერთად გორიდან მოიჩქაროდა. წარმოიდგინეთ, სტადიონზე არც მათ უშვებდნენ. მე საშა ვარ, ჩივაძე — უხსნის თურმე ქართული ფეხბურთის ვარსკვლავი და ამჟამად ფედერაციის თავკაცი. არ ვიცი, არ გიცნობთ, ნაბრძანები გვაქვს, არავინ შევუშვათო, მიუგეს პასუხად. ფედერაციის ხელმძღვანელებს ისღა დარჩენოდათ, სტადიონიდან გამოეძახათ ერთ-ერთი თანამშრომელი. კიდევ კარგი, ჩვენში მობილური ტელეფონი მოდაშია და ბევრსაც მიუწვდება ხელი, თორემ ხომ შეიძლებოდა, სტუმრებთან სირცხვილი გვეჭამა. არა, სირცხვილს მაინც ვერ ავცდით, როგორია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს რუსი კოლეგების თვალწინ სტადიონზე არ უშვებენ.

მერე იყო ბოდიშები და განმარტებები რუსების წინაშე, ესენი ახალი თანამშრომლები არიან, ჯერ საქმეში სათანადოდ ვერ ერკვევიანო. პირტიტველა, ძალიან ახალგაზრდა ბიჭებს იქ არავინ დააყენებდა, ხოლო იცდაათს მიტანებულმა კაცმა ალექსანდრე ჩივაძე კი უნდა იცოდე, ვინ არის.

ახლა ბილეთიანებზე და უბილეთოებზეც მოგახსენებთ. ფედერაციის ვეცე-პრეზიდენტ ნოდარ ანდრიაძის განცხადებით, მხოლოდ 21 ათასი ბილეთი გაიყიდა. სტადიონის ტრიბუნებზე დაახლოებით 60 ათასი გულშემატკივარი იჯდა.

იხილეთ მეორე გვერდი



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ჩივაძე და კვინიკაძე ეროვნულის კარიბჭესთან აყურყუტეს

## სამხილი ფედერაციას:

### სიონის მესვეურებმა მერანთან და ოდიშთან ჩაწყობა სცადეს

კარგა ხანია, ჩვენში ჩაწყობილ თამაშებზე იწერება. ტური ძვირად ჩაივლის, ერთ მატჩზე მაინც რომ არ გაუჩნდეთ ეჭვი გულშემატკივრებს, ჟურნალისტებს, სპეციალისტებს. საყოველთაოდ გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საქმის ნათელ ფერებში დახატვას ცდილობს, ყრუსა თუ ბრმის როლს თამაშობს და მსგავსს ვერაფერს ვხედავო, ამტკიცებს.

კარგა ხანია, ჩვენში ჩაწყობილ თამაშებზეა ლაპარაკი. ამ ლაპარაკში არცთუ იშვიათად ფედერაციის რომელიმე მუშაკიც ჩაერევა ხოლმე. ჩაერევა და პასუხ-სათხოვარიც მომარჯვებული აქვს — გარიგებული მატჩის თუნდაც ერთი, კონკრეტული მაგალითი დაგვისახელეთ, გამოვიძიებთ და დამნაშავეებს დავსჯითო. ამას ისეთი უტეხობით ამბობენ, გეგონება, ბოლო წლების მანძილზე ქართულ სპორტულ პრესაში არც ერთი კონკრეტული ფაქტი არ დაფიქსირებულა. სხვა თუ არაფერი, ფედერაციას „მერან" — თსუ-ს შარშანდელი მატჩის გახსენება შეუძლია, რომლის სინალდე იმ თამაშის მნახველმა ლამის ყველა ჟურნალისტმა ეჭვქვეშ დააყენა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დანიშნულება ქართული ფეხბურთის კეთილდღეობისთვის ზრუნვაა. ცხადია, ფედერაციის ხელმძღვანელობის სურვილი კეთილშობილურია, მაგრამ სხვა საქმეა, რას აკეთებენ მიზნის მისაღწევად. ჩვენც მანდა ვართ, გვსურს, ჩვენი ფეხბურთის ჭაობში ღრმად რომ ჩაფლულა, მშრალზე ამოვათრიოთ და. უფრო კი ამაზე ისე და იმდენი ვთქვათ, ფედერაციამ რომ ველარ წაგვიყრუოს.

საქართველოს IX ჩემპიონატის ძირითადი ნაწილი რომ მორჩა, ფედერაციის თავკაცობამ ამოისუნთქა, მაგრამ ზოგმა ესეც თქვა, მორჩა კი არა, მთავარი ახლა დაიწყოო. მთავარში გადათამაშება — სამი მატჩი იგულისხმებოდა, რომელთაგან პირველივე სკანდალურად დასრულდა.

— დაიწყო თუ არა სეზონი, ვთქვი, ეს კაცი გაუშვით აქედან, წყალტუბოშიც წაიკადრა და ყველა თამაშში ასე ვაჭრობს. ბოლნისში ორგანიზაცია არ დაგვიტოვებია, ძლივს მოვაგროვეთ დავალიანების გასასტუმრებელი თანხა, გძელიძეს უკლებლივ მივეცით კუთვნილი გასამრჯელო, მაგრამ დღემდე ვაჭრობდა. ეგ მწვრთნელი კი არა, ვაჭარია — თქვა „გურიასთან" 0:1 წაგებული მატჩის შემდეგ ბოლნისის რაიონის გამგებელმა გოჩა ცოფურაშვილმა.

იხილეთ მეორე გვერდი

## მარატის მარტივი რეცეპტი: ირბინე, იბრძოლე, დაარტყი



REUTERS ბართ ზიდან

პარიზში მიმდინარე საფრანგეთისლია პირველობაზე მეოთხედფინალისტების ვინაობა გაირკვა. მარატ საფინის გამარჯვების მარტივი რეცეპტი — ირბინე, იბრძოლე, ბურთი მთელი ძალით დაარტყი — მერვედფინალში ფრანგი სედრიკ პიოლინის დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა, თუმცა ტურნირის აღმოჩენად ქცეული 18 წლის რუსი ვარსკვლავურ სტატუსს ალბათ კარგა ხანს ველარ მოიშორებს.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

### ამხანაგური მატჩები

**ჰოლანდია 5:1 პარაგვაი**

ჰოლანდია: ვან დერ სარი (ედ დე გუი 46), რაიციგერი, სტამი (ბოგარდი 46), ფ. დე ბური, ნუმანი, ზეედორფი (ზენდენი 46), ვინტერი, კოკუ (დავიდსი 46), ოვერმარსი (ჯიმი ჰასელბაინკი 71), რ. დე ბური, კლუივერტი

პარაგვაი: ჩილავერტი, არსე, რივაროლა (სარაბია 46), გამარა, აიალა, კარდოსო (რამირესი 46), პარედესი (აგილერა 86), ბენიტესი, ენკისო, კანისა, კამპოსი (ბრიზუელა 63)

0:1 კამპოსი (2), 1:1, 2:1 ოვერმარსი (25, 29), 3:1 კლუივერტი (31), 4:1 რ. დე ბური (57), 5:1 ჰასელბაინკი (82)

**კაიზერი 0:4 ბულგარეთი**

0:1 ილიევი (26), 0:2 შეფერი (35ს.კ.), 0:3 ილიევი (52), 0:4 კოსტადინოვი (60)

ბუნდესჩემპიონს წინა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტთან ძირითადი შემადგენლობის მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი ჰყავდა. აქედან გამომდინარე, ჰომბურგში გამართულ მატჩში, ბულგარელები, ცხადია, გერმანელებზე უკეთ გამოიყურებოდნენ.

## ჰაიდა, ჰაილე!

გუშინ ეთიოპიელმა ჰაილე გაბრესილასიემ კიდევ ერთი რეკორდი მიუმატა თავის ისედაც შთამბეჭდავ მიღწევათა ნუსხას: ძვალტყავა აფრიკელმა 10000-მეტრიანი დისტანცია ჰოლანდიაში, ადრიან პოლენის მემორიალზე 26 წუთსა და 22,75 წამში გაირბინა, რაც კენიელი პოლ ტერგატის მიერ შარშანდელ აგვისტოს დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე ხუთი წამით უკეთესია.

9 ივნისიდან სარბიელი ყოველდღე გამოვა

# ეროვნული ყოფის მოდელი ეროვნულ სტადიონზე

დასაწყისი პირველ გვერდზე

ანდრიაძის თქმით, ყველაფერი წესრიგის დამცველთა ბრალია. თითოს სულ ცოტა, სამი ახლობელი მაინც მოჰყვება. სტადიონზე წესრიგს ათასობით კაცი აკონტროლებს, ამდენჯერ სამი კი საკმაოდ სოლიდური რიცხვი გამოდის და ერთ დღეს ფიფა-უეფადან ჩამოსული დამკვირვებელი ისეთ ამბავს წაიღებს თბილისიდან, სერიოზული სანქციები არ აგვცდება.

— ბევრი ვიფიქრეთ და ჩვენი ხალხის გასაჭირის გათვალისწინებით ბილეთის ფასად სამი ლარი დავთქვით. არც ამან გაჭრა. ბევრია სამი? კი, ბატონო, რამდენია მისალები, ვთქვათ, ერთი ლარი. ესეც ვერ გადაჭრის პრობლემას, დარწმუნებული ვარ, სულ ცოტა, 40 ათასი ისევ უბილეთოდ მოინდომებს სტადიონზე მოხვედრას.

რუსების მიღება-გასტუმრება 40 ათასი ლარი დაგვიჯდა. სტადიონიდან შემოსავლის იმედი გვქონდა. ახლა ისე მოეწყო საქმეები, წაგებაში დავრჩით. გადმოგვირიცხონ, ბატონო, ყოველ საერთაშორისო მატჩზე 50 ათასი ლარი და პირობას გაძლევთ, ყველა კარი ღია იქნება.

ვისაც ჯიბეში წითელი წიგნაკი უდევს, სტადიონზე უპრობლემოდ ხვდება, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს კი იქ შესასვლელად დიდი უსიამოვნებების გადატანა უწევს — თქვა გუშინ ფედერაციაში გამართულ მინი-პრესკონფერენციაზე ნოდარ ანდრიაძემ.

ისევ ცნობილი სცენარი. ისევ დაპირისპირება ფედერაციასა და წესრიგის დამცველებს შორის. ისევ უბილეთოთა მოზღვავება და ბილეთიანთა სამართლიანი ამბოხი. ნეტავ, როდის მოეღება ამას ბოლო?!

მაინც გვგონია, რომ ყველაფერი არასწორი ორგანიზაციის ბრალია. რითი ვერ გამოიძებნა ორასამდე პატიოსანი წესრიგის დამცველი, რომლებიც უბილეთოდ არავის გაატარებენ...

სტადიონზე შესასვლელი ყველა კარი კი ღია უნდა იყოს. არ შეიძლება, 60 ათასი კაცი მხოლოდ ორი კარიდან შევიდეს. მაშინ ზედახორაც აღარ იქნება.

დროა, იმასაც შევეჩვიოთ, რომ თუ სტადიონზე მოხვედრა გვსურს, მაშინ ბილეთის ყიდვაც არ უნდა დაგვეზაროს. მოვიქცეთ ისე, როგორც ცივილიზებულ ხალხს შეჰფერის და როცა ამას შევძლებთ, ფეხბურთის ფედერაციასაც და წესრიგის დამცველებსაც მეტს მოვთხოვთ და ისინიც რეალობას ვერსად გაექცევიან.

**მამუკა ქვანტალიანი**

# სამხილი ფედერაციას: სიონის მესვეურებმა მერანთან და ოდიშთან ჩაწყობა სცადეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

ასეთმა შეფასებამ, ცხადია, „სიონის" მწვრთნელ ანზორ გძელიძეს გული დაწყვიტა და ამ გულახდილი წერილის დაბეჭდვა გვთხოვა.

უარს როგორ ვეტყოდით, მით უმეტეს, მისმა ნათხზავმა სხვა კვალზე დაგვაყენა, გძელიძის ნაამბობით, ბოლნისის რაიონის გამგებელი და „სიონის" პრეზიდენტი შუქრი დევნოზაშვილი „მერანისა" და „ოდიშის" გარიგებულ თამაშზე დაყოლიებას ეცადნენ. არა. „სიონმა" ორივესთან წააგო, მაგრამ მთავარი სხვაა — რა ჩაწყობა და რა ჩაწყობის მცდელობა.

აგერ ჩვენ და აგერ ფედერაცია — ვნახოთ, კვლავაც წაუყრუებს თუ არა გარიგებულ მატჩებზე ლაპარაკს.

„სიონი" კი დღევანდელი მატჩის წინ ცუდ დღეშია, გუნდის ლიდერი, „გურიასთან" გაძევებული ბუბა ტყავაძე დისკვალიფიცირებულია, გიორგი ჩომახიძეს და ლავრენტი გაგუას ტრავმები აწუხებთ. ვერც ნეკნნატკენი მირზა სამხარაძეა ჯანზე. ერთი სიტყვით, ბოლნისელებმა ნაბან წყალს, შესაძლოა, ბავშვიც გადააყოლონ. ვის გაუკვირდება ასე არეულმა „სიონმა" დღეს „ივერიასთან" რომ წააგოს.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# დღეს სიონის ბედი წყდება

დღეს 17 საათზე ეროვნული სტადიონი ჩემპიონატის გადათამაშების ბოლო მატჩს მასპინძლობს. „გურიასთან" 0:1 დამარცხებულ „სიონს" პირველ ჯგუფში ადგილს ხობის „კოლხეთის" 3:0 მძლეველი ხაშურის „ივერია" შეეცილება.

თბილისი
ეროვნული
2 ივნისი

**სიონი ?:? ივერია**

მსაჯები: ა. შილაკაძე;
მ. ელიკაშვილი,
ლ. ფანიაშვილი (სამივე თბილისი);

დისკვალიფიცირებული

ტყავაძე | |



გადრი ქეთილაძის ფოტო

რაღა გაუმრთელებს ანზორ გძელიძეს ენით დაკოდილ გულს

ჩემპიონატამდე ორი დღით აგვიყვანეს კაზრეთში, ვითომ შეკრებაზე. ეგ იყო და ეგ. ბურთების მეტი არაფერი გვქონია. ფედერაციას რომ არ მოეცა, ისიც არ გვექნებოდა. ორი წლის განმავლობაში სულ 12 ბუცი იყიდეს, როცა ამ ხნის მანძილზე გუნდში 30 ფეხბურთელი მაინც იყო. როცა არ გყავს გუნდის უფროსი ადმინისტრატორი, ექიმი, „ზელიონკა" არ გაქვს, რა მოეთხოვება მწვრთნელებსა და გუნდს.

ჩემპიონატი დაიწყო, კარგი სტარტი ავიღეთ. მოვუგეთ „ბათუმს", თსუ-ს, „რუსთავს", მე-7-მე-8 ადგილზე ვიყავით. მერე რომ გუნდს ჩავარდნა ექნებოდა და ტრავმები გახშირდებოდა, ეს ჩვენ, მწვრთნელებმა კი არა, ყველა საქმეში ჩახედულმა უწყის. გუნდი მოსამზადებელ პერიოდს რომ არ გაივლის, ეს მოსალოდნელია.

„ბათუმს" რომ მოვუგეთ, პრეზიდენტის ვაჟი მოვიდა და აგდებით მითხრა, რა იყო, დღეს რა სისტემით ითამაშეთო.

22 მაისს ზუგდიდში თამაშის შემდეგ სულ ერთხელ ვითამაშეთ. ხელმძღვანელობას ვთხოვდი, 26-ში მაინც ავეყვანეთ შეკრებაზე, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მოსულიყვნენ ფეხბურთელებთან, ენუგეშებინათ, ეთქვათ, ყველაფერში მხარში ამოგიდგებითო, პირიქით, პრეზიდენტმა, თუ არ გამოხვალთ თამაშზე, თქვენი დედაცო... ფეხბურთელები ამ ინციდენტის შემდეგ გალიზიანდნენ, სულ მოიშალნენ. საკითხი დამისვეს, არ გვინდა ამათი ფული, არც თამაშზე მივალთო. მეორე დღესვე, დილას, ბოლნისში ჩავედი, დავუკავშირდი, ვისაც მართლა უყვარს ფეხბურთი და ვისი შემწეობითაც სუნთქავდა ამ წლების განმავლობაში. ესენი არიან ძმები ჯაფარიძეები. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, თამაში არ შედგებოდა.

შეხვედრის დღეს, ესე იგი 27-ში 3 საათზე ზოგი რუსთავიდან, ზოგი თბილისიდან, ზოგი ბოლნისიდან მოვგროვდით. რა მობილიზაციაზე, რა თამაშზეა ლაპარაკი.

გამგებელი ისეთ ტყუილს რომ იკადრებს, გძელიძეს ყველაფერი მიღებული აქვსო, რაღა უნდა თქვა. იქ არ არის უწყისები, ამათ სად გაექცევა.

ნახეთ ფეხბურთელებიც, ისინი თავად გეტყვიან, ვინ რა მიიღო.

გძელიძემ გაყიდა თამაში, ვაჭარიაო, რომ წერს, 30 წელია მწვრთნელად ვმუშაობ, ჩემთვის ასეთი რამ არასდროს არავის უკადრებია. ყველგან, სადაც მიმუშავია — ვანი, გალი, წალენჯიხა, სამტრედია, ტყიბული, მერანი — თუ რომელიმე ხელმძღვანელი იტყვის, რომ კარგის მეტი რამე გამიკეთებია, როგორც უნდათ, ისე დამსაჯონ. მე ყველას დავუმტკიცებ, ვინ არის გამყიდველი, ვაჭარი და კორუმპირებული...

როცა გუნდი მე-7-მე-8 ადგილზე იყო, გამგებელმა დაიბარა ყოფილი ფეხბურთელი ბადრი უგულავა და უთხრა, გუნდი უნდა ჩაიბაროო. მან უპასუხა, სანამ გძელიძის ვალი არ გაგისტუმრებიათ, გუნ- დში არ მოვალო. ვაჟკაცურად მოიქცა. ვალს რომ ვერ გადაიხდიდნენ, შეაჩერეს ეს ყველაფერი. სიტუაცია მაინც დაიძაბა, ისევ ხელფასების გამო. ერთი თვის წინ ჩატარდა კრება, სადაც ოფიციალურად დავსვი საკითხი, ასე ვერ ვიმუშავებ, ვარჯიშები ცდება, უხარისხოდ ტარდება, გუნდი კატასტროფულ მდგომარეობაშია-მეთქი. ჩემზე გაბრაზებულ გამგებელს ერთი თვის წინ ფედერაციაში დაურეკია, დებოშიორია, გუნდიდან უნდა გავუშვათო. ესე იგი, ფეხბურთელებს მხარს რომ ვუჭერ, ამიტომ დებოშიორი ვარ.

**ქუთაისთან რომ მოვიგეთ, ამოქმედდა მანქანა, გაგვიჩნდა შანსი, რომ გადათამაშებაში არ მოვხვედრილიყავით. ბატონ ნუგზარ ნავაძეს, „მერანის" პრეზიდენტს დაუწყეს ხვეწნა. მან შორს დაიჭირა.**

მთავარი მეორე ვარიანტია: ფედერაციასთან ვდგავარ. მოდიან გამგებელი და პრეზიდენტი. ზუგდიდის პრეზიდენტთან მივდივართო. პრეზიდენტს ვუთხარი, მეც წამოვალ-მეთქი. შენ არ გვჭირდებიო. გამგებელმა მითხრა, წამოდიო. წავედით. ვაკეში ისინი ნანავასთან სახლში რომ შევიდნენ, მე წამოვედი. საღამოს დავრეკე, მგონი გავაკეთეთო. არ დავიჯერე. მოვითხოვე, ზუგდიდში თამაშის წინა დღეს წავსულიყავით. უარი თქვეს. თამაშის დღეს ბოლნისიდან რაფით რომ ჩაიყვან ზუგდიდში 12 ფეხბურთელს, რა უნდა ითამაშონ. ჩემი წაყვანაც არ სდომებიათ, ფეხბურთელებს რომ არ ეთქვათ, სირცხვილიაო. მეორე მწვრთნელიც არ წამოიყვანეს. მათი მიზანი ერთი იყო. იმიტომ კი არ ზრუნავდნენ, რომ გუნდი გადათამაშებაში არ მოხვედრილიყო, არამედ იმაზე, რომ მერე ყველა გავეყარეთ, ხელფასები არ გადაეხადათ.

ძალიან მაინტერესებს, რა რეაგირებას მოახდენს ფედერაცია — აპატიებს ჩემს შეურაცხყოფას?

**ანზორ გძელიძე**

## მეორე ჯგუფი

მომავალი სეზონიდან მეორე ჯგუფში 18 გუნდი გამოვა, გავარდნილი „საპოვნელას" ნაცვლად „ყვარელი", „დინამო 2" და „ენგური" ითამაშებენ.

### XXX ტური

სამეგრელო — აკადემია 3:0
სქური — კოლხეთი 4:3
ასკ — საპოვნელა 7:1
მერცხალი — თორი 6:1
ცხინვალი — ფაზისი 3:0
მეშახტე — იბერია (ქ) 1:1
ივერია — იმერეთი 7:1
იბერია (ს) — კოდაკო 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 30 | 27 | 3 | 0 | 103:15 | 84 |
| იბერია (ს) | 30 | 23 | 4 | 3 | 76:18 | 73 |
| ივერია | 30 | 21 | 4 | 5 | 75:26 | 67 |
| კოლხეთი | 30 | 18 | 3 | 9 | 69:50 | 57 |
| აკადემია | 30 | 17 | 4 | 9 | 74:35 | 50 |
| ცხინვალი | 30 | 15 | 4 | 11 | 64:35 | 49 |
| მერცხალი | 30 | 13 | 1 | 16 | 48:57 | 40 |
| სქური | 30 | 12 | 2 | 16 | 41:67 | 38 |
| ფაზისი | 30 | 11 | 5 | 14 | 55:56 | 38 |
| მეშახტე | 30 | 11 | 3 | 16 | 43:59 | 36 |
| სამეგრელო | 30 | 10 | 5 | 15 | 45:62 | 35 |
| თორი | 30 | 9 | 6 | 15 | 47:69 | 33 |
| კოდაკო | 30 | 9 | 3 | 18 | 37:59 | 30 |
| იბერია (ქ) | 30 | 8 | 4 | 18 | 41:65 | 23 |
| იმერეთი | 30 | 6 | 1 | 23 | 37:115 | 19 |
| საპოვნელა | 30 | 3 | 2 | 25 | 27:99 | 11 |

## მესამე ჯგუფი

დასავლეთი

### XXI ტური

სულორი — ბათუმი 2 1:1
ენგური — სალხინო 3:0
გაგრა — ეგრისი 4:1
ტორპედო 2 — ოდიში 2 0:3
შუქურა — სამგურალი 2 2:1

### XXII ტური

ოდიში 2 — შუქურა 4:1
სამგურალი 2 — სულორი 0:2
ბათუმი 2 — გაგრა 4:2
ეგრისი — ენგური 1:3
სალხინო — ოქროს საწმისი 0:2

### გამოტოვებული მატჩი

ოდიში 2 — ბათუმი 2 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ენგური | 20 | 17 | 3 | 0 | 54:11 | 54 |
| ეგრისი | 20 | 15 | 2 | 3 | 43:25 | 47 |
| გაგრა | 20 | 9 | 3 | 8 | 42:30 | 30 |
| შუქურა | 20 | 8 | 6 | 6 | 28:30 | 30 |
| ოდიში 2 | 20 | 8 | 4 | 8 | 25:22 | 28 |
| ოქროს საწმისი | 20 | 8 | 3 | 9 | 31:27 | 27 |
| ბათუმი 2 | 20 | 6 | 7 | 7 | 26:25 | 25 |
| ტორპედო 2 | 20 | 5 | 5 | 10 | 19:34 | 20 |
| სამგურალი 2 | 20 | 4 | 4 | 12 | 23:37 | 16 |
| სულორი | 20 | 4 | 4 | 12 | 22:48 | 16 |
| სალხინო | 20 | 4 | 3 | 13 | 25:49 | 15 |

აღმოსავლეთი

### XVI ტური

სამგორი — ხალიბი 97 0:3
ჭაბუკიანი — ყვარელი 1:0
თელეთი — ალგეთი 6:3
ალაზანი — იბერია 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყვარელი | 16 | 13 | 1 | 2 | 40:6 | 40 |
| ალგეთი | 16 | 10 | 3 | 3 | 26:14 | 33 |
| ალაზანი | 16 | 8 | 3 | 5 | 25:12 | 27 |
| ხალიბი 97 | 16 | 8 | 0 | 8 | 22:17 | 24 |
| სამგორი | 16 | 6 | 2 | 8 | 19:20 | 20 |
| ჭაბუკიანი | 16 | 6 | 2 | 8 | 19:20 | 20 |
| შირაქი | 16 | 5 | 3 | 8 | 22:25 | 18 |
| იბერია | 16 | 5 | 1 | 10 | 16:30 | 16 |
| თელეთი | 16 | 3 | 1 | 12 | 24:61 | 10 |

ცენტრალური

### XX ტური

ჟინერი — მრეტები 0:0
დინამო 2 — დილა 2 3:0
ვარძია — ბაია ქასქი 3:0
მესხეთი — ლოკომოტივი 2 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 18 | 14 | 2 | 2 | 55:14 | 44 |
| თსუ 2 | 18 | 11 | 4 | 3 | 46:20 | 37 |
| მესხეთი | 18 | 9 | 6 | 3 | 50:26 | 33 |
| ლოკომოტივი 2 | 18 | 9 | 2 | 7 | 34:25 | 29 |
| ჟინერი | 18 | 8 | 5 | 5 | 36:28 | 29 |
| დილა 2 | 18 | 9 | 1 | 8 | 43:30 | 28 |
| ბაია ქასქი | 18 | 4 | 3 | 10 | 22:47 | 18 |
| მრეტები | 18 | 5 | 3 | 10 | 24:43 | 18 |
| ვარძია | 18 | 4 | 3 | 11 | 24:50 | 10 |
| 35 სტუ | 18 | 1 | 1 | 16 | 8:59 | 4 |

# გუცაევი საუკეთესოა

ჩვენმა კოლეგებმა გაზეთ „ალიადან" ჟურნალისტთა გამოკითხვა მოაწყვეს. სამ ნომინაციაში ღირსეული ლაურეატები დასახელდნენ.

კვირას სასტუმრო „საქართველოს" რესტორანში გამარჯვებულები გამოაცხადეს და დააჯილდოვეს.

საუკეთესო მეკარე — ნიკა ტოგონიძე;
საუკეთესო 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელი — დავით მუჯირი;
საუკეთესო მწვრთნელი — ვლადიმერ გუცაევი.

ესენი გასული სეზონის რჩეულნი არიან. რაც შეეხება საქართველოს 1997-98 წლების საუკეთესო ფეხბურთელს, იგი, როგორც აქამდე ვიუწყებდით, „სარბიელის" ტრადიციული გამოკითხვის შედეგად შოთა არველაძე გახდა.

# ქუთაისის სტადიონს ეშველა

ჩვენში ასეა — ქართული კლუბები ევროთასებზე თამაშს რომ გაინაღდებენ, სტადიონის მოწესრიგებასაც მერე შეუდგებიან ხოლმე. ასე მოიქცა „ტორპედოც" და რაკი დრო მცირე იყო, არავის სჯეროდა ინტერტოტოს პირველი ეტაპის მატჩისთვის, უკვე 20 ივნისს რომ უნდა გაიმართოს, ყველაფერი თუ მოესწრებოდა. არა, „გივი კილაძის" საბოლოო შეკეთებამდე ჯერ შორსაა, მაგრამ აქაურობას უკვე ვეღარ იცნობთ. მუხლჩაუხრელი მუშაობა გაჩაღებულა და საქმე უკვე კარ-ფანჯრის ჩამსამდეა მიყვანილი. ერთადერით, რაც ქუთაისელებს ხელს უშლით, გადაუღებელი წვიმაა. სტადიონის გადახურვას დღეს აპირებენ და თუ ამინდმა არ უმყუნათ, დულაბსაც დაასხამენ. მერე კი სახურავს საგანგებო, ფრანგულ ტოლს გადააკრავენ, რომელიც მაღალი ტემპერატურით სამუდამოდ დაეწებობაო.

ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის მიერ დამზადებული სამი ათასი ინდივიდუალური სკამი უკვე ინტერტოტოს პირველი მატჩისთვის დაიდგმება. სტადიონის შეკეთებისას არც პრესის წარმომადგენლებზე ზრუნვა დავიწყებიათ — პრესლოჟაში 50 ადგილი იქნება. ეგაა, ჟურნალისტთა ნახევარი გადახურულიდან ადევნებს მატჩებს თვალს, ნახევარს კი ღია ცის ქვეშ მოუწევს ჯდომა.

# «ავტოხულიგანი» ქინქლაძე

გიო ქინქლაძე უკვე მაგარ შარში რომ გაეხვია, ადრეც ვწერდით. მანჩესტერის აეროპორტის გზაზე ავარიაში თანაგუნდელთან ერთად მოყოლილი სიკვდილს ბეწვზე გადარჩა. „ფერარის“ უნდა უმადლოდნენ, თორემ ვინ იცის...

თბილისურ ქაოსურ მოძრაობას ჩვეულს, ინგლისში მეტად გაუჭირდა. მოძრაობის წესების პირველი დარღვევისას გიო მართლმსაჯულებას იოლად დაუსხლტა. აი, მეორედ კი...

— 12 თვით ინგლისში მანქანის მართვა ამიკრძალეს და 3 ათასი დოლარით დამაჯარიმეს — გვითხრა გიო ქინქლაძემ — თუმცა, ჩემთვის ახლა სულ ერთია, ინგლისში აკრძალვა ხომ ჰოლანდიაში არ მოქმედებს.

**— ადვოკატმა ველარ დაგიცვა?**

— მანქანაში ჩემთან ერთად ნიკ სამერბიც იყო. ჰოდა, მოსამართლემ თქვა, სასჯელი თანაბრად გავუნაწილოთ, ორივეს ექვსი თვით ჩამოვართვათ მართვის უფლებაო. ასეთ შემთხვევაში ფულს აღარ გადავიხდიდით, მაგრამ ყველაფერი მე დავიბრალე, სამერბი ინგლისში რჩებოდა და ექვსი თვე უმანქანოდ რა გააძლებინებდა... აღარა მგონია, ერთი წლის განმავლობაში ინგლისში მანქანა დამჭირდეს.

**— გეტყობა, მანქანები გიყვარს.**

— ოო, სწრაფ მანქანებს რა სჯობს. იმ ავარიაშიც 355 GTSM „ფერარით“ მოვყევი.

**— სწრაფად მოძრაობდი?**

— საღამო იყო. ნისლიანი ამინდი. პირველი სიჩქარით მივდიოდი, მეორეში უნდა გადამერთო და ამ დროს მომიცურდა. ბოძს შევასკდით. კიდევ კარგი, ავარიის დროს ტენტი გაიხსნა, ამან გადამარჩინა, ორივე ზემოთ ავფრინდით, თანაც ღვედები არ მეკეთა. არაფერი მახსოვს. აზრზე რომ მოვედი, მანქანიდან 30 მეტრში ვიყავი მიწაზე განთხმული. მოკლედ, ბეწვზე გადავრჩი, ზურგზე მაქვს მხოლოდ ჭრილობები.

**— აქაურ მოძრაობას მიჩვეულს ძალიან გაგიჭირდა?**

— ძალიან ძნელია ინგლისში მოძრაობა. თავიდან, პირველ ორ ვარჯიშზე, მთელი გუნდი მე მიცდიდა. სავარჯიშო ადგილს გაჭირვებით მივაღწიე.

**— ადრეც ხომ დაარღვიე?**

— სულ ვარღვევდი მოძრაობის წესებს. ავტოხულიგნის სახელი მაქვს. ყოველთვის მეუბნებოდნენ, რაღაცას დაიმართებო. გამართლდა. სანამ მანქანას ფორმა არ დავუკარგე, არ მოვისვენე.




ქინქლაძემ ახალი „იაგუარი“ მსცხეთა — თბილისის გზაზეც აჯირითა

[illegible] ფოტო

**— კარგი, ცოტა ფეხბურთზეც. „ვესტ ჰემთან“ რომ ბურთი გაიტანე, სეზონის საუკეთესო გოლად აღიარეს.**

— თითქმის იგივე იყო, რაც „საუთჰემპტონს“ შევუგდე. ინსაიდის ადგილას, ცენტრის ხაზთან, მარჯვენა ფლანგზე მივიღე ბურთი. კარისკენ დავიძარი, გზად ყველა მომხვდური მოვატყუე, ცოტა პაუზა გავაკეთე და მარჯვენა კუთხეში დავარტყი. თვის საუკეთესო გოლად რომ დაასახელეს ვიცი, პრიზიც გადმომცეს, მერე რა მოხდა, აღარ მსმენია, თბილისში წამოვედი.

**— ტუნისში გატანილი გოლი უფრო მოგეწონა, თუ უელსში შეგდებული?**

— შესრულების დონითა და სილამაზით ტუნისური გოლი უფრო კარგი გამოვიდა. ორი მცველი უკან ჩამოვიტოვე, ერთ-ერთს ფეხებშუაც გავუძვრინე ბურთი, მეკარესაც თავზე გადავუგდე, თანაც საკმაოდ შორი იყო კარამდე. უელსში გატანილი კი უფრო სასარგებლო გახლდათ. იმ გოლმა საქართველოს ნაკრებს სამი ქულა მოუტანა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოფიციალური თამაშისას შევაგდე.

**ბონა ინასარიძე**

3P
PLASPAN
პლასპანი
მეტალოპლასტიკის
კარ-ფანჯრები,
ტიხრები, ვიტრაჟები
მისამართი: თბილისი, მექანიზაციის ქ. №1 (სს „ავტომემკვიდრეობის“ ტერიტორიაზე)
ტ. 66-21-60
8-77-40-17-01


# ტორპედოს ერებუნი ერგო

INTERTOTO CUP

ცნობილი გახდა ქუთაისის „ტორპედოს“ მეტოქე ინტერტოტოს გათამაშების პირველ ეტაპზე. ერევნის „ერებუნი“, აი, გუნდი, რომელთანაც ჩვენებურთ მოუწევთ მეტოქეობა. სომხები „ტორპედოს“ ცნობილ „რაზდანზე“ უმასპინძლებენ. თუმცა, მანამდე ჩვენთან სტუმრობა მოუწევთ, რადგან პირველი მატჩი 20 ივნისს საქართველოშია გასამართი, ოღონდ სად, ქუთაისში თუ სადმე ახლო მახლო, ამას დღე-დღეზე უეფას საგანგებო კომისია გადაწყვეტს.

„ტორპედო“ 3 ივნისისთვის სამსუნში რომ აპირებდა წასვლას, ვარჯიშს ქუთაისში გააგრძელებს. ევროთასებისთვის მოსამზადებლად ევროპული კლუბები თურქეთში მხოლოდ 15 ივნისიდან ჩადიან და ძლიერი სპარინგ-პარტნიორის გარეშე შინაც კი მოვემზადებითო.

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ევროპის ფეხბურთზე მზრუნველმა ხალხმა — უეფას ჩინოსნებმა ინტერტოტოს თასის გათამაშების სტრუქტურა შეცვალეს. წლეულს გუნდები ჯგუფური ტურნირის ნაცვლად მიმოსვლით, სამ ეტაპზე გაეჯიბრებიან ერთმანეთს.

ინტერტოტოს თასის საორგანიზაციო კომიტეტმა თასის გათამაშების თაობაზე ადრე რამდენჯერმე იმსჯელა, სულ ბოლოს, თებერვალში გამართულ სხდომაზე კი შემდეგი ცვლილებები მოხდა: წლეულს უეფას თასზე პორტუგალია მხოლოდ ერთი კლუბით წარდგება, ალბანეთი კი საერთოდ ვერ მიიღებს გათამაშებაში მონაწილეობას. სამაგიეროდ, ჩეხეთსა და უნგრეთს თითო ადგილი დაემატათ, აქედან გამომდინარე, ისინი ინტერტოტოს თასისთვის ორ-ორი გუნდით იბრძოლებენ.

პირველი წრის შეხვედრები, შემდეგი ორის დარად, მიმოსვლით გაიმართება — შინ და გარეთ. პირველი მატჩები 20-21 ივნისს, საპასუხო კი ერთი კვირის შემდეგ, 27-28 ივნისს ჩატარდება. მეორე წრის თამაშები 4-5 და 11-12 ივლისსაა დაგეგმილი, ხოლო მესამე წრისა — 18-19 და 25 ივლისს.

პირველ წრეში 40 გუნდი იასპარეზებს, შემდეგი ეტაპიდან კი მათ იმ ქვეყნების კლუბებიც დაემატებიან, რომელთაც მაღალი რეიტინგი აქვთ.

პირველი წრის კენჭისყრამ მეტოქე ქვეყნები ასე დააწყვილა:

| | | |
|---|---|---|
| თურქეთი 2 | - | ირლანდია |
| კვიპროსი | - | შვედეთი 2 |
| ბელარუსი | - | უნგრეთი |
| ირლანდია | - | უკრაინა |
| უელსი | - | ნორვეგია 2 |
| რუმინეთი | - | ისრაელი |
| ავსტრია 2 | - | პოლონეთი |
| რუსეთი 2 | - | ბულგარეთი |
| ნორვეგია | - | იუგოსლავია |
| ხორვატია | - | დანია 2 |
| საბერძნეთი 2 | - | ჩრდ. ირლანდია |
| ლუქსემბურგი | - | ჩეხეთი 2 |
| უნგრეთი 2 | - | მალტა |
| ფინეთი | - | შვეიცარია |
| ფარერები | - | ჩეხეთი |
| შვეიცარია 2 | - | ესტონეთი |
| ლატვია | - | სლოვაკეთი |
| ლიტვა | - | აზერბაიჯანი |
| საქართველო | | სომხეთი |
| „ტორპედო“ | - | „ერებუნი“ |
| მაკედონია | - | სლოვენია |

რაც შეეხებათ დანარჩენ გუნდებს, ინტერტოტოს თასის გათამაშებაში მონაწილე ქვეყნებმა მათი ვინაობა დღეს, 2 ივნისს უნდა წარადგინონ.

პირველად დასახელებული ქვეყნების გუნდები პირველი წრის პირველ მატჩებს უმასპინძლებენ.

## სლოვენია

34-ე ტური. რუდარი — მარიბორი 0:1, პრიმორიე — მურა 2:2, ვევცე — ოლიმპია 1:2, პოტროსნიკი — პუბლიკუმი 0:1, კოროტანი — გორიცა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 34 | 22 | 4 | 8 | 58:30 | 70 |
| მურა | 34 | 18 | 9 | 7 | 58:40 | 63 |
| გორიცა | 34 | 19 | 4 | 11 | 61:35 | 61 |
| პრიმორიე | 34 | 16 | 6 | 12 | 60:44 | 54 |
| ოლიმპია | 34 | 13 | 12 | 9 | 58:52 | 51 |
| პუბლიკუმი | 34 | 14 | 7 | 13 | 57:53 | 49 |
| რუდარი | 34 | 10 | 12 | 12 | 37:34 | 42 |
| კოროტანი | 34 | 8 | 9 | 17 | 28:59 | 33 |
| პოტროსნიკი | 34 | 8 | 6 | 20 | 40:70 | 30 |
| ვევცე | 34 | 4 | 7 | 23 | 33:79 | 19 |

## ფეხბურთის რუკასთან



**უკრაინის** თასის გათამაშების ფინალში კიევის „დინამომ“ თანაქალაქელ ცსკა-ს 2:1 მოუგო. გამარჯვებულთაგან ორივე გოლი უკრაინული ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა ანდრეი შევჩენკომ გაიტანა. იმ შემთხვევაში, თუ დინამოელები დუბლს შეასრულებენ და ქვეყნის ჩემპიონებიც გახდებიან, ცსკა თასების თასზე იასპარეზებს. შეგახსენებთ, რომ კიეველები 60 ქულით პირველ ადგილზე იმყოფებიან და ხუთი თამაში აქვთ დარჩენილი, ხოლო მეორეზე მყოფ დონეცკის „შახტიორს“ 59 ქულა და ოთხი მატჩი.

**სომხეთის თასის მფლობელი გახდა „ცემენტ არარატი“, რომელმაც ფინალში „ერევანს“ მოუგო 3:1. გოლები გამარჯვებულთაგან გაჯიკ მანუკიანმა (32), არმენ სარქისიანმა (37) და ნორაირ ოხოიანმა (66) გაიტანეს. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი არტურ მინასიანია (90).**

**თურქული** წარმოშობის შვეიცარიელი ფეხბურთელი კუბილაი თურქილმაზი „გრასჰოპერიდან“ „ისთანბულსფორში“ აპირებს გადასვლას. ამასთან დაკავშირებით თურქული გუნდის მენეჯერმა ადნან სეზგინმა შემდეგი განცხადება გააკეთა: „ჩვენ უკვე შევთანხმდით ფეხბურთელთან, იგი თანახმაა და ალბათ სტამბულში ჩამოვა. მასთან არანაირი პრობლემა არ გვქონია. ახლა ყველაზე მთავარი სატრანსფერო თანხის გადაწყვეტაა“. თავად თურქილმაზმა კი თქვა, ძალიან მომწონს ციურიხი და საერთოდ აქაურობა, მაგრამ სტამბული უფრო მიყვარს და იქ წასვლაში ხელს ვერაფერი შემიშლისო. როგორც ცნობილია, შვეიცარიის ნაკრების სათავეში ჟილბერ გრესის მისვლის შემდეგ იგი გუნდში ველარ ხვდება, არადა, „გრასჰოპერში“ ორი ჩინებული სეზონი ჩაატარა და ორჯერვე კლუბს გაჩემპიონებაში ძალიან დაეხმარა .

**ჩეხეთის ჩემპიონატი: ჩემსკე ბუდეიოვიცე — კაუჩუკი 0:0, სიგმა — სპარტა 1:0, სლავია — დუკლა 1:0, სლოვანი — ბანიკი 3:1, ვიქტორია (პლზენი) — ჰრადეცი 0:0, ბოჰდანეცი — პეტრა 1:1, ტეპლიცე — იაბლონეცი 2:2, ვიქტორია (ჟიჟკოვი) — ბობი 2:0. სატურნირო მდგომარეობა 29-ე ტურის შემდეგ: სპარტა — 68 ქულა, სლავია — 58, სიგმა — 52.**

**გაგერმანელებულმა** სამხრეთაფრიკელმა თავდამსხმელმა შონ დანდიმ, მას შემდეგ, რაც მისი კლუბი „კარლსრუე“ ბუნდესლიგიდან გავარდა, ინგლისის „ლივერპულთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მომავალ სეზონში პრემიერლიგაში იასპარეზებს. სატრანსფერო თანხა ორ მილიონ გირვანქას შეადგენს. მომავალში მას საკმაოდ სერიოზული კონკურენციის დაძლევა მოუწევს, რადგან „ლივერპულში“ რამდენიმე მაღალი კლასის ფორვარდია, მათ შორის მისი თანამემამულე, შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირი კარლჰაინც რიდლე. 25 წლის დანდიმ გაზეთ „დეილი ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ვიცი, რომ გუნდში ადგილის დამკვიდრება ძალიან გამიჭირდება. მაიკლ ოუენი და რობი ფაულერი ხომ ინგლისის საუკეთესო თავდამსხმელები არიან, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჩემსას მივაღწიო და „ლივერპულს“ ტიტულების მოხვეჭაში დავეხმარო“.

**ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს „ეკრანასი“ და „კაუნასი“ შეებრძოლნენ. მინდაუგას გირჟიაუსკასის 58-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით გამარჯვებას პირველმა მიაღწია და თასს დაეუფლა.**

**ინგლისის** 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების და „საუთჰემპტონის“ ახალგაზრდა ფორვარდი კევინ დევისი 7,5 მილიონ გირვანქად (12,2 მილიონი დოლარი) „ბლექბერნ როვერსში“ გადაბარგდა. ჯერჯერობით ეს კლუბის ყველაზე ძვირი შენაძენია. 21 წლის დევისი „საუთჰემპტონში“ ერთი წლის წინ გადავიდა მეორე დივიზიონის „ჩესტერფილდიდან“ და მაშინ ფეხბურთელში მხოლოდ 700 ათასი გირვანქა გადაიხადეს. გასულ სეზონში მან ტრავმების გამო სულ 17 შეხვედრა ჩაატარა და მაინც 12 გოლის გატანა მოახერხა. მომავალ წელს დევისი თავის ახალ კლუბთან ერთად უეფას თასზე იასპარეზებს.

**ესპანეთის ნაკრების ექიმთა განცხადებით, გუნდის ვეტერანმა მეკარემ ანდონი სუბისარეტამ ვარჯიშის დროს ტრავმა მიიღო და ნაკრების ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში ჩრდილოეთ ირლანდიის წინააღმდეგ მონაწილეობას ვერ მიიღებს. მის ადგილს ამ მატჩში „ვალენსიაში“ მადრიდის „რეალიდან“ ახალგადასული სანტიაგო კანისარესი დაიკავებს. ეს მისი მეათე სანაკრებო თამაში იქნება. თავად სუბისარეტა შეწუხებულია, მაგრამ მომავალს ოპტიმისტურად უყურებს: „ვარჯიშის დროს ვიგრძენი, რომ კუნთი დამეჭიმა და როგორც შემდგომში გაირკვა, ჩრდილოირლანდიელებთან შეხვედრის გამოტოვება მომიწევს, მაგრამ, საბედნიეროდ, ტრავმა არ არის იმდენად სერიოზული, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ვერ შევძლო“. შეწუხებულია გუნდის მთავარი მწვრთნელი ხავიერ კლემენტეც, რომელიც დიდ პატივს სცემს ვეტერან მეკარეს და მას ბოლომდე ენდობა — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კარს მხოლოდ სუბისარეტა იცავდა. ეს ტრავმა მისთვის ბოლო ორი თვის მანძილზე მეორეა: „ამ ორი თვის განმავლობაში უფრო მეტი პრობლემა შემექმნა, ვიდრე წინა 15 წელიწადში — თქვა სუბისარეტამ, რომელიც, როგორც ამბობენ, საფრანგეთი 98-ის შემდეგ ხავიერ კლემენტეს თანაშემწის მოვალეობის შესრულებას შეუდგება.**

**ბულგარეთის** ჩემპიონატის ოცგზის გამარჯვებულის, სოფიის „ლევსკის“ მთავარი მწვრთნელი მიხაილ ვალჩევი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. სავარაუდოდ, მას უკრაინელი სპეციალისტი, დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ თავკაცი, 43 წლის ვიაჩესლავ გროზნი შეცვლის, თავად ვალჩევი კი მისი ასისტენტი იქნება. წლევანდელ სეზონში „ლევსკი“ ქვეყნის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა და პირველობა „ლიტექსს“ დაუთმო.

**ინგლისის ჩემპიონსა და თასის მფლობელ ლონდონის „არსენალს“ ჰოლანდიის ნაკრებისა და „აიაქსის“ ნახევარმცველ რონალდ დე ბურის თავისთან გადაბირება სურს. 28 წლის ფეხბურთელს ჰოლანდიურ კლუბთან კონტრაქტი 2004 წლამდე აკავშირებს, მაგრამ ალბიონზე გადაბარგების პერსპექტივა თურმე ძალიან ხიბლავს: „არსენალის“ წინადადებას დიდი სიამოვნებით მივიღებ, რადგან მსოფლიოში სულ რამდენიმე გუნდია, რომელიც ჩემი თამაშის სტილს ესადაგება და ინგლისის წლევანდელი ჩემპიონი სწორედ ერთ-ერთი მათგანია“. ისე, თუ კონტრაქტი შედგა, რონალდი „არსენალში“ მესამე ჰოლანდიელი იქნება შემტევი ნახევარმცველი მარკ ოვერმარსისა და თავდამსხმელ დენის ბერგკამპის შემდეგ.**

**ავსტრალიის** ნაკრებისა და ბირმინგემის „ასტონ ვილას“ გოლკიპერს მარკ ბოზნიჩს კლუბში სერიოზული პრობლემები შეექმნა. საქმე იმაშია, რომ ინგლისური გუნდის პრეზიდენტ ჯონ გრეგორის მეკარესთან ახალი, გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმება სურს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ბოზნიჩს სხვაგან წასვლა მოუწევს. 26 წლის ავსტრალიელმა კონტრაქტის მიხედვით კლუბში კიდევ ერთი წელი უნდა ითამაშოს, რის შემდეგაც იგი თავისუფალი აგენტი ხდება. გრეგორის თურმე სწორედ ეს ფაქტი უღრღნის გულს, რადგან შიშობს, ბოზნიჩი ირლანდიის ნაკრების კაპიტანის სტივ სტონტონის მსგავსად არ მოიქცესო. ირლანდიელთა კაპიტანი აქამდე „ასტონ ვილაში“ თამაშობდა, მაგრამ ბოსმანის წესის თანახმად ბირმინგემელებს ისე უგანა, ამ უკანასკნელთა. შეთავაზებულ ახალ 1 მილიონ გირვანქიანი (1,6 მილიონი დოლარი) კონტრაქტისთვის ყურიც არ უთხოვია. „მე ბოზნიჩთან ოთხი, ანაც ხუთწლიანი კონტრაქტის დადება მსურს, რადგან დარწმუნებული ვარ, ოცდაათი წლის ასაკში იგი მსოფლიოს ნომერ პირველი გოლკიპერი იქნება. ჩვენ სერიოზული საუბარი გვქონდა და მან იცის, რომ სტონტონის სიტუაციის განმეორებას არ დავუშვებთ. ამიტომ თუკი ავსტრალიელი კლუბთან ახალ ხელშეკურებას არ გააფორმებს, იგი „ასტონ ვილას“ დაემშვიდობება“ — განაცხადა გრეგორიმ.

დარჩა 7 დღე FRANCE 98

## ფუტიქსის დროშით

# გულადი ჰოდლი გაზას ასამარებს

ეს ადრე თუ გვიან, ალბათ, უნდა მომხდარიყო, რადგან მთელ ინგლისს უკვე კარგა ხანია, თავი მოაბეზრა პოლ გესქოინის გაუთავებელმა უმსგავსო გამოხდომებმა. დიახ, იგი უდავოდ ბრწყინვალე ფეხბურთელია, მაგრამ მისი ნიჭი ხშირად იჩრდილებოდა იმ გაუგონარი საქციელითა და ათასგვარი მოულოდნელობებით, რომლებიც გამუდმებით სდევდა გაზას საფეხბურთო კარიერას. დღეს კი ეროვნულ ნაკრებში გესქოინის მოღვაწეობა დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. კვირას ესპანეთის სამხრეთით მდებარე კურორტ ლა მანგაში (ინგლისის ნაკრები სწორედ იქ გადის წინასასაფრანგეთო შეკრებას) კუნძულელთა თავკაცმა გლენ ჰოდლმა მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ 22 საუკეთესოს შორის გაზას გვარი არ დაასახელა. მწვრთნელის ეს გადაწყვეტილება იმდენად სენსაციური იყო, რომ აგერ უკვე ორი დღეა, გესქოინის ამბავი ბრიტანული პრესის უმთავრეს თემად იქცა, ხოლო რადიო და ტელევიზია თავიანთ საინფორმაციო გამოშვებებს სწორედ გაზაზე საუბრით იწყებენ.

გლენ ჰოდლი ჟურნალისტებს დაპირდა, რომ უახლოეს დღეებში საგანგებო პრესკონფერენციას მოაწყობს, სადაც გესქოინის გუნდიდან დათხოვნის მიზეზებს დაწვრილებით განმარტავს, თუმცა, რაც უნდა თქვას მწვრთნელმა, სადღეისოდ ერთი რამ ნათელია: გლენი უდრეკი ხასიათისა და თითქმის გმირობის ტოლფასი გადაწყვეტილების გამო მას მედიამ უმაღლეს ადამიანად შერაცხა. სანამ ჰოდლი თავის მოსაზრებებს საქვეყნოდ გამოამზეურებდეს, ბრიტანული საინფორმაციო სააგენტოები და სხვადასხვა პატივცემული პირები მომხდარზე თავიანთ აზრს გამოთქვამენ.

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, გესქოინი ფორმაში არ არის და ამიტომაც ვერ მოხვდა ნაკრებში. მართლაც, ბოლო ათი დღის განმავლობაში. მან ძალიან სუსტად ჩაატარა სამი ამხანაგური შეხვედრა საუდეთის, ბელგიისა და მაროკოს ნაკრებების წინააღმდეგ და როგორც ამბობენ, საწვრთნელ ბაზაზე ჩატარებულ ვარჯიშებზე ბრიტანელთა 40 წლის თავკაციც კი მასზე უკეთ მომზადებული ჩანდა.

— გლენმა მეტად გაბედული გადაწყვეტილება მიიღო. იგი სათქმელს ყოველთვის პირდაპირ ამბობს და თუ რამე ამოიჭრა გულში, უთუოდ აასრულებს კიდეც. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მე მაინც თავზარდაცემული ვარ, რადგან გაზას კარგად ვიცნობ და ვიცი, რა დღეშიც იქნება ახლა. ვერ გეტყვით, ჰოდლი რას ფიქრობს, მაგრამ პოლის ნაკრების მიღმა დატოვება იმას ნიშნავს, რომ ინგლისელთა წამყვანი მოთამაშე ამიერიდან სტივ მაკმანამანი იქნება — ეს ინგლისის ნაკრების ყოფილი მოთამაშის, კრის უოდლის სიტყვებია, რომელიც თავის დროზე ეროვნულ გუნდში ჰოდლისა და გესქოინის მხარდამხარ თამაშობდა.



გლენ ჰოდლმა თავის პრინციპებს არ უღალატა...

„მანჩესტერ იუნაიტედისა" და შოტლანდიის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა ტომი დოგერტიმ, რომელიც თავისი საუცხოო სამწვრთნელო კარიერის მანძილზე საკმაოდ თავქარიან პიროვნებად იყო ცნობილი, „დეილი მეილისათვის" მიცემულ ინტერვიუში ჰოდლს დაუჭირა მხარი:

— მე ვამართლებ გლენს. მან ისედაც მეტისმეტი სულგრძელობა გამოიჩინა. ის ულირსი კაცი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ უნდა მოეკვეთათ ნაკრებიდან. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აღშფოთებული ვიყავი იმით, თუ როგორ ეგუებოდა ფეხბურთის ფედერაცია გესქოინის ქვეყნის ეროვნულ გუნდში ყოფნას — ჩვეულ რადიკალიზმს არც ამჯერად უღალატა დოგერტიმ. მის გარდა ჰოდლისადმი სიმპათია კიდევ რამდენიმე ჟურნალისტმა გამოხატა.

ჰენრი ვინტერი, „დეილი ტელეგრაფის" საფეხბურთო მიმომხილველი: „ჰოდლი მამაცობისთვის უთუოდ ქებას იმსახურებს, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების მიზეზი ჯერ არ აუხსნია".

გრეჰემ ჰანტერი, „დეილი მეილი": „ჰოდლმა ამ საქციელით აჩვენა, რომ მართლაც დიდი მწვრთნელია, რადგან გესქოინთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტა მეტად გამოცდილ დამრიგებელსაც კი გაუჭირდებოდა. გლენი აქამდე ახალგაზრდა, გამოუცდელი მწვრთნელი და გაზას ტალანტის ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი გახლდათ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში იგი მაინც გუნდისათვის სასიკეთოდ გაისარჯა".

დევიდ ლაკეი, „გარდიანი": „მწვრთნელის გადაწყვეტილება გაბედული და ამავდროულად ლოგიკურია. ვერავინ უარყოფს იმას, რომ გესქოინს თავის გამოჩენის არაერთი შანსი მიეცა. ჰოდლი მისგან მხოლოდ სურლ მზადყოფნას ითხოვდა, გაზამ კი ამის საპასუხოდ ლამის კლუბებში ხეტიალი არჩია".

სხვები უფრო თავშეკავებულნი აღმოჩნდნენ.

გარი მაბუტი, წარსულში გაზას თანაკლუბელი „ტოტენჰემიდან": „ეს წარმოუდგენელია. ჩვენ ხომ სულ სამად სამი მოთამაშე გვყავს, საფეხბურთო მოედანზე ორიგინალური რომ არიან — დარენ ანდერტონი, სტივ მაკმანამანი და გესქოინი. გაზა კი ამ სამიდანაც გამორჩეულია. იგი მცველებს შიშის ზარს სცემს, რადგან სუსტ ფორმაშიც რომ იყოს, მათ აშკარად ჯაბნის".

ფრანც ბეკენბაუერი: „გაოგნებული ვარ. პოლი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და მინდა, მივუსამძიმრო მას. იგი უაღრესად ნიჭიერია და მსოფლიოს ჩემპიონატსაც დაამშვენებდა".

გაზას, როგორც მოსალოდნელი იყო, მხარდამჭერნიც გამოუჩნდნენ:

ბობი რობსონი, ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი: „გესქოინს ძალუძს, სახიფათო მომენტები თავადაც შექმნას და სხვებიც ახეიროს. არა მგონია, ასეთი მოთამაშის შინ დატოვება გუნდისთვის სასიკეთო იყოს".

ინგლისის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ტერი ბუჩერი: „ეს ამბავი მეხის გავარდნას ჰგავდა. ერთი წამითაც ვერ ვიჯერებ ამას. ვფიქრობ, ჰოდლმა დიდ ხათაბალაში ჩაიგდო თავი, რადგან მან, ყველა ჩვენგანის მსგავსად, კარგად უწყის, თუ რის გაკეთება შეუძლია მინდორზე გაზას".

ტრევორ სტევენი, „გლაზგო რეინჯერსში" გესქოინის ყოფილი თანაგუნდელი: „ყურებს არ ვუჯერებდი. პოლის ხასიათი ხუთი თითივით ვიცი და დარწმუნებული ვარ, ყოველივე ეს მეტად მძიმე იქნება მისთვის".

ჰოდლის გადაწყვეტილება ერთ-ერთი ყველაზე სენსაციურია მათ შორის, რომლებიც ქვეყნის ეროვნული გუნდის თავკაცებს მიუღიათ ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში. მსგავსი აურზაური 1966 წელს ალფ რამსეის საქციელმა გამოიწვია. მაშინ მწვრთნელმა მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ ფინალურ მატჩში მონაწილეობაზე ჯიმი გრივსს უთხრა უარი.

გესქოინმა გასული სეზონის მეორე ნახევარი ტრავმის გამო, ფაქტობრივად, „რეინჯერსის" სათადარიგოთა სკამზე გაატარა. მარტში იგი „მიდლსბროს" შეუერთდა და იქაც რამდენიმე შეხვედრაში თუ მიიღო მონაწილეობა. მართალია, ნაკრების მიერ თებერვალში ჩილელებთან, ხოლო მარტში შვეიცარიელებთან გამართულ ამხანაგურ თამაშებში გაზა მინდორზე არ გასულა, მაგრამ 23 მაისს თავისას მაინც მიაღწია და ეროვნული გუნდის შემადგენლობაში თავისი 55-ე შეხვედრა ჩაატარა. იმ დღეს ბრიტანელები „უემბლიზე" საუდეთის ნაკრებს ამხანაგურად მასპინძლობდნენ და გულშემატკივართა სამწუხაროდ, ფრეს (0:0) დასჯერდნენ. თავად გაზა კი 61-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა. ამას მაროკოში ჩატარებულ ჰასან II-ის თასზე ნათამაშევი ორი მატჩი მოჰყვა. თუ გასულ ოთხშაბათს მაროკოელებთან 1:0 მოგებულ მატჩში გესქოინის თამაშს ასე თუ ისე ნორმალური ეთქმოდა, ორიოდ დღის შემდეგ ბელგიის ნაკრებთან გაზა აშკარად შერცხვა. ცუდ თამაშს ისიც დაემატა, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში ბელგიელ ვეტერან ენცო შიფოსთან შეჯახებისას პოლმა თავი გაიტეხა და მინდორი ექიმების დახმარებით დატოვა.

ახლა ძნელად თუ წარმოიდგენს ვინმეს, რომ გესქოინი ოდესმე კვლავ დაუბრუნდება ინგლისის ნაკრებს. მის ერთგულ ფანებს კი გაზას საფეხბურთო კარიერაზე მეტად ის უფრო ადარდებთ, ჰოდლის უმკაცრესმა გადაწყვეტილებამ მათი საყვარელი ფეხბურთელის ცხოვრებაზე არ მოახდინოს გავლენა...

გუშინ, გვიან ღამით, ცნობილი გახდა გლენ ჰოდლის მიერ გამართული პრესკონფერენციის დეტალები. მწვრთნელის განსაკუთრებული გულისწყრომა იმას გამოეწვია, რომ გაზა ფიზიკურად სუსტად ყოფილა მომზადებული.

— იგი პირველი ტაიმის შემდეგ ისე დაიღალა, მოედანზე საკუთარი თანაგუნდელების გარჩევა უჭირდა. ასეთი ფეხბურთელი კი არც ერთ გუნდს არ სჭირდება, მით უმეტეს, ინგლისის ნაკრებს — განაცხადა ჰოდლმა, რომელიც თურმე მთელი კვირა ღამე ამაოდ ცდილობდა, პოლისთვის აეხსნა, რატომ ვერ მოხვდა იგი გუნდში. საბრალო გესქოინს კი ვერაფრით გაეგო, რისთვის მოექცნენ ასე დაუნდობლად.



...გაზა კი ინგლისის ნაკრებს ალბათ სამუდამოდ დაემშვიდება

— მის თვალებში ცრემლი შევნიშნე და მივხვდი, რა მძიმე დარტყმაც მივაყენე გაზას. თანაგუნდელები კი მეგობრის დამშვიდებას ცდილობდნენ — თქვა მწვრთნელმა.

## სამხრეთი აფრიკა

მეკარეები — ჰანს ვონკი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ბრაიან ბალუი (კაიზერ ჩიფსი), ანდრე არენდსე (ფულემი, ინგლისი); მცველები — ტემბა მგუნი (მამელოდი სანდაუნსი), დევიდ ნიატი (სენტ გალენი, შვეიცარია), ვილემ ჯეკსონი (ორლანდო პაირატსი), მარკ ფიში (ბოლტონი, ინგლისი), ლუკას რადებე (ლიდსი, ინგლისი), პიერ ისა (მარსელი, საფრანგეთი); ნახევარმცველები — კუინტონ ფორტუნი (ატლეტიკო, ესპანეთი), ალფრედ პირი, ლებოგანგ მორულა (ვანსფორი, თურქეთი), ჯონ მოშოუ (ფენერბახჩე, თურქეთი), ჰელმან მკალელე (ქაისერსფორი, თურქეთი), ბრენდან ავგუსტინი (ლასკი, ავსტრია), დელრონ ბაკლი (ბოხუმი, გერმანია), დოქტორ ხუმალო (კაიზერ ჩიფსი), ნაიტი მოკოენა (მენინგ რეინჯერსი); თავდამსხმელები — ფილ მასინგა (ბარი, იტალია), შონ ბარტლეტი (კეიპტაუნ სპურსი), ჯერი სიკოსანა (ორლანდო პაირატსი), ბენედიქტ მაკართი (აიაქსი, ჰოლანდია)

## ბელგია

მეკარეები: ფილიპ დე ვილდე (ანდერლეხტი), დენი ვერლინდენი (ბრიუგე), ფილიპ ვანდე ვალე (აალსტი); მცველები: ვიტალ ბორკელმანსი, ერიკ დეფლენდრე, ლორენცო სტალენსი (ბრიუგე), ბერტრან კრასონი (ნაპოლი, იტალია), გორან ვიდოვიჩი (მუსკრონი), ერიკ ვან მეირი (ლიერსი), გლენ დე ბეკი (ანდერლეხტი), მაიკლ ვერსტრატენი (ეკერენი); ნახევარმცველები: დენი ბოფინი (მეცი, საფრანგეთი), ფრენკი ვან დერ ელსტი (ბრიუგე), ნიკო ვან კერკჰოვენი (ლიერსი), მარკ ვილმოტსი (შალკე 04, გერმანია), ფილიპ კლემენტი (გენკი), ენცო შიფო (ანდერლეხტი); თავდამსხმელები: ლოკონდა მპენზა, მბო მპენზა (სტანდარდი), ლუკ ნილისი (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ლუის ოლივეირა (ფიორენტინა, იტალია), გერტ ვერჰეინი (ბრიუგე)

## მაროკო

მეკარეები: აბდელკადერ ბრაზი (როიალ არმი), დრის ბენზერკრი (სეტატი), მუსტაფა ჩადლი (რაჯა კასაბლანკა); მცველები: იუსუფ როსი (რენი, საფრანგეთი), სმაჰი ტრიკი (ლოზანა, შვეიცარია), ნურედინ ნაიბეტი (დეპორტივო, ესპანეთი), აბდელკარიმ ელჰადრიუ (ბენფიკა, პორტუგალია), რაშიდ ნეკრუზი (ბარი, იტალია), აბდელილა საბერი (სპორტინგი, პორტუგალია), ვლასენ აბრამი (ვიდად კასაბლანკა); ნახევარმცველები: საიდ ჩიბა (კომპოსტელა, ესპანეთი), რაშიდ აზუზი (გრეიტფიურტი, გერმანია), იუსუფ ჩიპო (პორტუ, პორტუგალია), მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, ესპანეთი), ტაჰარ ელ ჰალეჯი (ბენფიკა, პორტუგალია), ჯამალ სელამი (რაჯა კასაბლანკა); თავდამსხმელები: სალადინ ბასირი (დეპორტივო, ესპანეთი), აბდელჯალილ ჰადა (კლუბ აფრიკანი, ტუნისი), ალი ელ ატადი (ჰერენვენი, ჰოლანდია), აბდერაჰიმ უაკილი (მიუნხენი, გერმანია), გარიბ არმზინი (მულუზი, საფრანგეთი), რაშიდ როკი (მოჰამედია)

# უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული

ეს სათაური სწორედ რომ ზედგამოჭრილია ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის" თავდამსხმელ იან რაიტისათვის. მკითხველი უთუოდ იფიქრებს, ამ ვეტერანმა ფეხბურთელმა, უიღბლოს რომ ვუწოდებთ დიდებული კარიერა განვლო, ეროვნულ ნაკრებშიც ბრწყინავდა და თავის საკლუბო გუნდში ხომ მთლად შეუდარებელი იყოო. იფიქრებს და ეგებ მართალიც იყოს, მაგრამ განა შინაურ სარბიელზე მიღწეული წარმატებები უპირველეს სპორტულ სანახაობაზე — მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს შეედრება? რაიტი, რომელსაც ნოემბერში 35 წელი შეუსრულდება, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში უდიდესი მონდომებით ემზადებოდა და ნაკრების თავკაც გლენ ჰოდლის მიერ სასაფრანგეთოდ შერჩეულ 22 საუკეთესოს შორის მოხვედრის იმედიც ჰქონდა. მწვრთნელს „არსენალელის" თავგამოდება არ გამორჩენია და ფეხბურთელი, სხვა საუკეთესოებთან ერთად, ესპანურ კურორტ ლა მანგაში ინგლისის ნაკრების წინასაჩემპიონატო შეკრებაზე იახლა. რაიტმაც გაორებული ენერგიით განაგრძო წვრთნა და ოთხშაბათს მაროკოში დაწყებულ ჰასან II-ის თასის გათამაშებაში მასპინძელთა წინააღმდეგ გამართულ ტურნირის გახსნით მატჩში ეროვნული გუნდის სასტარტო შემადგენლობაშიც კი გამოვიდა, მაგრამ... 26-ე წუთზე მეკარე ბენზერკისთან შეჯახებისას ფორვარდმა მარცხენა ფეხზე მუხლქვეშა მყესის მძიმე ტრავმა მიიღო, რომლის შეხორცებას სულ მცირე, ორი კვირა დასჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ რაიტი უკეთეს შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ტურისტად თუ გაემგზავრება. ის კი არა, ინგლისის ნაკრების მაისურით ჩატარებულ 31 მატჩში 9 გოლის გამტან რაიტს იქნებ საერთოდ საფეხბურთო კარიერის დასრულება მოუხდეს.

— მე ძალიან გულნატკენი ვარ. სპორტსმენისთვის ამაზე მეტი იმედგაცრუება რა იქნება. ნაკრების მტკიცედ მჯერა და დარწმუნებული ვარ, საფრანგეთში პირველ ოთხეულში მოხვედრა არ გაუჭირდება. ამიტომ უსაზღვროდ მსურდა, მეც ბიჭებთან ერთად ვყოფილიყავი — განაცხადა გულმოკლულმა ვეტერანმა ლა მანგაში სახელდახელოდ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც მთლიანად მის ტრავმას მიეძღვნა. — იანი მართლაც თავდადებით ვარჯიშობდა და ნაკრებში ადგილი საკუთარი ოფლით მოიპოვა. ამიტომ მისი ტრავმა ორმაგად საწყენია. მინდა ვთქვა, რომ საფრანგეთში რაიტი ერთობ დაგვაკლდება — გლენ ჰოდლის საუბრიდან გამომდინარე, ჩანს, რაიტს მის ტაქტიკურ მონახაზებში საგანგებო ადგილი ეჭირა.

არსენალელი ნაკრებში ბოლოჯერ შემოდგომაზე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იტალიელებთან ნათამაშევ მატჩში გამოჩნდა. იქიდან მოყოლებული ჰოდლი ქვეყნის პირველ გუნდში ადგილს არ ანდობდა და ამიტომ თამაშს მონატრებულს მაროკოელების წინააღმდეგ სასტარტო შემადგენლობაში გამოსვლამ უდიდესი სიხარული მიანიჭა. თუმცა ფეხბურთელი მიღებული ტრავმის შემდეგ შინ გააბრუნეს და საბრალოს ჰასან II-ის თასის გათამაშების მეორე ტურის მატჩზე დასწრების საშუალებაც არ მისცეს.

ფეხბურთელის უიღბლობაზე ისიც მეტყველებს, რომ რაიტი უკვე მეორე მსოფლიოს ჩემპიონატის გარეშე დარჩა. პირველად ეს 1993 წელს მოხდა. მაშინ შესარჩევ ტურნირში კუნძულელებს სენსაციის მომხდენმა ნორვეგიელებმა და ძველმა მტრებმა ჰოლანდიელებმა აჯობეს. მართალია, თავად რაიტმა ხუთი წლის წინ 17 ნოემბრის საღამოს შესარჩევის ბოლო მატჩში სანმარინოელებთან 7:1 მოგებულ შეხვედრაში ოთხი გოლი გაიტანა, მაგრამ საბოლოო წარმატებისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და აშშ-შიც მეტოქეები გაემგზავრნენ.

# სარბიელი FRANCE 98
# წარმოგიდგენთ მონაწილეებს

adidas Canon Coca-Cola FUJIFILM Gillette JVC MasterCard McDonald's OPEL PHILIPS SNICKERS

## D ჯგუფი

**14 ივნისი**
იუგოსლავია - ირანი
*სენტ ეტიენი.* $19^{30}$

**15 ივნისი**
გერმანია - აშშ
*პარიზი.* $23^{00}$

**21 ივნისი**
გერმანია - იუგოსლავია
*ლანსი.* $16^{30}$
აშშ - ირანი
*ლიონი.* $23^{00}$

**25 ივნისი**
გერმანია - ირანი
*მონპელიე.* $23^{00}$
იუგოსლავია - აშშ
*ნანტი.* $23^{00}$

## გერმანია

ტერიტორია: 357 325 კმ²
მოსახლეობა: 81 640 000
დედაქალაქი: ბერლინი
ფედერაცია: *Deutscher Fussball Bund*
რეზიდენცია: ფრანკფურტი
დაარსდა: 1900
ფიფა: 1904
უეფა: 1954
პრეზიდენტი: ეგიდიუს ბრაუნი

**მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | —— | 1958 | IV ადგილი | 1978 | 1/4 ფინალი |
| 1934 | III ადგილი | 1962 | 1/4 ფინალი | 1982 | II ადგილი |
| 1938 | ჯგუფი | 1966 | II ადგილი | 1986 | II ადგილი |
| 1950 | —— | 1970 | III ადგილი | 1990 | ჩემპიონი |
| 1954 | ჩემპიონი | 1974 | ჩემპიონი | 1994 | 1/4 ფინალი |

## აშშ

ტერიტორია: 9 364 000 კმ²
მოსახლეობა: 258 300 000
დედაქალაქი: ვაშინგტონი
ფედერაცია: *United States Soccer Federation*
რეზიდენცია: ნიუ იორკი
დაარსდა: 1913
ფიფა: 1913
კონკაკაფი: 1961
პრეზიდენტი: ალან როთენბერგი

**მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | 1/2 ფინალი | 1958 | შესარჩევი | 1978 | შესარჩევი |
| 1934 | 1 მატჩი | 1962 | შესარჩევი | 1982 | შესარჩევი |
| 1938 | —— | 1966 | შესარჩევი | 1986 | შესარჩევი |
| 1950 | ჯგუფი | 1970 | შესარჩევი | 1990 | ჯგუფი |
| 1954 | შესარჩევი | 1974 | შესარჩევი | 1994 | 1/4 ფინალი |

## იუგოსლავია

ტერიტორია: 102 100 კმ²
მოსახლეობა: 10 337 000
დედაქალაქი: ბელგრადი
ფედერაცია: *Fudbalski Sovez Jugoslavije*
რეზიდენცია: ბელგრადი
დაარსდა: 1919
ფიფა: 1919
უეფა: 1955
პრეზიდენტი: მილიან მილიანიჩი

**მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | 1/2 ფინალი | 1958 | 1/4 ფინალი | 1978 | შესარჩევი |
| 1934 | შესარჩევი | 1962 | IV ადგილი | 1982 | ჯგუფი |
| 1938 | შესარჩევი | 1966 | შესარჩევი | 1986 | შესარჩევი |
| 1950 | ჯგუფი | 1970 | შესარჩევი | 1990 | 1/4 ფინალი |
| 1954 | 1/4 ფინალი | 1974 | 1/4 ფინალი | 1994 | —— |

## ირანი

ტერიტორია: 1 650 000 კმ²
მოსახლეობა: 62 700 000
დედაქალაქი: თეირანი
ფედერაცია: *Football Federation of the Islamic Republic of Iran*
რეზიდენცია: თეირანი
დაარსდა: 1922
ფიფა: 1948
აფკ: 1958
პრეზიდენტი: დარიუშ მუსტაფავი

**მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | —— | 1958 | —— | 1978 | ჯგუფი |
| 1934 | —— | 1962 | —— | 1982 | —— |
| 1938 | —— | 1966 | —— | 1986 | —— |
| 1950 | —— | 1970 | —— | 1990 | შესარჩევი |
| 1954 | —— | 1974 | შესარჩევი | 1994 | შესარჩევი |



სტად ჟოფრუა გიშარი სენტ ეტიენი
*36 000 მაყურებელი, აშენდა 1931 წელს*



სტად ჟერლანი ლიონი
*44 000 მაყურებელი, აშენდა 1924 წელს*



პარკ დე პრენსი პარიზი
*49 000 მაყურებელი, აშენდა 1972 წელს*



სტად დე ლა მოსონი მონპელიე
*35 500 მაყურებელი, აშენდა 1974 წელს*



სტად ფელიქს ბოლერი ლანსი
*41 275 მაყურებელი, აშენდა 1932 წელს*



სტად დე ლა ბოჟუარი ნანტი
*39 000 მაყურებელი, აშენდა 1984 წელს*

ამ ცოტა ხნის წინ ცნობილმა ამერიკელმა მომღერალმა ფრენკ სინატრამ უფალს სული მიაბარა. ძველი თაობის ადამიანი გახლდათ სინატრა, კარგა მოხუცებული და იქნებ ამიტომაც დაიბარა ანდერძად ის, რაც იქაური დემოკრატიის ახლანდელ პრინციპებს ეწინააღმდეგება: ჩემს გასვენებაში ჰომოსექსუალისტები და ჭრელი საძაგლები არ მოუშვათ, სამარემდე ნაღდმა კაცებმა მიმაცილონო. ვერ გეტყვით, უყვარდა თუ არა სინატრას ფეხბურთი, მაგრამ ეჭვი არაა, ის, რისთვისაც მისი თანამემამულე ფეხბურთელები საფრანგეთში მიდიან, მის ვაჟკაცურ სულისკვეთებას ეხმაურება. აშშ-ის ნაკრებმა ჯგუფში, სადაც გერმანია, იუგოსლავია და ირანია თავმოყრილი, ნაღდი, უშეღავათო ბრძოლით უნდა სცადოს პლეიოფისკენ გზის გაკაფვა. თან ნუ დაგვავიწყდება, რომ ამერიკელთა და ირანელთა მატჩი მხოლოდ სპორტული ჟინით არ იქნება გაჟღენთილი. ამერიკაზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ ის შეიძლება ფავორიტთა გამწბილებლად იქცეს, თორემ ირანი, ვგონებთ საფრანგეთში რომ ჩადის, უკვე კმაყოფილია. ფავორიტებზე კი რა გითხრათ, წარსული საქმენი მეტყველებენ.

*E ჯგუფის მონაწილეებს გაგაცნობთ*

*ილია ჭაჭყანაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია

## მიდრკე გემოვნებაზე დავობენ

რამდენიმე წლის წინ ტელევიზორმა ძველი კადრები გამოასხივა. ის, რასაც აჩვენებდნენ, მეორე მსოფლიო ომის დროს იყო გადაღებული, მაგრამ ნამდვილად ვერ გეტყვით სად, რომელ ქალაქში. ამას არც აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რომ გერმანიის ერთ-ერთი ქალაქი გახლდათ.

ომი მთავრდებოდა, მოკავშირეები ბერლინს უახლოვდებოდნენ, ქალაქებს ბომბავდნენ. ხსენებული დოკუმენტური კადრებიც საჰაერო თავდასხმის დროს იყო გადაღებული. მოსახლეობა ყუმბარებისგან თავის დასაცავად საგანგებო საფარისკენ გარბოდა. ქუჩებს განგაშის ხმა აყრუებდა. ბომბსაფარის შესასვლელთან, სადღაც შორიახლოს, გაზონი იყო. ხალხს, რომელიც სიცოცხლის გადასარჩენად გარბოდა, გაზონი არ გადაუთელავს. კინოოპერატორს გამაოგნებელი რამ აქვს ფირზე აღბეჭდილი: ისინი გზას არ ჭრიდნენ, ხსნის ადგილისკენ მართი კუთხეებით მიემართებოდნენ, ასფალტის თუ ბეტონის ბილიკს მიუყვებოდნენ.

იქნებ, ეს ცალკეული, გამონაკლისი შემთხვევა იყო. იმ წუთას, ალბათ, არც ყუმბარები ასკდებოდათ თავზე, ეტყობა იცოდნენ, რომ შეასწრებდნენ, მაგრამ რაც უნდა იყოს, ეს რამდენიმე წამის ხანგრძლივობის კადრი საუცხოოდ მეტყველებს ხალხზე, რომელიც გარბოდა.

მერე ომი დამთავრდა, გავიდა რამდენიმე ათეული წელიწადი და ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი სახელად კარლჰაინც რუმენიგე სათამაშოდ მილანის „ინტერში" გადავიდა. მაშინ გერმანია ჯერ კიდევ ორად იყო გაყოფილი, ფედერაციულ და დემოკრატიულ რესპუბლიკებად, ჩვენ კი საბჭოთა კავშირს ვეკუთვნოდით და ქართული „ლელოს" გარდა პოპულარულ რუსულ „სოვეტსკი სპორტს" ვკითხულობდით. სწორედ მოსკოვის ამ გაზეთში ეწერა რეპორტაჟი „ინტერის" ბაზიდან. იქ აღწერილი იყო, როგორ ასრულებდა რუმენიგე ფინტებს, რომლითაც გენიალური დიეგო მარადონა გახლდათ ცნობილი. რუმენიგე თურმე მსუბუქად, ლაღად, თანაგუნდელებზე უკეთ იმეორებდა დიეგოს ხრიკებს. მაშ რად არ აკეთებდა იმავეს ოფიციალური მატჩების დროს? სწორედ აქაა ძაღლის თავი დამარხული. არ ასრულებდა იმიტომ, რომ ის კარლჰაინცი იყო და არა დიეგო, იმიტომ, რომ მას თამაშისა და ცხოვრების სხვაგვარი ხედვა ჰქონდა, იმიტომ, რომ მისი სისხლის ხალხი საჰაერო თავდასხმის დროსაც არ თელავს გაზონს.

არ ვიცი გასაგებად თუ ვთქვი და არც ჭეშმარიტების პრეტენზია გამაჩნია, მაგრამ ვგონებ, მართი კუთხეებით თავის გადარჩენასა და ამ ფინტების ამბავს შორის უნდა იყოს რაღაც კავშირი. დიახ, რუმენიგეს თანამემამულეებს ყველაფრისადმი ოდითგანვე თავისებური დამოკიდებულება აქვთ და ამ დამოკიდებულებამ ისინი ფეხბურთში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები გახადა.

გემოვნებაზე კი მოგეხსენებათ, დავობენ და ამიტომაცაა ზოგს ფინტებიანი გოლი რომ უჯობს, ზოგს კი უფინტო. არა, კამათი არასდროს დაცხრება. ნურც დაცხრება, კამათი ჯანსაღი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. აბა მარტო ის ხომ არაა ფეხბურთი, რაც საათნახევრის განმავლობაში ასმეტრიან მოედანზე ხდება. გარკვეული გაგებით სწორედ კამათი და გემოვნებაზე დავაა ყველაფრის დედააზრი, თორემ ფინტიანი თუ უფინტო, გოლი გოლია.

ბევრის აზრით, გერმანიის ნაკრები ამაღელვებლად, თვალსასეიროდ ვერ თამაშობს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ 12 ივლისს „სტად დე ფრანსზე" მათ ოქროს თასის აღმართვის შნო არა აქვთ. პირიქით, სულაც არ იქნება გასაკვირი მსოფლიოს მეორე ოთხგზის ჩემპიონი რომ მოევლინოს.

„იმას არ ვამბობ, აუცილებლად მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებით-მეთქი. ვამბობ, რომ შეგვიძლია გავხდეთ. სხვა ფავორიტებს ჩვენზე ნიჭიერი ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ ჩვენ მათი დამარცხება მაინც შეგვიძლია" — ამბობს გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ბერტი ფოგტსი.

უკეთ მოთამაშე გუნდების დამარცხება გერმანელთა ერთ-ერთი თვისებაა, რომელიც მათ 1996 წელს ინგლისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზეც საკმაოდ ნათლად დაამტკიცეს. შემდეგ, მსოფლიოს პირველობის შესარჩევ ციკლში არცთუ სახარბიელო გამოსვლამ (იგულისხმება არა შედეგი, არამედ თამაშის ხარისხი), მწვრთნელი ერთგვარ საგონებელშიც კი ჩააგდო. მაგრამ აგერ ახლა, მარტში, გერმანელებმა შინ, შტუტგარტში ბრაზილიელებთან ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს და... მიუხედავად წაგებისა, ფოგტსი ოპტიმისტურად განეწყო.

„ეჭვი არ მეპარება, რომ სწორი კურსი გვაქვს არჩეული" — ბრძანა ბუნდესმწვრთნელმა, თუმც რონალდომ ბოლო წუთზე გატანილი გოლით შეგირდები დაუმარცხა.

ფრანც ბეკენბაუერს, რომელსაც მსოფლიოს თასი ფეხბურთელობის დროსაც მოუგია და მწვრთნელობის დროსაც, ეთანხმება ყოფილ თანაგუნდელს. მანაც შენიშნა, რომ გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს თამაშით არაფერი დაუთმო და სრულიად შესაძლებელი გახლდათ მატჩი სხვა ანგარიშით დამთავრებულიყო.

„ჩვენ დავინახეთ, რომ ბრაზილიის დამარცხება წარმოუდგენელი ამბავი არ არის" — განაცხადა ლეგენდარულმა ლიბერომ — „ბრაზილიის ნაკრები ჯადოსნური გუნდი სულაც არ გახლავთ, იგი თერთმეტი ჩვეულებრივი ადამიანისგან შედგება. მთელი 90 წუთის განმავლობაში ჩვენ უკეთ ვთამაშობდით, საგოლე მომენტებიც მეტი გვქონდა, ამიტომაც გამარჯვება დამსახურებული იქნებოდა".

მოგეხსენებათ, ფეხბურთელები ცრუმორწმუნე ხალხია. ზოგი თამაშის დღეს წვერს არ იპარსავს, სტადიონზე მისულები ავტობუსიდან ერთი და იმავე რიგით ჩადიან, ხოლო თუ ვინმემ ვინმეს, რომელიმე მოგებული თამაშის წინ ვთქვათ უჩქმიტა, საბრალომ იმ დღიდან მოყოლებული, ყოველი შეხვედრის წინ ისევ იმას უნდა აჩქმეტინოს. ასევეა ამ ქალაქის ამბავიც. 1996 წლის ივნისში გერმანიის ნაკრებმა შტუტგარტში, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის მოსამზადებლად, საფრანგეთთან ამხანაგური მატჩი ითამაშა და 0:1 წააგო. მას მერე ოცდაორმა წაუგებელმა თამაშმა განვლო და ახლა შტუტგარტში დამარცხდა ბრაზილიასთან. ნეტავ ამ ქალაქში შემდეგი მატჩი როდის გაიმართება?

ფოგტსი ხშირად იმეორებს, რომ 1996 წლის მარცხი ფრანგებთან, მისი საყვარელი მარცხი იყო. ეტყობა, რაღაც განსაკუთრებული შენიშნა მაშინ მწვრთნელმა, რადგან რამდენიმე კვირის მერე ლონდონში, „უემბლიზე" გერმანიამ ჩეხეთს 2:1 მოუგო და კონტინენტის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

როგორც მოგახსენეთ, ბრაზილიასთან შეხვედრამდე ფოგტსი შეფიქრიანებული იყო. ალბათ გულს უღრღნიდა ოთხი წლის წინანდელი ჩემპიონატის გახსენება, სადაც მეოთხედფინალში ბულგარეთთან 1:2 წააგო. უკეთეს პერსპექტივას კი ბუნდესმწვრთნელი ვერ ხედავდა. ანკი როგორ უნდა ყოფილიყო კარგ ხასიათზე, როდესაც შესარჩევი შეჯიბრების ბოლო თამაშში, ჰანოვერში, ალბანეთთან 4:3-ის მოსაგებად დიდი ჯახირი და ჭიდაობა მოუხდა. ჰანოვერის მატჩში გამარჯვების გოლი ოლივერ ბირჰოფმა ბოლო წამებზე გაიტანა.

ბირჰოფი ყველაზე საჭირო გოლების გატანის ოსტატია. „უემბლიზე" ჩეხებს სწორედ მისმა ორმა დარტყმამ შემოაკვრევინა თავში ხელი.

იტალიური „უდინეზეს" ფორვარდმა ბელფასტში ჩრდილო ირლანდიის ნაკრებს შვიდ წუთში სამი გოლი შეუგდო. შემდეგ რომ დათვალეს, დაასკვნეს, რომ გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ჰეთ-თრიკი ასე მოკლე დროში არავის შეუსრულებია. იმ შეხვედრას ფოგტსის ბიჭები აგებდნენ, მაგრამ 3:1 მოიგეს. იტალიის ახლახანს დამთავრებულ პირველობაზე კი ოლივერ ბირჰოფი საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მან 27 გოლი გაიტანა.

გერმანელთა ავანგარდში ანგარიშგასაწევი ძალაა ლევერკუზენის „ბაიერნში" მოთამაშე ულფ კირსტენიც, მაგრამ მთავარი მაინც იურგენ კლინსმანია.

„იმედი მაქვს საფრანგეთში ხუთ დიდებულ კვირას გავატარებთ". განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეს ჩემპიონატი იქნება ჩემთვის, რადგან თუ გავიმარჯვებთ, ფეხბურთის თამაშს მწვერვალზე დავანებებ თავს" — განაცხადა 33 წლის ვარსკვლავმა, რომელიც მართალია გასულ სეზონში ახალგაზრდულად ველარ დაქროდა, მაგრამ ამასწინათ ინგლისის პირველობაზე თავისი „ტოტენჰემ ჰოტსპურის" შემადგენლობაში ერთ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა.დიახ, ფოგტსის განკარგულებაში 6-7 მაღალი კლასის თავდამსხმელია და სწორედ ამან ათქმევინა ახლო წარსულის გამოჩენილ ფეხბურთელს, თავად ფორვარდს რუდი ფიოლერს: „შეტევაში ჩვენ მხოლოდ ბრაზილიას ჩამოუვარდებით. ფრანგებს ნამდვილი ლიდერი არ ჰყავთ, იტალიელებს კი წინ თამაში ვერ აქვთ რიგიანად აწყობილი".

საქმის აწყობა გერმანელთა კოზირია, ხელმძღვანელის შერჩევაც იციან და გამოყენებაც. მათი უნარისა და სტაბილურობის საუცხოო მაჩვენებელი კი ნაკრების არსებობის 72-წლიან ისტორიაში მწვრთნელთა რაოდენობა გახლავთ. 1926 წლიდან დღემდე გერმანიის (იგივე გფრ-ს) ეროვნულ გუნდს მხოლოდ და მხოლოდ ექვსი ადამიანი თავკაცობდა: ნერცი, ჰერბერგერი, შიონი, დერვალი, ბეკენბაუერი და ფოგტსი. მათგან ყველაზე ნაკლები (11) დერვალმა და ფოგტსმა წააგეს, მაგრამ დერვალმა 67-ჯერ უხელმძღვანელა გუნდს, ახლანდელ მწვრთნელს კი უკვე 91 შეხვედრა აქვს გამოვლილი.



გერმანიის ნაკრები. დგანან: კირსტენი, კლინსმანი, ჰაინრიხი, ვორმსი, ტარნატი, ჰელმერი; სხედან: ვოში, კმეტჩში, ტონი, ჰესლერი, კიოპკე



1982 წლის დაუვიწყარი ნახევარფინალი. ტრეზორის (№8) ამ გოლის მერე ფრანგები დაწინაურდნენ, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც გერმანელებს დარჩათ და ფინალშიც ისინი გავიდნენ

### გერმანია მონაწილეობდა 13 მსოფლიო ჩემპიონატში

ჩემპიონი: 1954, 1974, 1990; მეორე ადგილი: 1966, 1982, 1986; მასპინძელი 1974

| | 73 | +42 =16 −15 157:98 |
|---|---|---|
| **1934** | | |
| ბელგია | 5:2 | კონენი 3, კობიერსკი, სიფლინგი |
| შვედეთი | 2;1 | ჰოჰმანი 2 |
| ჩეხოსლოვაკია | 1:3 | ნოაკი |
| ავსტრია | 3:2 | ლეჰნერი 2, კონენი |
| **1938** | | |
| შვეიცარია | 1:1 | გაუშელი |
| შვეიცარია | 2:4 | ჰაჰნემანი, საკ. კარში |
| **1954** | | |
| თურქეთი | 7:2 | მორლოკი 3, შაფერი 2, ო. ვალტერი, ფ. ვალტერი |
| უნგრეთი | 3:8 | პფაფი, რანი, ჰერმანი |
| თურქეთი | 7:2 | მორლოკი 3, შაფერი 2, ო. ვალტერი, ფ. ვალტერი |
| იუგოსლავია | 2:0 | საკ. კარში. რანი |
| ავსტრია | 6:1 | ფ. ვალტერი 2, ო. ვალტერი 2, შაფერი, მორლოკი |
| უნგრეთი | 3:2 | რანი 2, მორლოკი |
| **1958** | | |
| არგენტინა | 3:1 | რანი 2, ზეელერი |
| ჩეხოსლოვაკია | 2:2 | შაფერი, რანი |
| ჩ. ირლანდია | 2:2 | რანი, ზეელერი |
| იუგოსლავია | 1:0 | რანი |
| შვედეთი | 1:3 | შაფერი |
| საფრანგეთი | 3:6 | ჩესლარჩიკი, რანი, შაფერი |
| **1962** | | |
| იტალია | 0:0 | |
| შვეიცარია | 2:1 | ბრუელსი, ზეელერი |
| ჩილე | 2:0 | შიმანიაკი, ზეელერი |
| იუგოსლავია | 0:1 | |
| **1966** | | |
| შვეიცარია | 5:0 | ჰალერი 2, ბეკენბაუერი 2, ჰელდი |
| არგენტინა | 0:0 | |
| ესპანეთი | 2:1 | ემერიხი, ზეელერი |
| ურუგვაი | 4:0 | ჰელდი, ბეკენბაუერი, ზეელერი, ჰალერი |
| სსრკ | 2:1 | ჰალერი, ბეკენბაუერი |
| ინგლისი | 2:4 | ჰალერი, ვებერი |
| **1970** | | |
| მაროკო | 2:1 | ზეელერი, მიულერი |
| ბულგარეთი | 5:2 | მიულერი 3, ლიბუდა, ზეელერი |
| პერუ | 3:1 | მიულერი 3 |
| ინგლისი | 3:2 | ბეკენბაუერი, ზეელერი, მიულერი |
| იტალია | 3:4 | შნელინგერი, მიულერი 2 |
| ურუგვაი | 1:0 | ოვერატი |
| **1974** | | |
| ჩილე | 1:0 | ბრაიტნერი |
| ავსტრალია | 3:0 | ოვერატი, კულმანი, მიულერი |
| გდრ | 0:1 | |
| იუგოსლავია | 2:0 | ბრაიტნერი, მიულერი |
| შვედეთი | 4:2 | ოვერატი, ბონჰოფი, გრაბოვსკი, ჰიონესი |
| პოლონეთი | 1:0 | მიულერი |
| ჰოლანდია | 2:1 | ბრაიტნერი, მიულერი |
| **1978** | | |
| პოლონეთი | 0:0 | |
| მექსიკა | 6:0 | რუმენიგე 2, ფლოე 2, დ. მიულერი, ჰ. მიულერი |
| ტუნისი | 0:0 | |
| იტალია | 0:0 | |
| ჰოლანდია | 2:2 | აბრამჩიკი, დ. მიულერი |
| ავსტრია | 2:3 | რუმენიგე, ჰოლცენბაინი |
| **1982** | | |
| ალჟირი | 1:2 | რუმენიგე |
| ჩილე | 4:1 | რუმენიგე 3, რაინდერსი |
| ავსტრია | 1:0 | ჰრუბეში |
| ინგლისი | 0:0 | |
| ესპანეთი | 2:1 | ლიტბარსკი, ფიშერი |
| საფრანგეთი | 3:3 | ლიტბარსკი, რუმენიგე, ფიშერი. პენალტები 5:4 |
| იტალია | 1:3 | ბრაიტნერი |
| **1986** | | |
| ურუგვაი | 1:1 | ალოფსი |
| შოტლანდია | 2:1 | ფიოლერი, ალოფსი |
| დანია | 0:2 | |
| მაროკო | 1:0 | მათეუსი |
| მექსიკა | 0:0 | პენალტებით 4:1 |
| საფრანგეთი | 2:0 | ბრემე, ფიოლერი |
| არგენტინა | 2:3 | რუმენიგე, ფიოლერი |
| **1990** | | |
| იუგოსლავია | 4:1 | მათეუსი 2, კლინსმანი, ფიოლერი |
| საემიროები | 5:1 | ფიოლერი 2, კლინსმანი, მათეუსი, ბაინი |
| კოლუმბია | 1:1 | ლიტბარსკი |
| ჰოლანდია | 2:1 | კლინსმანი, ბრემე |
| ჩეხოსლოვაკია | 1:0 | მათეუსი |
| ინგლისი | 1:1 | ბრემე, პენალტებით 4:3 |
| არგენტინა | 1:0 | ბრემე |
| **1994** | | |
| ბოლივია | 1:0 | კლინსმანი |
| ესპანეთი | 1:1 | კლინსმანი |
| კორეა | 3:2 | კლინსმანი 2, რიდლე |
| ბელგია | 3:2 | კლინსმანი, ფიოლერი 2 |
| ბულგარეთი | 1:2 | მათეუსი |

# იუგოსლავია

## როდესაც ბოლი გაიფანტა

მაიმუნმა შემთხვევით დააქუხა ტანკი და მიწისქვეშეთის კედელი გაანგრა. ხალხმა პირველად დაინახა სივრცე, რომელიც კედლის მიღმა თურმე არსებული გვირაბით, თანდათანობით ზემოთ, მდინარის პირას ადიოდა. მიწისქვეშეთის მაცხოვრებლები გვირაბს გაყვნენ და აღმოჩნდნენ იქ, სადაც ოდესღაც, მათ შორის ყველაზე ასაკოვანნი ცხოვრობდნენ, ქვემოთ დაბადებულებმა კი მხოლოდ გადმოცემით იცოდნენ რა არის მთვარე, ცხენი... ერთმა ჭურვმა მთელი საზოგადოების ცხოვრება შეცვალა, ისინი ერთბაშად სხვა სამყაროში აღმოჩნდნენ.

ასე შემთხვევით გაიგო (თუ გაიგო) პეტერ ჩორნიმ, რომ ჰიტლერულ გერმანიასთან ომი რამდენიმე ათწლეულის დამთავრებულია და ამ ხნის მანძილზე მისი სიყრმის მეგობარი ტავარიშჩ მარკო ატყუებდა სამშობლოს იატაკქვეშეთში სჭირდებიო. თავად ტავარიშჩ მარკო ზევით ცხოვრობდა, კომუნისტური სულისკვეთების ლექსებს კითხულობდა ვითომცდა გარდაცვლილ გმირზე და მისი ლამაზი მეუღლე თავისად ჰყავდა.

ალბათ გაგახსენდათ ემირ კუსტურიცას ფილმი „იატაკქვეშეთი", რომელიც გარდა იმისა, რაც ზევით ვთქვით, უამრავ თემას თუ ქვეთემას მოიცავს, მაგრამ ერთ საკითხს, ერთ ქვეყანას, იუგოსლავიას ეხება.

ჩვენც თუ კუსტურიცას დავესესხებით, გამოვა, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთი, როგორც ცხოვრების შემადგენელი და არცთუ მეორეხარისხოვანი ნაწილი, ორი ეპოქისგან შედგება: სანამ მაიმუნი კედელს გაანგრევდა და მას მერე, რაც მაიმუნმა კედელი გაანგრია. და თუმც ისტორიის წიგნებში 1930 წლიდან მოყოლებული დღემდე, ჯერჯერობით მხოლოდ იუგოსლავიაა ჩანიშნული, დღევანდელი იუგოსლავია ის აღარაა, სხვაა, ხორვატიის, მაკედონიის, ბოსნიის და სლოვენიის გარეშე. ერთმა, საკმაოდ ძლიერმა საფეხბურთო ქვეყანამ მინიმუმ ორი შვა, თავად იუგოსლავია და ხორვატია. ამისათვის კი ფეხბურთის მოყვარულებს მაიმუნისთვის მადლობის თქმა გვმართებს.

ადრინდელი იუგოსლავიის ნაკრებმა მსოფლიოს პირველსავე ჩემპიონატზე, საკმაო წარმატებას მიაღწია. აღსანიშნავია, რომ გუნდი მონტევიდეოში, სხვა ევროპელი მონაწილეებისგან განსხვავებით, თვითმფრინავით გაემგზავრა და არა გემით. ეს საქმისადმი დამოკიდებულებაზე მეტყველებდა. სხვათა შორის, თვითმფრინავი, რომელშიც იუგოსლაველი ფეხბურთელები ისხდნენ, გახლდათ სწორედ ის, რომლითაც ატლანტიკის ოკეანე თვით ჟიულ რიმემ და მისმა თასმა, „ოქროს ქალღმერთმა" გადაკვეთეს.

ვინაიდან სერბებსა და ხორვატებს შორის იმთავითვე დაძაბული იყო ურთიერთობა, 1930 წლის ნაკრები სამხრეთ აფრიკაში ხორვატი მოთამაშეების გარეშე ჩავიდა, მაგრამ პირველსავე შეხვედრაში ძლიერი მოწინაალმდეგე, ბრაზილიი დაამარცხა. პირველ ტაიმში იუგოსლავიამ ორი გოლი გაიტანა, შესვენების შემდეგ კი მეკარის მილოვან იაკშიჩის თავგამოდების წყალობით მხოლოდ ერთი გაუშვა. სწორედ მაშინ შეარქვეს იაკშიჩს „ელ გრან მილოვან". მეორე თამაშში ბოლივიის 4:0 დამარცხების შემდეგ იუგოსლავიელები ნახევარფინალში ურუგვაის გადაეყარნენ.

იმ ნახევარფინალის მსაჯი გახლდათ ბრაზილიელი ჟილბერტო რეგუ, რომელიც, როგორც თვითმხილველები აღწერენ, ერთობ მიკერძოებული ვინმე ბრძანებულა. თურმე იუგოსლავია 1:0-ს რომ იგებდა, მეორეც გაუტანია, მაგრამ რეგუს ყოველგვარი მიზეზის გარეშე არ ჩაუთვლია გოლი, შემდეგ კი ურუგვაელი სეას მიერ აშკარა ოფსაიდიდან გატანილზე თვალი დაუხუჭავს. უფრო საინტერესო მერე მომხდარა, 31-ე წუთზე. ურუგვაის შეტევა წამოუწყია, მაგრამ მავან ფეხბურთელს ბურთი იუგოსლავიის კუთხურის ხაზს მიღმა გადავარდნია. იქვე ვილაც პოლიციელი მდგარა. პოლიციელს ბურთი მოედანზე დაუბრუნებია და ასეთი „მახვილგონივრული" პასით ანსელიმოს გოლი გაუტანია. რეგუმ გოლი ჩათვალა.

თამაშის მერე ბრაზილიელმა მსაჯმა პირადი მცველები დაიქირავა, რადგან დამარცხებულთა ერთ-ერთ ფეხბურთელს შურისძიება ჰქონდა ჩაფიქრებული. რეგუ დაუსჯელი დარჩა.

ამ წერილში იუგოსლავიელთა რევავე ჩემპიონატს ვერ მიმოვიხილავთ, ამიტომაც 1930 წლის შემდეგ გამოვტოვოთ დიდი დრო და დღევანდელ ამბებზე ჩამოვაგდოთ სიტყვა. დღეს, ექსწლიანი სიგიჟისა და ომების შემდეგ იუგოსლავიის ნაკრები კვლავ მსოფლიოს პირველობაზე მიემგზავრება.

ბელგრადის წინააღმდეგ შემოღებულმა საერთაშორისო სანქციებმა ქვეყანას, რომლის შემადგენლობაშიც მხოლოდ სერბია და ჩერნოგორიაა დარჩენილი, ევროპის 1992 წლის ჩემპიონატი გამოატოვებინა (მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა შესარჩევი ციკლი გაიარა და შვედეთის საგზური მოიპოვა). იგივე ბედი ეწია მსოფლიოს 1994 წლის და ევროპის 1996 წლის ჩემპიონატებს.

იუგოსლავიელ ფეხბურთელთა უთუოდ ნიჭიერი თაობისთვის ეს ძალიან სერიოზული დარტყმა გახლდათ. სპორტული თვალსაზრისით იმ ქვეყნის დისკვალიფიკაცია, რომლის ნაკრებმაც 1990 წელს მსოფლიოს პირველობაზე რვა უძლიერესში დაიმკვიდრა ადგილი, კლუბმა „ცრვენა ზვეზდამ" კი 1991 წელს ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა, მთლად სამართლიანი ალბათ მაინც არ იყო.

იმ წლებში ძალიან ბევრმა იუგოსლავიელმა ფეხბურთელმა ნავთსაყუდელს ევროპის მოწინავე გუნდებში მიაგნო, 1994 წლის დეკემბერში, სანქცების გაუქმების შემდეგ კი ახალდანიშნულ მწვრთნელს, სლობოდან სანტრაჩს ყველაფრის ნულიდან დაწყება მოუხდა.

რამდენიმე დღის დანიშნული იყო სანტრაჩი თანამდებობაზე, რომ მისმა ფაქტობრივად მთლიანად ლეგიონერებით დაკომპლექტებულმა გუნდმა არგენტინასა და ბრაზილიაში წააგო ამხანაგური შეხვედრები.

„მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების უმეტესობას ჩვენნაირი პრობლემები აქვთ. ფეხბურთელები უცხოეთში თამაშობენ და იქაური მწვრთნელები მათ თავისებურად ავარჯიშებენ. სწორედ ამიტომაა ჩემი გუნდის სტრუქტურა გარემოებებით ნაკარნახევი" — თავს იმშვიდებს სანტრაჩი.

სირთულეების მიუხედავად, იუგოსლავიის ნაკრებმა შეძლო შესარჩევ ჯგუფში ესპანეთის შემდეგ მეორე ადგილის დაკავება. შესარჩევი კამპანია გუნდმა შთამბეჭდავად დაიწყო, 3:1 მოუგო ფარერის კუნძულებს, 6:0 მალტას და 8:1 ისევ ფარერებს, მაგრამ თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რომ ორივე მეტოქე სუსტი ჰყავდა. პირველი ნამდვილი გამოცდა სანტრაჩის გუნდმა ევრო 96-ის ვიცე-ჩემპიონ ჩეხეთთან ჩააბარა. იუგოსლავიელებმა ჩეხებს 1:0 მოუგეს, გოლი მადრიდის „რეალში" მოთამაშე პრედრაგ მიატოვიჩმა გაიტანა, სწორედ მან, 20 მაისს ჩემპიონთა თასის ფინალში „იუვენტუსს" რომ წაღლიტა კლუბთა მთავარი ევროპული ჯილდო.

ესპანელებთან სტუმრად 0:2 დამარცხებამ ნათელჰყო, რომ იუგოსლავია ჯგუფში პირველ ადგილს ვერ დაიკავებდა და მსოფლიოს პირველობაზე გადათამაშების გარეშე ვერ გავიდოდა. მართლაც, სერბთა და ჩერნოგორიელთა გუნდი მეორე ადგილზე გავიდა. მოიპოვებდა თუ ვერა იგი საფრანგეთის საგზურს, უნდა გადაეწყვიტა ორ (შინ და სტუმრად) მატჩს უნგრეთის ეროვნულ გუნდთან.

სანტრაჩის ქვეშევრდომებმა ამოცანას ძალიან იოლად გაართვეს თავი, საბრალო უნგრელებს ბუდაპეშტში 7:1 მოუგეს, შინ 5:0 და მსოფლიოს ამცნეს, რომ საფრანგეთში ჩამსვლელთ მეტად ძლიერ მეტოქესთან მოუხდებათ საქმის დაჭერა.

„ჩვენი თაობა ვალდებული იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოეპოვებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში ფეხბურთი დიდი ხნით ჩაქინდრავდა თავს" — თქვა მიატოვიჩმა.

შესარჩევში გამარჯვების მერე სანტრაჩს ერთიან ძირითად შემადგენლობასთან მუშაობის საშუალება ფაქტობრივად აღარ მისცემია, ამიტომაც ახალგაზრდები გამოსცადა საქმეში. ახალგაზრდათაგან ყურადღების ცენტრში „ცრვენა ზვეზდას" ნახევარმცველი დეიან სტანკოვიჩი გახლავთ.

შემადგენლობამ, რომელსაც უფრო მეორე შეგვიძლია ვუწოდოთ, თებერვალში არგენტინასთან 1:3 წააგო, მთავარი მოთამაშეების კრებულმა კი იანვარში ტუნისს 3:0 აჯობა, მარტში კი კოლუმბიასთან 0:0 ითამაშა.

სტანკოვიჩმა აპრილში კორეასთან ისახელა თავი, რომლითაც ორი გოლი გაიტანა. თამაში იუგოსლავიელთა გამარჯვებით 3:1 დამთავრდა.

ამხანაგური შეხვედრა მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგური შეხვედრაა. მთავარი ამბები საფრანგეთში დატრიალდება, სადაც დასაბანაკებლად იუგოსლავიელებს მდინარე ლუარასპირა დაბა სან ჟალმე აქვთ შეგულებული. იქ მოემზადება გუნდი, რომლისგანაც ნებისმიერი დიდი გუნდის გაწბილებაა მოსალოდნელი, მაგრამ...

„მაგრამ ეიფორია საჭირო არ არის. უნგრელებს ორი შეხვედრის ჯამში 12:1 რომ მოვუგეთ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებით. მე ასე ვიტყოდი: იუგოსლავია ძალიან ძლიერი გუნდია და თუ რაიმე სისულელე არ ჩავიდინეთ, ნახევარფინალში უთუოდ მოვხვდებით" — თქვა ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა მოთამაშემ, „მილანის" ნახევარმცველმა დეიან სავიჩევიჩმა.

მართლაც არ არის საჭირო ეიფორია. იუგოსლავიის ჯგუფში გერმანიაა, გუნდი, რომელიც სლავთა ამ ქვეყანას მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ერთადერთხელ, 1962 წელს ჰყავს დამარცხებული. დანარჩენი ოთხი შეხვედრა გერმანელთა უპირატესობას ღაღადებს.



იუგოსლავიის ნაკრები. დგანან: ჯუკიჩი, იოკანოვიჩი, მილოშევიჩი მიჰაილოვიჩი, კრალი, სტოიკოვიჩი; სხედან: ვიდაკოვიჩი, იუგოვიჩი, საველიჩი, მიატოვიჩი, სავიჩევიჩი




ბელგრადში, ესპანელებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, 52 000 მაყურებლის მხარდაჭერის მიუხედავად იუგოსლავიელები მარცხისგან მიატოვიჩის მიერ 86-ე წუთზე გატანილმა თერთმეტმეტრიანმა იხსნა

### იუგოსლავიელთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 27.03.96 | (ა) | ბელგრადი | რუმინეთი | 1:0 | სტოიკოვიჩი |
| 24.04.96 | (მშ) | ბელგრადი | ფარერები | 3:1 | მილოშევიჩი, სავიჩევიჩი 2 |
| 23.05.97 | (ა) | შიძუკა | მექსიკა | 0:0 | |
| 26.05.96 | (ა) | ტოკიო | იაპონია | 0:1 | |
| 2.06.96 | (მშ) | ბელგრადი | მალტა | 6:0 | მიატოვიჩი, სავიჩევიჩი 2, სტოიკოვიჩი, მილოშევიჩი, საკ. კარში |
| 6.06.96 | (მშ) | ტოფტირი | ფარერები | 8:1 | მილოშევიჩი 3, იოკანოვიჩი 2, მიატოვიჩი, სტოიკოვიჩი, იუგოვიჩი |
| 10.11.96 | (მშ) | ბელგრადი | ჩეხეთი | 1:0 | მიატოვიჩი |
| 14.12.96 | (მშ) | ვალენსია | ესპანეთი | 0:2 | |
| 28.12.96 | (ა) | მარ დელ პლატა | არგენტინა | 3:2 | გოვედარიცა, დრულოვიჩი, იოვიჩიჩი |
| 7.02.97 | (ა) | ჰონკონგი | რუსეთი | 1:1 | დრობნიაკი |
| 10.02.97 | (ა) | ჰონკონგი | ჰონკონგი | 3:1 | მილოშევიჩი, დრობნიაკი 2 |
| 12.03.97 | (ა) | ბელგრადი | რუსეთი | 0:0 | |
| 2.04.97 | (მშ) | პრაღა | ჩეხეთი | 2:1 | მიატოვიჩი, მილოშევიჩი |
| 30.04.97 | (მშ) | ბელგრადი | ესპანეთი | 1:1 | მიატოვიჩი |
| 8.06.97 | (მშ) | ბელგრადი | სლოვაკეთი | 2:0 | მიატოვიჩი, სავიჩევიჩი |
| 12.06.97 | (ა) | სეული | განა | 3:1 | იოკანოვიჩი, ბოგდანოვიჩი 2 |
| 14.06.97 | (ა) | სეული | ეგვიპტე | 0:0 | |
| 16.06.97 | (ა) | სეული | კორეა | 1:1 | იოკანოვიჩი |
| 20.08.97 | (ა) | პეტერბურგი | რუსეთი | 1:0 | იოკანოვიჩი |
| 10.09.97 | (მშ) | ბრატისლავა | სლოვაკეთი | 1:1 | მიჰაილოვიჩი |
| 11.10.97 | (მშ) | ვალეტა | მალტა | 5:0 | მიატოვიჩი, სავიჩევიჩი, მილოშევიჩი, იუგოვიჩი, მიჰაილოვიჩი |
| 29.10.97 | (მშ) | ბუდაპეშტი | უნგრეთი | 7:1 | მიატოვიჩი 3, სავიჩევიჩი, ბრნოვიჩი, მილოშევიჩი, ჯუკიჩი |
| 15.11.97 | (მშ) | ბელგრადი | უნგრეთი | 5:0 | მიატოვიჩი 4, მილოშევიჩი |
| 28.01.98 | (ა) | ტუნისი | ტუნისი | 3:0 | ბრნოვიჩი, იოკანოვიჩი 2 |
| 24.02.98 | (ა) | მარ დელ პლატა | არგენტინა | 1:3 | დრობნიაკი |
| 25.03.98 | (ა) | ბოგოტა | კოლუმბია | 0:0 | |
| 22.04.98 | (ა) | ბელგრადი | კორეა | 3:1 | სტანკოვიჩი 2, იოკანოვიჩი |
| 29.05.98 | (ა) | ბელგრადი | ნიგერია | 3:0 | კოვაჩევიჩი, მიატოვიჩი, მილოშევიჩი |

შემოკლებანი: (ა) — ამხანაგური, (მშ) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აშშ
# არის ასეთი ქვეყანა

ამერიკაში აქა-იქ ყოველთვის თამაშობდნენ ფეხბურთს. ინგლისელები, ირლანდიელები, იტალიელები და სხვანი თავიანთ ჭიას ახარებდნენ. ისინი საკუთარ ტურნირებს იგონებდნენ, მოგვიანებით კი ფეხბურთმა დიდ საუნივერსიტეტო ქალაქებში მოიკიდა ფეხი. ჰარვარდში, იელსა და პრინსტონში სტუდენტები ევროპული თამაშით იქცევდნენ თავს.

აშშ-ის ნაკრების პირველი მატჩი 1885 წლის 28 ნოემბერს გაიმართა. გუნდი დასავლეთ გუდზონის კლუბებიდან ამოკრებილი ფეხბურთელებისგან შედგებოდა, ხოლო მათი მეტოქე გახლდათ მეზობელი კანადა. კანადელებმა გაიმარჯვეს 1:0.

1930 წელს, ურუგვაიში მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი გაიმართა. მასში ევროპის ბევრმა ქვეყანამ არ მიიღო მონაწილეობა. მათ ატლანტიკის ოკეანის გადასერვა და სამხრეთ ამერიკაში, ცოტა ხნით საბურთაოდ ჩასვლა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს. მონტევიდეოში 13-მა მონაწილემ მოიყარა თავი, რომელთა შორის აშშ-იც გახლდათ. მაშინდელ გუნდში ამერიკელებს ხუთი ყოფილი შოტლანდიელი პროფესიონალი ჰყავდათ, იყო ერთი ინგლისელიც. მათ ბელგიასა და პარაგვაის ერთნაირი ანგარიშით, 3:0 მოუგეს, მაგრამ შემდეგ ნახევარფინალში არგენტინასთან წაგეს 1:6.

ასე იყო თუ ისე, ამერიკამ მსოფლიო ფეხბურთში გარკვეული ავტორიტეტი მოიპოვა, მაგრამ იგი მალევე გაატანა ქარს.

რატომ არ ისურვეს ამერიკელებმა ფეხბურთის განვითარება, ძნელი სათქმელია. რთულ საკითხზე ალბათ საგანგებოდ ნამუშევარმა ადამიანმა უნდა გასცეს პასუხი. იქნებ სპორტის ამ სახეობაში რაღაც არაამერიკულია? იქნებ ის არ მოეწონათ, რომ მთელი საათნახევრის განმავლობაში შეიძლება მხოლოდ ერთი გოლი გავიდეს ან სულაც 0:0 დამთავრდეს მატჩი. იქნებ ამერიკულ გულსა და გონებას მოვლენათა და ანგარიშის სწრაფი ცვლა სჭირდება? შესაძლოა მიზეზი სულ სხვაგანაც იყოს საძებნელი. მოკლედ, გავიდა წლები და აშშ-ში ფეხბურთი შოუდ არ იქცა. მსოფლიოს უძლიერესმა ქვეყანამ ალაზევა კალათბურთი, ჰოკეი, თავისებური ფუტბოლი, რომელიც რაგბის შვილად, ფეხბურთს კი შვილიშვილად ეკუთვნის, ბეისბოლი — ინგლისური კრიკეტის პირმშო, ფეხბურთი კი ვერაფრით გახდა მათი თვალისა და ჯიბის გასახარი სანახაობა.

რა დააკლდა ამით ფეხბურთს? ვგონებთ, ერთი ძლიერი ნაკრები და გაუთავებელი ზეწოლა კარის გაზრდასთან, სხვადასხვანაირი გოლების სხვადასხვაგვარად შეფასებასთან, პენალტის წესთან და მრავალ, მრავალ საკითხთან დაკავშირებით. არსებობს ეჭვი, რომ თუ ფეხბურთის წესებს ხელში ამერიკელები ჩაიგდებენ, საუკუნესგადაცილებული თამაში რამდენიმე წელიწადში გადაიქცევა სპორტის იმ სახეობად, 70:60 რომ მთავრდება, წუთშესვენებებზე რიტმული მუსიკის თანხლებით აერობიკის მოცეკვავე გოგონათა შოუ გაიმართება, მაყურებელი კი სულ კოკა-კოლასა და ჰამბურგერის საყიდლად გაქცევას მოასწრებს.

მაგრამ რა გინდა ქნა, თუკი ფული, ქრთამის სახით თუ ისე ჯოჯოხეთს ანათებს? ფიფას პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა, ფეხბურთისგან დიდი კომერცია შექმნა, ხოლო სადაც კომერციაა, იქაა ამერიკაც. ამიტომ ათი წლის წინ ჩვენი სახეობის ალალ მხარდამჭერთა უკმაყოფილების მიუხედავად გადაწყდა, რომ მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატი აშშ-ში უნდა ჩატარებულიყო.

ჩატარდა კიდეც. ჩატარდა ისე, რომ ამერიკის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არც კი იცოდა, თუ მათ ქვეყანაში მიმდინარეობდა ისეთი რამ, რასაც მთელი დანარჩენი მსოფლიო სულმოუთქმელად შესცქეროდა და მიუხედავად ამისა აშშ-ის სტადიონებზე დამყარდა რეკორდი — მატჩებს საშუალოდ 68 999 მაყურებელი დაესწრო. მართლაც უზარმაზარი და საოცრებათა ქვეყანაა ამერიკა.

მერე? შეიყვარა იქაურმა ხალხმა (ვინც თამაშები ნახა) ფეხბურთი? ალბათ არა. ამბობენ იმიტომ, რომ მათ ნახეს ძლიერი ბრაზილია, იტალია, ბულგარეთი, ნიგერია, არგენტინა და არა აშშ, რომელიც ყველას ამარცხებს. ან კი ვინ ნახა ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატი? ტელეტრანსლაციები ხომ მხოლოდ სპეციალურ სპორტულ არხზე ჰქონდათ.

ახლა, 1998 წელს, აშშ-ის ნაკრები უფრო მეტი სახელის მოხვეჭას აპირებს. გუნდის მწვრთნელის სტივ სემპსონის აზრით უპირველეს ყოვლისა ამერიკულ ფეხბურთს სწორედ სახელი და პატივისცემა აკლია. არადა, აშშ ზედიზედ მესამედ მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე და ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში მეთხუთმეტე პოზიცია უკავია.

„ძალიან ბევრ ადამიანს არ უნდა დაიჯეროს, რომ ჩვენ საერთაშორისო ფეხბურთში პროგრესი გვაქვს“ — უთხრა სემპსონმა ჟურნალისტებს.

სემპსონი უკმაყოფილოა, რომ ტრადიციონალისტები ამერკაზე ისევე ქილიკობენ, როგორც 1990 წელს, იტალიაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის დროს, სადაც ნაკრებმა სამივე შეხვედრა წააგო. 94-ში, აშშ-ში მასპინძლებმა მართალია მერვედფინალს მიაღწიეს, მაგრამ ირონიისგან ვერც მაშინ დაიცვეს თავი. შინ იყვნენ და აბა რა იქნებოდაო.

„ბოლო დროს ასეთი კომენტარები სამხრეთ ამერიკელთაგან აღარ გვესმის, მაგრამ ევროპელები არ ცხრებიან, ისინი ამერიკულ ფეხბურთს პატივს არ სცემენ“ — ამბობს სემპსონი — „პასუხად იმავე მეთოდს არ უნდა მივმართოთ, ჩვენ ევროპელთა პატივისცემა მოსაპოვებელი გვაქვს“.

ამ გაზაფხულზე, აპრილის თვეში, ამერიკელებმა საამისოდ ერთობ ეფექტური ნაბიჯი გადადგეს. ისინი ვენაში ავსტრიის ნაკრებს ეთამაშნენ და 3:0 მოუგეს, მაგრამ ნამდვილი პატივისცემისთვის მსოფლიოს პირველობაზე, F ჯგუფში გამარჯვებებია საჭირო. ამოცანა მართლაც რთულია, მეტოქეები გერმანია, იუგოსლავია და ამერიკელთა პოლიტიკური მტერი ირანი არიან.

სემპსონის ვარაუდით გერმანელებთან ფრე და ირანელებთან გამარჯვება იქნება სწორედ ის ნაბიჯი, რომელიც მის ქვეყანას ნანატრ პატივისცემამდე მიიყვანს. როდესაც ჰკითხეს, გერმანიასთან ფრე რამდენად რეალურიაო, მწვრთნელმა უპასუხა:

„ფურცელზე დასაწერად რეალური არაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ძლიერ გუნდებთან საკმაოდ კარგად ვთამაშობთ ხოლმე. გერმანელებთან რომც წავაგოთ, და ირანთან კი ფრედ ვითამაშოთ, იუგოსლავიას თუ მოვუგებთ, ერთობ კარგი შედეგი იქნება“.

სემპსონის ხელში ამერიკის ნაკრები კოპა ამერიკას ნახევარფინალში გავიდა, გზად არგენტინასა და მექსიკას მოუგო, მაგრამ რაც მთავარია კონკაკაფის ოქროს თასზე, ლოს ანჯელესში მან თვით ბრაზილია დაამარცხა 1:0.

საფრანგეთი 98-ის შესარჩევ ჯგუფში აშშ-მ ჯგუფში მეორე ადგილი მოიპოვა და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა მექსიკას.

სემპსონის გუნდი ძველი ნაკრებისგან განსხვავებულია. მასში შეთანხმებულად მოქმედებენ აშშ-ის ლიგაში მოთამაშე და ევროპაში მიმოფანტული ფეხბურთელები.

„მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე ჩვენი ამოცანა წაგების თავიდან აცილება გახლდათ, ახლა კი მოგებაზე ვაპირებთ თამაშს“ — ამბობს სემპსონი, რომელმაც თავისი ცოდნა და უნარი უკვე საკმარისად გამოამჟღავნა და ბორა მილუტინოვიჩის (აშშ-ის მწვრთნელი 1994 წელს) ჩრდილიდანაც გამოვიდა.

მწვრთნელს სხვაგვარი შეხედულება რომ აქვს, გუნდს უპირატესად შუაწელში, ნახევარდაცვაზე ეტყობა. იქ, ყველაფრის მაკონტროლებლად სემპსონს კლაუდიო რეინა ჰყავს განმწესებული და ამ მოთამაშეს მალიმალ ამერიკის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელს უწოდებს. რეინას ასევე ათამაშებენ გერმანულ „ვოლფსბურგშიც“, მაგრამ იმისათვის, რომ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული კაცისთვის ყველაზე შესაფერისი პოზიცია მიეცა, სემპსონმა ამერიკის საფეხბურთო წრეებში ერთობ არაპოპულარული ნაბიჯი გადადგა — გუნდიდან მოკვეთა ჯონ ჰარკსი, ვეტერანი კაპიტანი, რომელიც ბოლო ორი წლის მანძილზე მოედანზე მთავარ ფიგურად ითვლებოდა.

გარდა ამისა, ამერიკელთა თავკაცი უარს ამბობს მაიკ სორბერისა და ტებ რამოსის მოწინავე როლებით დასაქმებაზე, თუმც ეს მოთამაშეები 1994 წლის გუნდში ნახევარდაცვის საყრდენ ბოძებად ითვლებოდნენ.

„ზოგადად ჩვენი მიზანი რასაკვირველია მსოფლიოს ჩემპიონობაა, რადგან ამერიკული აზროვნება სხვა იდეებს ვერაფრით შეიწყნარებს, მაგრამ ვგონებ, უპირველეს ყოვლისა, მეორე ეტაპზე გასვლაა საზრუნავი. ამით ჩვენ დავამტკიცებთ, რომ უნარი შეგვწევს მუდამ უძლიერესთა შორის ვიტრიალოთ“ — აცხადებს კაცი, რომლის გუნდმაც 24-ჯერ მოიგო, 12 ფრე ითამაშა და 19 თამაში წააგო, ანუ სამ წელიწადში აშშ-ის ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო შედეგი მოიმკა.

მაშ მომავალიც სემპსონის ყოფილა, შეიძლება გაგვიჩნდეს ასეთი აზრი, მაგრამ ხომ იცით, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ამ მოსაზრებით აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალან როზენბერგმა ნაკრების კონსულტანტად პორტუგალიელი კარლოს კერიოსი მიიწვია, მაგრამ კომენტარიც ხელად თან დაურთო:

„თუ ჩვენ საფრანგეთში კარგად ვითამშებთ, რასაკვირველია, თანამდებობაზე სტივი დარჩება, ხოლო თუ ჩავვარდებით, მას შევცვლით. კარლოსის ჩვენთან ყოფნა-არყოფნას კი ამ თვალსაზრისით მნიშვნელობა არ აქვს“.

მაშ სანამ ყველაფერი ძველებურადაა, ხოლო ამერიკელები მხოლოდ და მხოლოდ ძლიერთა წრესთან მიახლოებას ლამობენ, ფეხბურთი ფეხბურთად რჩება. დე იყოს ასე, თუმცა მსოფლიოს საფეხბურთო რუკაზე არც ახალი, ღონიერი სახელმწიფოს მონიშვნა უნდა იყოს ურიგო საქმე.

ხოლო თუ ოდესმე მავანი ნიუ იორკელი თუ ჩიკაგოელი კომერციული მოსაზრებით, თავური გოლის ოთხად, კუთხურიდან პირდაპირ გატანილის ხუთად, პენალტის კი ერთად ჩათვლას მოინდომებს, მოედანს ფორმას შეუცვლის, კარს ორი მეტრით აამაღლებს და მოედნის შუაში პასის ხელით გადაწოდებას დაუშვებს, იმედია, ბეისბოლისა და ფუტბოლის არ იყოს, ეგ ყველაფერი ნიუ იორკსა და ჩიკაგოშივე დარჩება. ლონდონში, რომსა და რიო დე ჟანეიროში კი კეთილი ხალხი ძველებურად გააგორებს ბურთს და მაკრატელა დარტყმით გატანილს 3:0-ს კი არა, ლამაზ გოლს დაუძახებს.

ჰოდა, ისევ ბრაზილიას, არგენტინას, იტალიას და გერმანიას გაუმარჯოს!


აშშ-ის ნაკრები. დგანან: პოპე, ლალასი, აგუსი, ვინალდა, ბალბოა, ფრიდელი; სხედან: ვეგერლე, დული, ჰარკსი, ჯონსი, მური


1950 წელი. აშშ — ინგლისი 1:0. ლარი გაეტიენსმა დაასწრო ინგლისელთა მეკარე ბერტ უილიამსს და თავისიანებს ისტორიული გამარჯვება მოუპოვა

**აშშ მონაწილეობდა ხუთ მსოფლიოს ჩემპიონატში**

| 14 | +4 =1 −9 | 17:33 |
|---|---|---|
| 1930 | | |
| ბელგია | 3:0 | მაკგი 2, პეიტენაუდი |
| პარაგვაი | 3:0 | პეიტანაუდი 2, საკ.კარში |
| არგენტინა | 1:6 | ბრაუნი |
| 1934 | | |
| იტალია | 1:7 | დონელი |
| 1950 | | |
| ესპანეთი | 1:3 | პ. სოუზა |
| ინგლისი | 1:0 | გაეტიენსი |
| ჩილე | 2:5 | პარიანი, ე. სოუზა |
| 1990 | | |
| ჩეხოსლოვაკია | 1:5 | კალიჯური |
| იტალია | 0:1 | |
| ავსტრია | 1:2 | მიურეი |
| 1994 | | |
| შვეიცარია | 1:1 | ვინალდა |
| კოლუმბია | 2:1 | საკ. კარში, სტიურტი |
| რუმინეთი | 0:1 | |
| ბრაზილია | 0:1 | |

# ის ძლიერია და საუკეთესო



სტივ სემპსონი ამერიკის ნაკრების მწვრთნელად 1995 წელს დაინიშნა. მისი კონტრაქტი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდეა მალაში, მაგრამ მან უკვე დაამყარა რეკორდი — შედეგების მიხედვით აშშ-ის საუკეთესო მწვრთნელია.

მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე იგი ბორა მილუტინოვიჩის ასისტენტის როლში იყო. შემდეგ, როდესაც ბორა წავიდა, სემპსონი მისი მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს, მაგრამ 1995 წელსვე, კოპა ამერიკას ნახევარფინალში გასვლამ აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ალან როზენბერგს მისთვის რეგულარული სამუშაოს შეთავაზება უკარნახა.

სტივ სემპსონი 41 წლის კაცია, დაბადებითა და აღზრდით ამერიკელი. იგი გამართულად საუბრობს ესპანურად და თავის დროზე კოლეჯის ფეხბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო ვარსკვლავიც გახლდათ.

ძლიერ პიროვნებას გუნდში დისციპლინაც შესაბამისი აქვს. იგი ამბობს, რომ მაგალითს გერმანელთაგან იღებს და ცდილობს თავისი გუნდი ძალისმიერი, მოწესრიგებული ფეხბურთით გააცნოს მსოფლიოს საზოგადოებრიობას.

## ამერიკელთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.01.96 | (ოთ) | ანაჰაიმი | ტრინიდადი | 3:2 | ვინალდა 2, მური |
| 16.01.96 | (ოთ) | ანაჰაიმი | სალვადორი | 2:0 | ვინალდა, ბალბოა |
| 18.01.96 | (ოთ) | ლოს ანჯელესი | ბრაზილია | 0:1 | |
| 21.01.96 | (ოთ) | ლოს ანჯელესი | გვატემალა | 3:0 | ვინალდა, ეგუსი, კიროვსკი |
| 26.05.96 | (ა) | ნიუ ბრიტანი | შოტლანდია | 2:1 | ვინალდა, ჯოუნზი |
| 9.06.96 | (USC) | ფოქსბორო | ირლანდია | 2:1 | რამოსი, რეინა |
| 12.06.96 | (USC) | ვაშინგტონი | ბოლივია | 0:2 | |
| 16.06.96 | (USC) | პასადენა | მექსიკა | 2:2 | ვინალდა, დული |
| 30.08.96 | (ა) | ლოს ანჯელესი | სალვადორი | 3:1 | მური 2, ვინალდა |
| 16.10.96 | (ა) | ლიმა | პერუ | 1:4 | ბროუსი |
| 3.11.96 | (მშ) | ვაშინგტონი | გვატემალა | 2:0 | ვინალდა, მაკბრაიდი |
| 10.11.96 | (მშ) | რიჩმონდი | ტრინიდადი | 2:0 | დული, ვინალდა |
| 24.11.96 | (მშ) | პორტ ოფ სპეინი | ტრინიდადი | 1:0 | მური |
| 1.12.96 | (მშ) | სან ხოსე | კოსტა რიკა | 1:2 | ჯოუნზი |
| 14.12.96 | (მშ) | პალო ალტო | კოსტა რიკა | 2:1 | მაკბრაიდი, ლესიტერი |
| 21.12.96 | (მშ) | სან სალვადორი | გვატემალა | 2:2 | რადოსავლიევიჩი, ჰეიდაკი |
| 17.01.97 | (USC) | სან დიეგო | პერუ | 0:1 | |
| 19.01.97 | (USC) | პასადენა | მექსიკა | 0:2 | |
| 22.01.97 | (USC) | პასადენა | დანია | 1:4 | მური |
| 29.01.97 | (ა) | კუნმინგი | ჩინეთი | 1:2 | ვინალდა |
| 1.02.97 | (ა) | გუანგჟუ | ჩინეთი | 1:1 | ლალასი |
| 2.03.97 | (მშ) | კინგსტონი | იამაიკა | 0:0 | |
| 16.03.97 | (მშ) | პალო ალტო | კანადა | 3:0 | ვინალდა, პოუპი, სტიუარტი |
| 23.03.97 | (მშ) | სან ხოსე | კოსტა რიკა | 2:3 | ვინალდა, ლესიტერი |
| 20.04.97 | (მშ) | ფოქსბორო | მექსიკა | 2:2 | პოუპი, საკკარში |
| 4.06.97 | (ა) | სენტ ლუისი | პარაგვაი | 0:0 | |
| 17.06.97 | (ა) | ჯექსონვილი | ისრაელი | 2:1 | ლალასი, კიროვსკი |
| 29.06.97 | (მშ) | სან სალვადორი | სალვადორი | 1:1 | ლესიტერი |
| 7.08.97 | (ა) | ბოლტიმორი | ეკვადორი | 0:1 | |
| 7.09.97 | (მშ) | პორტლენდი | კოსტა რიკა | 1:0 | რამოსი |
| 3.10.97 | (მშ) | ვაშინგტონი | იამაიკა | 1:1 | ვინალდა |
| 2.11.97 | (მშ) | მეხიკო | მექსიკა | 0:0 | |
| 9.11.97 | (მშ) | ვანკუვერი | კანადა | 3:0 | რეინა, ვეგერლე 2 |
| 16.11.97 | (მშ) | ფოქსბორო | სალვადორი | 4:2 | მაკბრაიდი 2, ჰენდერსონი |
| 24.01.98 | (ა) | ორლანდო | შვედეთი | 1:0 | ვეგერლე |
| 1.02.98 | (ოთ) | ოკლენდი | კუბა | 3:0 | ვეგერლე, ვინალდა, მური |
| 7.02.98 | (ოთ) | ოკლენდი | კოსტა რიკა | 2:1 | პოუპი, რადოსავლიევიჩი |
| 10.02.98 | (ოთ) | ლოს ანჯელესი | ბრაზილია | 1:0 | რადოსავლიევიჩი |
| 15.02.98 | (ოთ) | ლოს ანჯელესი | მექსიკა | 0:1 | |
| 21.02.98 | (ა) | მაიამი | ჰოლანდია | 0:2 | |
| 25.02.98 | (ა) | ბრიუსელი | ბელგია | 0:2 | |
| 14.03.98 | (ა) | სან დიეგო | პარაგვაი | 2:2 | დირინგი, ბალბოა |
| 22.04.98 | (ა) | ვენა | ავსტრია | 3:0 | ჰეიდაკი, მაკბრაიდი, რეინა |
| 24.05.98 | (ა) | პორტლენდი | კუვეიტი | 2:0 | ჯოუნზი 2 |
| 30.05.98 | (ა) | ვაშინგტონი | შოტლანდია | 0:0 | |

შემოკლებანი: (ოთ) — ოქროს თასი; (ა) — ამხანაგური; (USC) — აშშ-ის თასი, (მშ) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი.

# ფეხბურთელი გრეცკი

ერიკ ვინალდა ის კაცია, თანაგუნდელები რომ ეძებენ, სად დგას, ბურთი სად გადავაწოდოთ, რომ გოლი გაიტანოსო. ამერიკული ფეხბურთის ისტორიაში ნაკრებში ამდენი გოლი არავის გაუტანია, 98 თამაშში 32 აქედან ნახევარზე მეტი მწვრთნელად სტივ სემპსონის მისვლის შემდეგ შეაგდო.

ვინალდას კარიერას არც ტრავმების გარეშე ჩაუვლია. აპრილში, მაგალითად, იგი აშშ-ის პირველობაზე მოწინააღმდეგე გუნდის მეკარეს შეასკდა და მუხლი დაიზიანა. ოპერაციამ თავდამსხმელს რამდენიმე კვირა გამოატოვებინა, მაგრამ სემპსონი იმედს არ კარგავს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ვინალდას საქმე რიგზე იქნება და საფრანგეთში იგი გუნდს დიდ სარგებლობას მოუტანს.

ვეტერანია ერიკ ვინალდა, 1990 და 1994 წლების მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე გახლავთ, 1990 წელს, იტალიაში, ჩეხოსლოვაკიასთან მატჩში იგი მოედნიდან გააძევეს და მესამე თამაშს ტრიბუნიდან ადევნა თვალი, 1994-ში ნაკრების ოთხივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მან შვეიცარიასთან ფრედ, 1:1 დამთავრებულ შეხვედრაში გოლიც გაიტანა. საჯარიმოდან ულამაზესი დარტყმით გაქვითა ანგარიში. მაშინ, კოლუმბიასთან მატჩშიც კარგად ითამაშა ამერიკელთა მთავარმა ბომბარდირმა, რომელსაც მართალია გოლი არ გაუტანია, მაგრამ იმაში, რომ აშშ ჯგუფს გასცდა და პლეი ოფში ბრაზილიას შეხვდა, დიდი როლი ითამაშა.

ვინალდა კალიფორნიის შტატიდანაა. თანაგუნდელები მეტსახელად ვალდოს უწოდებენ. იგი ორივე ფეხით ძლიერად თამაშობს, თავურებიც ეხერხება და ჯარიმა-პენალტებს უზადოდ ასრულებს.

როდესაც ამერიკელებმა ახალი პროფესიული ლიგა, „მეიჯორ ლიგ სოკერი" დააფუძნეს, გახსნის საზეიმო შეხვედრაში პირველი გოლი სწორედ მან გაიტანა და ისტორიაში ამითაც დაიმკვიდრა ადგილი.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ერიკ ვინალდა გოლებითაა ცნობილი, სემპსონი მასთან ერთად ექსპერიმენტებსაც ატარებს და ნაკრებში ნახევარმცველთა პოზიციაზე ჩასვლასაც ავალებს ხოლმე.

6 ივნისს ბომბარდირი 29 წლისა გახდება. 1992-93 წლებში იგი გერმანიაში, მეორე დივიზიონის „ზაარბრიუკენში" ერთხანს გიორგი ქინქლაძესთან ერთად თამაშობდა. მაშინ ვინალდამ პირველ 10 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა.



1994 წელს ვინალდა „ბოხუმმა" იყიდა, მაგრამ ახალ გუნდში 23 შეხვედრის შემდეგ ფეხი მოიტეხა.

ამბობენ, ვინალდას კერპი ჰოკეისტი უეინ გრეცკია, რომელიც გოლების გატანაშიც რეკორდსმენია და გამთამაშებლადაც ვარგაო.



1994 წელი. აშშ — ბრაზილია 0:1. ბებეტოს ამ დარტყმას მოჰყვა გოლი რომელმაც ამერიკელები ტურნირიდან გამოთიშა

# ნაკრების კანდიდატები

### მეკარეები

კეისი კელერი (ლესტერ სიტი, ინგლისი). 28 წლისაა, ნაკრებში 26-ჯერ უთამაშია. ინგლისში რომ გადავიდა, ჯერ „მილუოლში" იყო. პოზიციის შერჩევაშია ძლიერი. შესარჩევის ცხრა შეხვედრიდან ექვსში გოლი არ გაუშვა.

ბრედ ფრიდელი (ლივერპული, ინგლისი). 27 წლისაა, ნაკრებში 53-ჯერ უთამაშია. 1994 წლის ჩემპიონატზე მეორე მეკარე იყო. ბოლო დროს ფიზიკურად მოღონიერდა. მთელს საჯარიმოში მოძრაობს.

იურგენ სომერი (კოლამბას კრუ). 29 წლისაა, ნაკრებში 7-ჯერ უთამაშია. პირველი ამერიკელი მეკარე, რომელმაც ინგლისურ პრემიერლიგაში ითამაშა, იგი გახლდათ — „ქუინზ პარკის" კარს იცავდა. მწვრთნელი დიდ პატივს სცემს.

### მცველები

ალექსი ლალასი (მეტროსტარზი). 28 წლისაა, ნაკრებში 97-ჯერ უთამაშია. წვერი თხასავით აქვს მოშვებული, წითურია და დაცვის ცენტრში თამაშობს. მონაწილეობდა მსოფლიოს წინა ჩემპიონატში, შემდეგ კი იტალიის სერია A-ში, „პადოვაში" გამოდიოდა.

მარსელო ბალბოა (კოლორადო რეპიდსი). 30 წლისაა, ნაკრებში 126-ჯერ უთამაშია. ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი მას აქვს ჩატარებული. საფრანგეთი 98 მისთვის ზედიზედ მესამე ჩემპიონატი იქნება. ორი სეზონი მექსიკურ კლუბ „ლეონში" გაატარა. მოგვარე კინოგმირის ანალოგიით როკის უწოდებენ.

მაიკ ბარნსი (ნიუ ინგლანდ რევოლუშენი). 27 წლისაა, ნაკრებში 70-ჯერ უთამაშია. ძლიერი მარჯვენა მცველია. ამერიკელთაგან ერთადერთია, ვინც გამოდიოდა 17,20,23 წლამდელთა და ეროვნულ ნაკრებებში. მონაწილეობდა მსოფლიოს წინა ჩემპიონატში.

ედი პოუპი (ვაშინგტონ იუნაიტედი). 24 წლისაა, ნაკრებში 20-ჯერ უთამაშია. დაცვის ცენტრშიც გამოჰყავთ და ფრთაზეც. გოლების გატანა ეხერხება. მიწვევა ჰქონდა ევროპის რამდენიმე კლუბიდან.

ჯეფ ეგუსი (ვაშინგტონ იუნაიტედი). 30 წლისაა, ნაკრებში 84-ჯერ უთამაშია. მონაწილეობდა მსოფლიოს წინა ჩემპიონატში. მარცხენა მცველია, რომელსაც ნახევარმცველადაც იყენებენ. ხანდახან უხეშ შეცდომებს უშვებს.

### ნახევარმცველები

თომას დული (კოლამბას კრუ). 37 წლისაა, ნაკრებში 74-ჯერ უთამაშია. გერმანული წარმოშობის ნახევარმცველი ხანდახან ლიბეროს როლშიც გამოდის. 9 წელიწადი გერმანიაში გაატარა. 1991 წელს იყო „კაიზერსლაუტერნში", როდესაც ეს გუნდი ჩემპიონი გახდა. მწვრთნელს იგი გუნდის ლიდერად მიაჩნია. ნიჭიერი არქიტექტორია. საკუთარი პროექტით აშენებულ სახლში ცხოვრებს.

ტებ რამოსი (მეტროსტარზი). 31 წლისაა, ნაკრებში 77-ჯერ უთამაშია. ხშირად ტრავმირებულია. საფრანგეთი 98 მისთვის მსოფლიოს მესამე ჩემპიონატი იქნება. კარგი დრიბლიორია, პასების გადაწოდებაც ეხერხება.

კლაუდიო რეინა (ვოლფსბურგი, გერმანია). 24 წლისაა, ნაკრებში 58-ჯერ უთამაშია. ხშირად აშშ-ში აღზრდილთა შორის საუკეთესო ფეხბურთელს უწოდებენ. კარგად ხედავს მოედანს. გერმანიაში გადაბარგებამ ოსტატობა დაუხვეწა. მამამისი არგენტინელია, დედა — პორტუგალიელი. მეუღლე სახელად დანიელი აშშ-ის ქალთა ნაკრების წევრი იყო.

კობი ჯოუნზი (ლოს ანჯელეს გალაქსი). 27 წლისაა, ნაკრებში 105-ჯერ უთამაშია. დარბის როგორც ფლანგებზე, ასევე ცენტრში. გოლი ნებისმიერი პოზიციიდან გააქვს. მონაწილეობდა მსოფლიოს წინა ჩემპიონატში. ერთხანს ინგლისურ „კოვენტრი სიტისა" და ბრაზილიურ „ვასკუ და გამაში". თამაშებით მაყურებელთა შორის ყველაზე პოპულარულია, რადგან MTV-ზე თავისი შოუ აქვს.

ჩედ დირინგი (ვოლფსბურგი, გერმანია). 27 წლისაა, ნაკრებში 7-ჯერ უთამაშია. მწვრთნელმა ჯონ ჰარკსს რომ ამჯობინა, ყველა გაოცდა.

მაიკ სორბერი (მეტროსტარზი). 27 წლისაა, ნაკრებში 67-ჯერ უთამაშია. მისი მანერა სანახაობრივი არ არის. თვალი უფრო დაცვისკენ უჭირავს. ეხერხება მოკლე პასების გადაწოდება და შორიდან კარში დარტყმა.

პრეკი რადოსავლიევიჩი (კანზას სიტი უიზარდსი). 34 წლისაა. ნაკრებში 21 თამაში აქვს ჩატარებული. დაბადებულია იუგოსლავიაში. კარგი დრიბლიორია, მარცხენა ფეხით ძლიერად არტყამს. გასულ სეზონში ამერიკის ყველაზე ფასეულ ფეხბურთელად აღიარეს.

კრის ჰენდერსონი (კოლორადო რაპიდსი). 27 წლისაა, ნაკრებში 76-ჯერ უთამაშია. მუხლჩაუხრელი მუშაობა სჩვევია. 1990 წლის მსოფლიო პირველობაზე თადარიგში იყო, 1994 წელს კი ნაკრებში აღარ აიყვანეს.

ბრაიან მიასონევი (კოლამბას კრუ). 24 წლისაა, ნაკრებში 4-ჯერ უთამაშია. იმედისმომცემი ფეხბურთელია. მაკბრაიდს ბევრი საგოლე პასი მან ჩააწოდა.

ფრენკი ჰეიდაკი (ტამპა ბეი მიუნიტი). 23 წლისაა, ნაკრებში 11-ჯერ უთამაშია. მცველობაც შეუძლია და ნახევარდაცვაში თამაშიც. როდესაც მარჯვენა ფრთიდან უტევს, ძალიან საშიშია.

### თავდამსხმელები

ერიკ ვინალდა (სან ხოსე კლეში). 28 წლისაა, ნაკრებში 98-ჯერ უთამაშია. გატანილი აქვს 32 გოლი. მონაწილეობდა 1990 და 1994 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში. ყველა დროის საუკეთესო ამერიკელი ბომბარდირია.

როი ვეგერლე (ვაშინგტონ იუნაიტედი). 34 წლისაა, ნაკრებში 35-ჯერ უთამაშია. დაბადებით სამხრეთ აფრიკელია. თამაშობდა ინგლისურ „ქუინზ პარკ რეინჯერსში", „ბლექბერნ როვერსში" და „კოვენტრი სიტიში".

როი ლესიტერი (ტამპა ბეი მიუნიტი). 29 წლისაა, ნაკრებში 24-ჯერ უთამაშია. გადამწყვეტი გოლების გატანა ეხერხება.

ბრაიან მაკბრაიდი (კოლამბას კრუ). 25 წლისაა, ნაკრებში 20-ჯერ უთამაშია. მაღალია, ეხერხება თავური დარტყმები.

ჯო მაქს მური (ნიუ ინგლანდ რევოლუშენი). 27 წლისაა, ნაკრებში 65-ჯერ უთამაშია. შორიდან ძლიერად არტყამს. ზუსტად ასრულებს პენალტებსა და ჯარიმებს.

ერნი სტიუარტი (ბრედა, ჰოლანდია). 29 წლისაა, ნაკრებში 45-ჯერ უთამაშია. დაბადებით ჰოლანდიელია და მთელი პროფესიული კარიერა იქ აქვს გატარებული.

ჯოვან კიროვსკი (ბორუსია, დორტმუნდი, გერმანია). 22 წლისაა, ნაკრებში 25-ჯერ უთამაშია. იმედისმომცემი ახალგაზრდაა, „დორტმუნდამდე" ცოტა ხნით ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედში" გამოდიოდა. აშშ-ის ნაკრებში პირველი გოლი რომ გაიტანა, ჯერ კიდევ 18 წლისა იყო.

# იუგოსლავია

## როდესაც ბოლი გაიფანტა



იუგოსლავიის ნაკრები. დგანან: ჯუკიჩი, იოკანოვიჩი, მილოშევიჩი მიჰაილოვიჩი, კრალი, სტოიკოვიჩი; სხედან: ვიდაკოვიჩი, იუგოვიჩი, საველიჩი, მიატოვიჩი, სავიჩევიჩი

მაიმუნმა შემთხვევით დააქუხა ტანკი და მიწისქვეშეთის კედელი გაინგრა. ხალხმა პირველად დაინახა სივრცე, რომელიც კედლის მიღმა თურმე არსებული გვირაბით, თანდათანობით ზემოთ, მდინარის პირას ადიოდა. მიწისქვეშეთის მაცხოვრებლები გვირაბს გაყვნენ და აღმოჩნდნენ იქ, სადაც ოდესღაც, მათ შორის ყველაზე ასაკოვანნი ცხოვრობდნენ, ქვემოთ დაბადებულებმა კი მხოლოდ გადმოცემით იცოდნენ რა არის მთვარე, ცხენი... ერთმა ჭურვმა მთელი საზოგადოების ცხოვრება შეცვალა, ისინი ერთბაშად სხვა სამყაროში აღმოჩნდნენ.

ასე შემთხვევით გაიგო (თუ გაიგო) პეტერ ჩორნიმ, რომ ჰიტლერულ გერმანიასთან ომი რამდენიმე ათწლეულის დამთავრებულია და ამ ხნის მანძილზე მისი სიყრმის მეგობარი ტავარიშჩ მარკო ატყუებდა სამშობლოს იატაკქვეშეთში სჭირდებიო. თავად ტავარიშჩ მარკო ზევით ცხოვრობდა, კომუნისტური სულისკვეთების ლექსებს კითხულობდა ვითომცდა გარდაცვლილ გმირზე და მისი ლამაზი მეუღლე თავისად ჰყავდა.

ალბათ გაგახსენდათ ემირ კუსტურიცას ფილმი „იატაკქვეშეთი", რომელიც გარდა იმისა, რაც ზევით ვთქვით, უამრავ თემას თუ ქვეთემას მოიცავს, მაგრამ ერთ საკითხს, ერთ ქვეყანას, იუგოსლავიას ეხება.

ჩვენც თუ კუსტურიცას დავესესხებით, გამოვა, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთი, როგორც ცხოვრების შემადგენელი და არცთუ მეორეხარისხოვანი ნაწილი, ორი ეპოქისგან შედგება: სანამ მაიმუნი კედელს გაანგრევდა და მას მერე, რაც მაიმუნმა კედელი გაანგრია. და თუმც ისტორიის წიგნებში 1930 წლიდან მოყოლებული დღემდე, ჯერჯერობით მხოლოდ იუგოსლავიაა ჩანიშნული, დღევანდელი იუგოსლავია ის აღარაა, სხვაა, ხორვატიის, მაკედონიის, ბოსნიის და სლოვენიის გარეშე. ერთმა, საკმაოდ ძლიერმა საფეხბურთო ქვეყანამ მინიმუმ ორი შვა, თავად იუგოსლავია და ხორვატია. ამისათვის კი ფეხბურთის მოყვარულებს მაიმუნისთვის მადლობის თქმა გვმართებს.

ადრინდელი იუგოსლავიის ნაკრებმა მსოფლიოს პირველსავე ჩემპიონატზე, საკმაო წარმატებას მიაღწია. აღსანიშნავია, რომ გუნდი მონტევიდეოში, სხვა ევროპელი მონაწილეებისგან განსხვავებით, თვითმფრინავით გაემგზავრა და არა გემით. ეს საქმისადმი დამოკიდებულებაზე მეტყველებდა. სხვათა შორის, თვითმფრინავი, რომელშიც იუგოსლაველი ფეხბურთელები ისხდნენ, გახლდათ სწორედ ის, რომლითაც ატლანტიკის ოკეანე თვით ჟიულ რიმემ და მისმა თასმა, „ოქროს ქალღმერთმა" გადაკვეთეს.

ვინაიდან სერბებსა და ხორვატებს შორის იმთავითვე დაძაბული იყო ურთიერთობა, 1930 წლის ნაკრები სამხრეთ აფრიკაში ხორვატი მოთამაშეების გარეშე ჩავიდა, მაგრამ პირველსავე შეხვედრაში ძლიერი მოწინააღმდეგე, ბრაზილია დაამარცხა. პირველ ტაიმში იუგოსლავიამ ორი გოლი გაიტანა, შესვენების შემდეგ კი მეკარის მილოვან იაკშიჩის თავგამოდების წყალობით მხოლოდ ერთი გაუშვა. სწორედ მაშინ შეარქვეს იაკშიჩს „ელ გრან მილოვან". მეორე თამაშში ბოლივიის 4:0 დამარცხების შემდეგ იუგოსლავიელები ნახევარფინალში ურუგვაის გადაეყარნენ.

იმ ნახევარფინალის მსაჯი გახლდათ ბრაზილიელი ჟილბერტო რეგუ, რომელიც, როგორც თვითმხილველები აღწერენ, ერთობ მიკერძოებული ვინმე ბრძანებულა. თურმე იუგოსლავია 1:0-ს რომ იგებდა, მეორეც გაუტანია, მაგრამ რეგუს ყოველგვარი მიზეზის გარეშე არ ჩაუთვლია გოლი, შემდეგ კი ურუგვაელი სეას მიერ აშკარა ოფსაიდიდან გატანილზე თვალი დაუხუჭავს. უფრო საინტერესო მერე მომხდარა, 31-ე წუთზე. ურუგვაის შეტევა წამოუწყია, მაგრამ მავან ფეხბურთელს ბურთი იუგოსლავიის კუთხურის ხაზს მიღმა გადავარდნია. იქვე ვიღაც პოლიციელი მდგარა. პოლიციელს ბურთი მოედანზე დაუბრუნებია და ასეთი „მახვილგონივრული" პასით ანსელიმოს გოლი გაუტანია. რეგუმ გოლი ჩათვალა.

თამაშის მერე ბრაზილიელმა მსაჯმა პირადი მცველები დაიქირავა, რადგან დამარცხებულთა ერთ-ერთ ფეხბურთელს შურისძიება ჰქონდა ჩაფიქრებული. რეგუ დაუსჯელი დარჩა.

ამ წერილში იუგოსლავიელთა რევავე ჩემპიონატს ვერ მიმოვიხილავთ, ამიტომაც 1930 წლის შემდეგ გამოვტოვოთ დიდი დრო და დღევანდელ ამბებზე ჩამოვაგდოთ სიტყვა. დღეს, ექვსწლიანი სიგიჟისა და ომების შემდეგ იუგოსლავიის ნაკრები კვლავ მსოფლიოს პირველობაზე მიემგზავრება.

ბელგრადის წინააღმდეგ შემოღებულმა საერთაშორისო სანქციებმა ქვეყანას, რომლის შემადგენლობაშიც მხოლოდ სერბია და ჩერნოგორიაა დარჩენილი, ევროპის 1992 წლის ჩემპიონატი გამოატოვებინა (მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა შესარჩევი ციკლი გაიარა და შვედეთის საგზური მოიპოვა). იგივე ბედი ეწია მსოფლიოს 1994 წლის და ევროპის 1996 წლის ჩემპიონატებს.

იუგოსლავიელ ფეხბურთელთა უთუოდ ნიჭიერი თაობისთვის ეს ძალიან სერიოზული დარტყმა გახლდათ. სპორტული თვალსაზრისით იმ ქვეყნის დისკვალიფიკაცია, რომლის ნაკრებმაც 1990 წელს მსოფლიოს პირველობაზე რვა უძლიერესში დაიმკვიდრა ადგილი, კლუბმა „ცრვენა ზვეზდამ" კი 1991 წელს ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა, მთლად სამართლიანი ალბათ მაინც არ იყო.

იმ წლებში ძალიან ბევრმა იუგოსლავიელმა ფეხბურთელმა ნავთსაყუდელს ევროპის მოწინავე გუნდებში მიაგნო, 1994 წლის დეკემბერში, სანქციების გაუქმების შემდეგ კი ახალდანიშნულ მწვრთნელს, სლობოდან სანტრაჩს ყველაფრის ნულიდან დაწყება მოუხდა.

რამდენიმე დღის დანიშნული იყო სანტრაჩი თანამდებობაზე, რომ მისმა ფაქტობრივად მთლიანად ლეგიონერებით დაკომპლექტებულმა გუნდმა არგენტინასა და ბრაზილიაში წააგო ამხანაგური შეხვედრები.

„მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების უმეტესობას ჩვენნაირი პრობლემები აქვთ. ფეხბურთელები უცხოეთში თამაშობენ და იქაური მწვრთნელები მათ თავისებურად ავარჯიშებენ. სწორედ ამიტომაა ჩემი გუნდის სტრუქტურა გარემოებებით ნაკარნახევი" — თავს იმშვიდებს სანტრაჩი.

სირთულეების მიუხედავად, იუგოსლავიის ნაკრებმა შეძლო შესარჩევ ჯგუფში ესპანეთის შემდეგ მეორე ადგილის დაკავება. შესარჩევი კამპანია გუნდმა შთამბეჭდავად დაიწყო, 3:1 მოუგო ფარერის კუნძულებს, 6:0 მალტას და 8:1 ისევ ფარერებს, მაგრამ თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რომ ორივე მეტოქე სუსტი ჰყავდა. პირველი ნამდვილი გამოცდა სანტრაჩის გუნდმა ევრო 96-ის ვიცე-ჩემპიონ ჩეხეთთან ჩააბარა. იუგოსლავიელებმა ჩეხებს 1:0 მოუგეს, გოლი მადრიდის „რეალში" მოთამაშე პრედრაგ მიატოვიჩმა გაიტანა, სწორედ მან, 20 მაისს ჩემპიონთა თასის ფინალში „იუვენტუსს" რომ წაგლიჯა კლუბთა მთავარი ევროპული ჯილდო.

ესპანელებთან სტუმრად 0:2 დამარცხებამ ნათელჰყო, რომ იუგოსლავია ჯგუფში პირველ ადგილს ვერ დაიკავებდა და მსოფლიოს პირველობაზე გადათამაშების გარეშე ვერ გავიდოდა. მართლაც, სერბთა და ჩერნოგორიელთა გუნდი მეორე ადგილზე გავიდა. მოიპოვებდა თუ ვერა იგი საფრანგეთის საგზურს, უნდა გადაეწყვიტა ორ (შინ და სტუმრად) მატჩს უნგრეთის ეროვნულ გუნდთან.

სანტრაჩის ქვეშევრდომებმა ამოცანას ძალიან იოლად გაართვეს თავი, საბრალო უნგრელებს ბუდაპეშტში 7:1 მოუგეს, შინ 5:0 და მსოფლიოს ამცნეს, რომ საფრანგეთში ჩამსვლელთ მეტად ძლიერ მეტოქესთან მოუხდებათ საქმის დაჭერა.

„ჩვენი თაობა ვალდებული იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოეპოვებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში ფეხბურთი დიდი ხნით ჩაქინდრავდა თავს" — თქვა მიატოვიჩმა.

შესარჩევში გამარჯვების მერე სანტრაჩს ერთიან ძირითად შემადგენლობასთან მუშაობის საშუალება ფაქტობრივად აღარ მისცემია, ამიტომაც ახალგაზრდები გამოსცადა საქმეში. ახალგაზრდათაგან ყურადღების ცენტრში „ცრვენა ზვეზდას" ნახევარმცველი დეიან სტანკოვიჩი გახლავთ.

შემადგენლობამ, რომელსაც უფრო მეორე შეგვიძლია ვუწოდოთ, თებერვალში არგენტინასთან 1:3 წააგო, მთავარი მოთამაშეების კრებულმა კი იანვარში ტუნისს 3:0 აჯობა, მარტში კი კოლუმბიასთან 0:0 ითამაშა.

სტანკოვიჩმა აპრილში კორეასთან ისახელა თავი, რომლითაც ორი გოლი გაიტანა. თამაში იუგოსლავიელთა გამარჯვებით 3:1 დამთავრდა.

ამხანაგური შეხვედრა მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგური შეხვედრაა. მთავარი ამბები საფრანგეთში დატრიალდება, სადაც დასაბანაკებლად იუგოსლავიელებს მდინარე ლუარასპირა დაბა სან ჟალმე აქვთ შეგულებული. იქ მოემზადება გუნდი, რომლისგანაც ნებისმიერი დიდი გუნდის გაწბილებაა მოსალოდნელი, მაგრამ...

„მაგრამ ეიფორია საჭირო არ არის. უნგრელებს ორი შეხვედრის ჯამში 12:1 რომ მოვუგეთ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებით. მე ასე ვიტყოდი: იუგოსლავია ძალიან ძლიერი გუნდია და თუ რაიმე სისულელე არ ჩავიდინეთ, ნახევარფინალში უთუოდ მოვხვდებით" — თქვა ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა მოთამაშემ, „მილანის" ნახევარმცველმა დეიან სავიჩევიჩმა.

მართლაც არ არის საჭირო ეიფორია. იუგოსლავიის ჯგუფში გერმანიაა, გუნდი, რომელიც სლავთა ამ ქვეყანას მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ერთადერთხელ, 1962 წელს ჰყავს დამარცხებული. დანარჩენი ოთხი შეხვედრა გერმანელთა უპირატესობას ღაღადებს.

**იუგოსლავიელთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 27.03.96 | (ა) | ბელგრადი | რუმინეთი | 1:0 | სტოიკოვიჩი |
| 24.04.96 | (მშ) | ბელგრადი | ფარერები | 3:1 | მილოშევიჩი, სავიჩევიჩი 2 |
| 23.05.97 | (ა) | შიმუკა | მექსიკა | 0:0 | |
| 26.05.96 | (ა) | ტოკიო | იაპონია | 0:1 | |
| 2.06.96 | (მშ) | ბელგრადი | მალტა | 6:0 | მიატოვიჩი, სავიჩევიჩი 2, სტოიკოვიჩი, მილოშევიჩი, საკ. კარში |
| 6.06.96 | (მშ) | ტოფტირი | ფარერები | 8:1 | მილოშევიჩი 3, იოკანოვიჩი 2, მიატოვიჩი, სტოიკოვიჩი, იუგოვიჩი |
| 10.11.96 | (მშ) | ბელგრადი | ჩეხეთი | 1:0 | მიატოვიჩი |
| 14.12.96 | (მშ) | ვალენსია | ესპანეთი | 0:2 | |
| 28.12.96 | (ა) | მარ დელ პლატა | არგენტინა | 3:2 | გოვედარიცა, დრულოვიჩი, იოვიჩიჩი |
| 7.02.97 | (ა) | ჰონკონგი | რუსეთი | 1:1 | დრობნიაკი |
| 10.02.97 | (ა) | ჰონკონგი | ჰონკონგი | 3:1 | მილოშევიჩი, დრობნიაკი 2 |
| 12.03.97 | (ა) | ბელგრადი | რუსეთი | 0:0 | |
| 2.04.97 | (მშ) | პრაღა | ჩეხეთი | 2:1 | მიატოვიჩი, მილოშევიჩი |
| 30.04.97 | (მშ) | ბელგრადი | ესპანეთი | 1:1 | მიატოვიჩი |
| 8.06.97 | (მშ) | ბელგრადი | სლოვაკეთი | 2:0 | მიატოვიჩი, სავიჩევიჩი |
| 12.06.97 | (ა) | სეული | განა | 3:1 | იოკანოვიჩი, ბოგდანოვიჩი 2 |
| 14.06.97 | (ა) | სეული | ეგვიპტე | 0:0 | |
| 16.06.97 | (ა) | სეული | კორეა | 1:1 | იოკანოვიჩი |
| 20.08.97 | (ა) | პეტერბურგი | რუსეთი | 1:0 | იოკანოვიჩი |
| 10.09.97 | (მშ) | ბრატისლავა | სლოვაკეთი | 1:1 | მიჰაილოვიჩი |
| 11.10.97 | (მშ) | ვალეტა | მალტა | 5:0 | მიატოვიჩი, სავიჩევიჩი, მილოშევიჩი, იუგოვიჩი, მიჰაილოვიჩი |
| 29.10.97 | (მშ) | ბუდაპეშტი | უნგრეთი | 7:1 | მიატოვიჩი 3, სავიჩევიჩი, ბრნოვიჩი, მილოშევიჩი, ჯუკიჩი |
| 15.11.97 | (მშ) | ბელგრადი | უნგრეთი | 5:0 | მიატოვიჩი 4, მილოშევიჩი |
| 28.01.98 | (ა) | ტუნისი | ტუნისი | 3:0 | ბრნოვიჩი, იოკანოვიჩი 2 |
| 24.02.98 | (ა) | მარ დელ პლატა | არგენტინა | 1:3 | დრობნიაკი |
| 25.03.98 | (ა) | ბოგოტა | კოლუმბია | 0:0 | |
| 22.04.98 | (ა) | ბელგრადი | კორეა | 3:1 | სტანკოვიჩი 2, იოკანოვიჩი |
| 29.05.98 | (ა) | ბელგრადი | ნიგერია | 3:0 | კოვაჩევიჩი, მიატოვიჩი, მილოშევიჩი |

შემოკლებანი: (ა) — ამხანაგური, (მშ) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი




ბელგრადში, ესპანელებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, 52 000 მაყურებლის მხარდაჭერის მიუხედავად იუგოსლავიელები მარცხისგან მიატოვიჩის მიერ 86-ე წუთზე გატანილმა თერთმეტმეტრიანმა იხსნა

# ის იძულებულია



იუგოსლაველთა მწვრთნელი ივიცა სანტრაჩი ის კაცია, ვინც 1994 წლის დეკემბერში ივიცა ოსიმის თანამდებობა ჩაიბარა და აღმოაჩინა, რომ მუშაობა საზღვარგარეთ მიმოფანტულ ფეხბურთელებთან მოუწევს. მწვრთნელს, რომელმაც ფეხბურთელობისას ორი სეზონი თავადაც საზღვარგარეთ გაატარა, სხვა გზა მართლაც არ ჰქონდა. მოგეხსენებათ, ძველი იუგოსლავია დაიშალა, ქვეყანა ომის ქარცეცხლში გაეხვია, გარომ მის წინააღმდეგ სანქციები შემოიღო და მოთამაშეებმაც თავის გადარჩენის მიზნით ევროპის სხვადასხვა კლუბებს მიაშურეს.

სანტრაჩმა ნაკრები ჩაიბარა და ბრაზილიასა და არგენტინასთან ამხანაგური თამაში წააგო. მაშინ ამ ამბავმა გულშემატკივრები მალიან გააბრაზა.

„ნებისმიერი მიზნის მიღწევა დროს მოითხოვს, ჩვენი შედეგები კი კომენტარის გარეშეც მრავალს მეტყველებს" — ამბობს სანტრაჩი — „მე თავიდან მალიან ბევრს მაკრიტიკებდნენ, მაგრამ ახლა, როდესაც გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა, აღარავინ მერჩის."

მწვრთნელის თქმით, იგი, საუბედუროდ, უშუალოდ სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებზე უფრო ფეხბურთელების შეკრებით არის დაკავებული. თავად განსაჯეთ, ორ მოთამაშეს იაპონიიდან იძახებს ხოლმე.

„ჩემი უმთავრესი მოვალეობა ფეხბურთელების ფიზიკურ და მენტალურ მდგომარეობაზე ზრუნვაა. თუ ამ საკითხებს წარმატებით მოვაგვარებ, შეიძლება ითქვას, რომ საქმის ნახევარი გაკეთებულია. გუნდს ვთამაშობ ისეთი სისტემით, როგორიც გარემოებამ შემომთავაზა. შესარჩევში 10 წამყვანი მოთამაშე ზუსტად იმავე საქმეს ასრულებდა, რასაც კლუბებში აკეთებენ."

1946 წლის 1 ივლისს დაბადებული სანტრაჩის კარიერა 1965 წელს ბელგრადის ოფკ-ში დაიწყო და 1974 წლამდე იქვე გაგრძელდა, შემდეგ კი ფორვადი შვეიცარიული „გრასჰოპერის" წევრი გახდა.

1976 წელს მომავალი მწვრთნელი ოფკ-ს დაუბრუნდა, ხოლო 1983-ში „გალენიკას" შემადგენლობაში, ახლა „ზემუნი" რომ ჰქვია, მაყურებელს უკანასკნელად აჩვენა თავისი ოსტატობა.

სანტრაჩი იუგოსლავიის პირველი დივიზიონის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია, 218 გოლი აქვს გატანილი.

## იუგოსლავია მონაწილეობდა 8 მსოფლიო ჩემპიონატში

მეოთხე ადგილი: 1930, 1962

| | | |
|---|---|---|
| 33 | +14 =7 −12 | 55:42 |
| **1930** | | |
| ბრაზილია | 2:1 | ტორნანიჩი, ბეკი |
| ბოლივია | 4:0 | ბეკი 2, მარიანოვიჩი, ვუიადინოვიჩი |
| ურუგვაი | 1:6 | სეკულიჩი |
| **1950** | | |
| შვეიცარია | 3:0 | ტომაშევიჩი 2, ოგნიანოვი |
| მექსიკა | 4:1 | ბობეკი, ციაკოვსკი 2, ტომაშევიჩი |
| ბრაზილია | 0:2 | |
| **1954** | | |
| საფრანგეთი | 1:0 | მილუტინოვიჩი |
| ბრაზილია | 1:1 | ზებეცი |
| გფრ | 0:2 | |
| **1958** | | |
| შოტლანდია | 1:1 | პეტაკოვიჩი |
| საფრანგეთი | 3:2 | პეტაკოვიჩი, ვესელინოვიჩი 2 |
| პარაგვაი | 3:3 | ონიანოვიჩი, ვესელინოვიჩი, რაიკოვი |
| გფრ | 0:1 | |
| **1962** | | |
| სსრკ | 0:2 | |
| ურუგვაი | 3:1 | სკობლარი, გალიჩი, იერკოვიჩი |
| კოლუმბია | 5:0 | გალიჩი 2, იერკოვიჩი 2, მელიჩი |
| გფრ | 1:0 | რადაკოვიჩი |
| ჩეხოსლოვაკია | 1:3 | იერკოვიჩი |
| ჩილე | 0:1 | |
| **1974** | | |
| ბრაზილია | 0:0 | |
| ზაირი | 9:0 | ბაიევიჩი 3, ძაჯიჩი, შურიაკი, კატალინსკი, ბოგიჩევიჩი, ობლაკი, პეტკოვიჩი |
| შოტლანდია | 1:1 | კარასი |
| გფრ | 0:2 | |
| პოლონეთი | 1:2 | კარასი |
| შვედეთი | 1:2 | შურიაკი |
| **1982** | | |
| ჩ. ირლანდია | 0:0 | |
| ესპანეთი | 1:2 | გუდელი |
| ჰონდურასი | 1:0 | პეტროვიჩი |
| **1990** | | |
| გფრ | 1:4 | ჯოზიჩი |
| კოლუმბია | 1:0 | ჯოზიჩი |
| საამიროები | 4:1 | პანჩევი 2, შუშიჩი, პროსინეჩკი |
| ესპანეთი | 2:1 | სტოიკოვიჩი 2 |
| არგენტინა | 0:0 | პენალტებით 2:3 |

# ვარსკვლავი და მამა

1987 წელს იუგოსლავიის 20 წლამდელთა ნაკრები ჩილედან მსოფლიოს ჩემპიონატის გვირგვინით რომ დაბრუნდა, ბევრმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მისი ერთ-ერთი წევრი, პრედრაგ მიატოვიჩი საგანგებო ნიჭით იყო დაჯილდოვებული. იმ დღიდან 11 წელი გავიდა და აწ უკვე აღიარებული ვარსკვლავი, მადრიდის „რეალის" ფორვარდი მიატოვიჩი კვლავ უბრუნდება მსოფლიო სარბიელს, ოღონდ ამჯერად „ნამდვილ", „დიდ" მსოფლიო ჩემპიონატზე მიდის.

რომ არა ომი და გაეროს მიერ იუგოსლავიის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები, ის თაობა, ჩილეში რომ გაიმარჯვა, უფრო ადრეც უნდა აკაშკაშებულიყო საფეხბურთო ცაზე.

მიატოვიჩმა ფეხი ჩერნოგორიულ „ბუდუჩნოსტში" აიდგა, გუნდში, რომელიც ტრადიციის თანახმად ვარსკვლავებით ბელგრადის „პარტიზანს" ამარაგებს. ფორვარდმა თანდათან უმატა თამაშს და 1989-92 წლებში ძველი იუგოსლავიის ნაკრებშიც ითამაშა, მაგრამ ციდან ვარსკვლავები ნამდვილად არ მოუწყვეტია.

ის, რომ მიატოვიჩს გოლის საუცხოო გრძნობა აქვს, იმთავითვე ცნობილი ამბავი გახლდათ. „პარტიზანის" შემადგენლობაში 1991 წელს მან 17-ჯერ დალაშქრა მოწინააღმდეგეთა კარი.

1992 წელს სანქციების გამო იუგოსლავიის ფეხბურთი იზოლაციაში რომ მოექცა, მიატოვიჩი თანამემამულეთა ჯგუფთან ერთად უცხოეთს გაემგზავრა. 1993 წელს იგი ესპანურ „ვალენსიას" მიეკედლა სადაც თავიდან დიდად ცნობილი არ იყო, მაგრამ ორ სეზონში 28 გოლის გატანით მოიპოვა ის პატივისცემა, რომელიც ყველა ფეხბურთელისთვის აუცილებელია.

1995 წელს „ვალენსიას" ტრავმათა კრიზისმა დროება გაურთულა და გუნდის მწვრთნელი ლუის არაგონესი იძულებული გახდა, შეტევა მთლიანად მიატოვიჩის ამარა დაეტოვებინა, კომბინაცებიც შესაბამისად ჰქონდა გათვლილი. ფეხბურთელმა იმედი გაუმართლა, ერთ სეზონში 28-ჯერ დაამარცხა მოწინააღმდეგეთა მეკარეები.

ეს იყო და, მიტოვიჩმა მადრიდის „რეალში" ამოჰყო თავი, სადაც ხორვატ დავორ შუკერთან ერთად მრისხანე დუეტი შექმნა. ბოლო დროს „რეალის" გერმანელი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი შუკერს აღარ სწყალობდა, ფერნანდო მორიენტესი ერჩივნა, მიატოვიჩი კი კვლავ „სამეფო გუნდის" მთავარი თავდამსხმელია.

და აი, ახლახანს, 20 მაისს „ამსტერდამ არენაზე" გაიმართა დიდი მატჩი, ჩემპიონთა თასის ფინალი. „რეალი" „იუვენტუსს" შეხვდა. მადრიდის საოცარმა გუნდმა გაიმარჯვა, მეშვიდედ მოიგო ევროპულ კლუბთა მთავარი ჯილდო, მატჩის ერთადერთი გოლი პრედრაგ მიატოვიჩმა გაიტანა.

მიატოვიჩმა ეს გოლი, რომელიც შესაძლოა მისი კარიერის უმაღლესი საფეხურიც აღმოჩნდეს, ცხადია, გულშემატკივრებს უძღვნა, ცხადია, უძღვნა მეგობრებს, მაგრამ...

მიატოვიჩს ორი შვილი ჰყავს, ერთი ჯანმრთელი, მეორეს თავის ტვინის წყლული აქვს და სერიოზული მკურნალობა სჭირდება. და იცით, რა ჰქნა მიატოვიჩის მეუღლემ, ბავშვების დედამ? ჯანმრთელ ბავშვს ხელი დაავლო და თან წაიყვანა, სნეული კი მამას და ბედს დაუტოვა.

„ფინალში გატანილ გოლს ჩემს ვაჟს და იმ ესპანურ ოჯახს ვუძღვნი, რომელიც მას უვლის" — თქვა პროფესიის გამო ხშირად სახლსმოწყვეტილმა ვარსკვლავმა.

წინ სახლიდან შორს, საფრანგეთში გასატარებელი ერთი თვეა. იქნებ პრედრაგ მიატოვიჩმა კიდევ გაიტანოს გოლი, რომელიც ერთ პატარა ბიჭს და მასზე მზრუნველ ესპანურ ოჯახს ძალიან გაახარებს.



# ოცდაორი რჩეული

## მეკარეები

ივიცა კრალი (პარტიზანი), 25 წლისაა, ნაკრებში 15-ჯერ უთამაშია. მაღალი ჩერნოგორიელი ერთადერთია გამოცდილ თანაგუნდელთა შორის, შინ რომ თამაშობს. 1997 წლის გაზაფხულზე მთავარი მეკარის ფუნქცია ალექსანდრ კოჩიჩს ჩამოართვა. სოლიდურმა და საიმედომ შესარჩევ შეჯიბრებაში მხოლოდ ხუთი გოლი გაუშვა.

დრაგოიე ლეკოვიჩი (სპორტინგი, ესპანეთი), 30 წლისაა, ნაკრებში 11-ჯერ უთამაშია. „სპორტინგში" გადასვლამდე ორი სეზონი შოტლანდიურ „კილმარნოკში" გაატარა. იგიც კრალის მსგავსად ჩერნოგორიელია, რომელსაც 1987 წელს ჩილეში 20 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული აქვს მოპოვებული.

## მცველები

ზორან მირკოვიჩი (ატალანტა, იტალია), 26 წლისაა, ნაკრებში 27-ჯერ უთამაშია. ძალიან სწრაფია და შეტევის წამოწყება უყვარს. „ატალანტაში" გადასვლამდე სახელი ბელგრადის „პარტიზანში" დაიგდო. მარცხენა მცველია, შესაძლოა „იუვენტუსში" გადავიდეს. მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან ხეირიან მაღალი პასების ჩაწოდება ეხერხება.

სინიშა მიჰაილოვიჩი (სამპდორია, იტალია), 29 წლისაა, ნაკრებში 28-ჯერ უთამაშია. იუგოსლავიის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი საყრდენი ძალაა. მეტსახელად ბოროვოელ ბომბდამშენს უწოდებენ, რადგან ძალიან ძლიერია საჯარიმო დარტყმების შესრულებაში. 1991 წელს „ცრვენა ზვეზდას" შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა. სანტრაჩს იგი უფრო ლიბეროდ მიაჩნია, თუმცა კლუბში კლასიკური მეურვის ფუნქციას ასრულებს.

მიროსლავ ჯუკიჩი (ვალენსია, ესპანეთი), 32 წლისაა, ნაკრებში 23-ჯერ უთამაშია. გამოცდილი და საიმედო ფეხბურთელია.

გორან ჯოროვიჩი (სელტა, ესპანეთი), 26 წლისაა, ნაკრებში 26-ჯერ უთამაშია. კარიერა კოსოვოს „პრისტინაში" დაიწყო. მარცხენა მცველია, რომელსაც თვალი შეტევისკენ უჭირავს და კონტრშეტევაზე აწყობილ თამაშებში ძალიან გამოსადეგია.

ნისა საველიჩი (ბორდო, საფრანგეთი), 28 წლისაა, ნაკრებში 18-ჯერ უთამაშია. სოლიდური ცენტრალური მცველია, მაგრამ სანტრაჩი ძირითად შემადგენლობაში ალბათ არ ათამაშებს.

ბრანკო ბრნოვიჩი (ესპანიოლი, ესპანეთი), 30 წლისაა, ნაკრებში 20-ჯერ უთამაშია. მარჯვენა მცველია, რომელმაც კარიერა პოდგორიცას „ბუდუჩნოსტში" დაიწყო. შემდეგ კი ბელგრადის „პარტიზანში" გადავიდა. ამ ჩერნოგორიელს მარჯვენა ფრთის გადათელვა ეხერხება.

სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი, გერმანია), 27 წლისაა, ნაკრებში 5-ჯერ უთამაშია. შეუძლია ლიბეროს, მეურვის, მარჯვენა მცველის და ნახევარმცველის ფუნქციების შესრულება. დაბადებულია იუგოსლავიაში, მაგრამ გერმანიაშია გაზრდილი. ექვსი წელიწადი ფრანკფურტის „აინტრახტში" გაატარა.

## ნახევარმცველები

სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე, ესპანეთი), 29 წლისაა, ნაკრებში 31-ჯერ უთამაშია. ადრე „ვოევოდინასა" და „პარტიზანის" შემადგენლობაში გამოდიოდა. ეხერხება შუა მოედნის კონტროლი, სწრაფია, შორიდან კარში ზუსტად არტყამს და საჰაერო ბრძოლებშიც ძლიერია.

ვლადიმერ იუგოვიჩი (ლაციო, იტალია), 28 წლისაა, ნაკრებში 22-ჯერ უთამაშია. საგანგებოდ ძლიერია ორთაბრძოლებში. სახელი „იუვენტუსში" გაითქვა, საიდანაც „ლაციოში" გადავიდა. ნახევარდაცვას ერთ მუშტად კრავს.

დრაგან სტოიკოვიჩი (გრამპუს ეითი, იაპონია), 33 წლისაა, ნაკრებში 62-ჯერ უთამაშია. საუცხოო გამთამაშებელია, მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ფეხბურთელობას თავს ანებებს. იაპონიამდე ფრანგულ „მარსელში" თამაშობდა, მაგრამ ტრავმები აწუხებდა.

ზელიკო პეტროვიჩი (ურავა, იაპონია), 32 წლისაა, ნაკრებში 11-ჯერ უთამაშია. გამოცდილი მარცხენა ნახევარმცველია, რომელიც იაპონიაში გადაბარგებამდე ჰოლანდიური „ეინდჰოვენის" წევრი იყო.

ლუბინკო დრულოვიჩი (პორტუ, პორტუგალია), 29 წლისაა, ნაკრებში 14-ჯერ უთამაშია. ორივე ფრთაზე შეუძლია მოქმედება, პრაღაში ჩეხეთის ნაკრების გადამწყვეტი გოლი სავაო მილოშევიჩმა მისი პასით გაიტანა.

დეიან გოვედარიცა (ლეჩე, იტალია), 28 წლისაა, ნაკრებში 20-ჯერ უთამაშია. ჰოლანდიურ „ვილემ მეორეში" გამოიდოდა, სადაც „ვოევოდინადან" გადავიდა. ძლიერია საჰაერო ბრძოლებსა და ჩვეულებრივ ორთაბრძოლებში. შავ სამუშაოს დიდი მონდომებით ასრულებს.

მიროსლავ სტევიჩი (მიუნხენ 1860, გერმანია), 28 წლისაა, ნაკრებში 2-ჯერ უთამაშია. ბევრი გუნდი აქვს მოვლილი: „პარტიზანი", „რადი", „გრასჰოპერი" და დრეზდენის „დინამო".

## თავდამსხმელები

დეიან სავიჩევი (მილანი, იტალია), 31 წლისაა, ნაკრებში 49-ჯერ უთამაშია. სტოიკოვიჩთან ერთად იუგოსლავიის ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელად ითვლება. 1991 წელს „ცრვენა ზვეზდას" შემადგენლობაში ჩემპიონთა თასი მოიპოვა და შემდეგ „დიდი მილანის" ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ იქცა. გასულ სეზონში მუხლი სტკიოდა. 1990 წელს იტალიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში მიილო მონაწილეობა.

პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), 29 წლისაა, ნაკრებში 27-ჯერ უთამაშია. ამასწინათ ჩემპიონთა თასის ფინალში „იუვენტუსის" კარში გამარჯვების გოლი გაიტანა. მსოფლიოს პირველობის შესარჩევ გადათამაშებაში უნგრეთის კარში ორ შეხვედრაში გატანილი 12 გოლიდან 7 მან შეაგდო. 1997 წელს „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში რონალდოს შემდეგ მეორე ადგილი აიღო.

სავო მილოშევიჩი (სარაგოსა, ესპანეთი), 24 წლისაა, ნაკრებში 26-ჯერ უთამაშია. ბოსნიელი სერბია, კარგად არტყამს მარცხენა ფეხით.

დარკო კოვაჩევიჩი (რეალ სოსიედადი, ესპანეთი), 24 წლისაა, ნაკრებში 16-ჯერ უთამაშია. ადრე „შეფილდ უენსდეიში" გამოიდოდა, უფრო ადრე კი „ცრვენა ზვეზდაში" საუკეთესო ბომბარდირი იყო. საჰაერო ბრძოლებში ძლიერია.

დეიან სტანკოვიჩი (ცრვენა ზვეზდა), 19 წლისაა, ნაკრებში ერთხელ უთამაშია. ალბათ იტალიურ „ლაციოში" გადავა. სადებიუტო მატჩი კორეასთან ჩაატარა (3:1) და სამი გოლიდან ორი შეაგდო.

პერიცა ოგნიენოვიჩი (ცრვენა ზვეზდა), ახალგაზრდა, პერსპექტიული ფორვარდია. მისით ბევრი უცხოური კლუბია დაინტერესებული.

# ირანი

# და ბოლოს ჯალალ!

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე ირანის ეროვნული გუნდი ვერ მოხვდა. შესარჩევში გასამარჯვებლად ამ ქვეყნის ფეხბურთელებს უიღბლობის გარდა უფულობამაც გამოსდო სარმა, უფულობა კი მოგეხსენებათ სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული. ამიტომაც „აზადის“ 120 ათასიან სტადიონზე გულშემატკივრებმა უკლებლივ ყველა სკამი ცეცხლს მისცეს. ისმოდა მთავრობის საწინააღმდეგო შეძახილებიც.

ფეხბურთსა და პოლიტიკას შორის კონფლიქტი 1979 წლის 11 თებერვალს დაიწყო, როდესაც აიათოლა ხომეინიმ ისლამური რევოლუცია მოაწყო და ევრო-ამერიკული ორიენტაციის შაჰი ქვეყნიდან განდევნა. ისლამურმა რევოლუციამ ქვეყანაში ბევრი რამ შეცვალა, 1980 წელს კი ირან-ერაყის ომიც ატყდა. როცა ქვემეხები ქუხს, ბურთი დუმს — ირანის პირველობა რამდენიმე წლით შეწყდა. ხალხმა მასობრივ ემიგრაციას მიჰყო ხელი, ამერიკასა და ევროპას ოთხნახევარმა მილიონმა ადამიანმა მიაშურა. ქვეყნიდან გაიქცნენ ფეხბურთელებიც, იმ ნაკრებიდან, რომელიც მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატზე გამოვიდა, თითქმის ყველამ უცხო ქვეყანას შეაფარა თავი.

1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევისთვის, რაა გასაკვირი, ირანს გუნდი ფაქტობრივად არ ჰყავდა და ფედერაციამაც მონაწილეობაზე უარი განაცხადა. მდგომარეობა 90-იან წლებში გამოსწორდა და ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი უყვართ, აღმასვლა დაიწყო.

...თამაშის დამთავრებამდე 14 წუთი რჩებოდა, ავსტრალია 2:0-ს იგებდა და უცებ, ქარიმ ბაგერისა და ხოდადად აზიზის გოლები. ანგარიში გაიქვითა. პირველ მატჩში, ირანში 1:1 იყო. ამრიგად ორი შეხვედრის ჯამში ავსტრალიამ და ირანმა ერთმანეთს სამ-სამი გაუტანეს. მაგრამ სტუმრად მეტი აზიის გუნდმა შეაგდო. ისლამური რესპუბლიკის გუნდი 1978 წლის მერე, ისტორიაში მეორედ მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ეს ახლა მოხდა.

ირანი ავსტრალიას იმიტომ გადაეყარა, რომ შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილი მოიპოვა, რის გამოც გადათამაშებაში იაპონიას შეხვდა. იაპონელებთან 2:2-ის მერე, დამატებით დროში მეტოქეთათვის „ოქროს“, თავისთვის კი „სიკვდილის“ გოლი გაუშვა და დებულებამ ოკეანიის ჯგუფის გამარჯვებულთან ჭიდილი არგუნა.

ახლა მწვრთნელებზე: შესარჩევი ციკლი ირანის ნაკრებმა მოჰამად მაალი კოჰანის ხელმძღვანელობით დაიწყო. ამ სუსტმა სპეციალისტმა თანამდებობა ფედერაციაში მომუშავე გავლენიანი ნაცნობების წყალობით მოიპოვა, მაგრამ გუნდის წამყვანმა ფეხბურთელებმა დაუსრულებელი კრიტიკით გადადგომა აიძულეს.

როდესაც საქმე იაპონიასთან ზემოხსენებულ გადათამაშებაზე მივიდა, ირანის ეროვნული გუნდის საჭე ბრაზილიელ ვალდირ ვიეირას ჩააბარეს. მატჩი მალაიზიაში, კუალა ლუმპურში იყო დანიშნული. კუალა ლუმპურში იაპონიის ნაკრები 4 საათში ჩაფრინდა, ირანელებმა კი იმის გამო, რომ ფედერაციის თავაბნეულმა თანამშრომლებმა ფეხბურთელებს ვიზების საქმე ხეირიანად ვერ მოუგვარეს, გზას 16 საათი მოანდომეს. ალბათ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ირანის გუნდმა დამატებით დროში გადასულ თამაშს ველარ გაუძლეო და დამარცხდა. მერე იყო დაუვიწყარი დუელი ავსტრალიასთან.

„ვგონებ, მსოფლიოს პირველობის საგზური კი არა, თავად ჩემპიონატი რომ მომეგო, მაინც მომხსნიდნენ“ — განაცხადა ნაწყენმა და რატომღაც თანამდებობიდან განთავისუფლებულმა ვიეირამ. ოფიციალური ვერსიით ბრაზილიელმა ფედერაციის ჩინოვნიკებს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ხეირიანი გეგმა ვერ შესთავაზა.

ვიეირა 63 წლის ხორვატმა ტომისლავ ივიჩმა შეცვალა. ივიჩი გამოცდილი მწვრთნელი გახლდათ. „ანდერლეხტში“, ზაგრების „დინამოში“, „გალათასარაიში“, „აველინოში“, „პანათინაიკოსში“, „პორტუში“, „ბენფიკაში“, „აიაქსში“, „ატლეტიკოში“, „პარი სენ ჟერმენში“, „მარსელში“, საამიროებისა და ხორვატიის ნაკრებებში ნამუშევარი.

ან დანიშვნა რა იყო, ან მოხსნა. საფრანგეთს გამგზავრებამდე რამდენიმე კვირით ადრე ივიჩი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს. დღეს ირანის ნაკრების მწვრთნელი ვინმე ჯალალ თალები გახლავთ.



ირანის ნაკრები. დგანან: ფაირავანი, ჯავად ზარინჩე, იაზდანი, ალი დაეი, ხაკპური, აბედზადეჰ; სხედან: ოსტადასადი, აზიზი, ესტილი, მაჰდავიკია, მანსურიანი

# ნაკრების კანდიდატები

## მეკარეები

აჰმადრეზა აბედზადე (ფირუზი). 32 წლისაა, ნაკრებში 65-ჯერ უთამაშია. გამოცდილი მეკარეა, საიმედო და ჯანიანი. ამბობენ, ცოტა თეატრალურიაო.

ნიმა ნაკისა (ფირუზი). 23 წლისაა, ნაკრებში ჯერ არ უთამაშია. მომავლის მეკარედაა მიჩნეული. სამეკარეო ტექნიკა უთუოდ აქვს, მაგრამ სტაბილურობაში მოიკოჭლებს.

## მცველები

ნაიმ საადავი (ფირუზი). 26 წლისაა, ნაკრებში 7-ჯერ უთამაშია. აგრესიულია, შემტევი. მარჯვენა ფრთაზე მოქმედებს, მაგრამ ხანდახან ავიწყდება, რომ უპირველს ყოვლისა თავი უნდა დაიცვას.

მოჰამად ხაკპური (ფირუზი). 29 წლისაა, ნაკრებში 36-ჯერ უთამაშია. ძლიერია, სოლიდური და საიმედო.

ალი კაბარ ოსტად ასადი (ზობ-ეოაჰანი). 32 წლისაა, ნაკრებში 29-ჯერ უთამაშია. საადავისგან განსხვავებით წინ არ უყვარს გაქცევა. მარცხენა მცველია.

მეჰდი ფაშაზადე (ესტეგლალი). 24 წლისაა, ნაკრებში 3-ჯერ უთამაშია. მაღალია, ათლეტური, როგორც წესი, მეტოქეებს პერსონალურად მეურვეობს.

აფშინ ფეირავანი (ფირუზი). 28 წლისაა, ნაკრებში 37-ჯერ უთამაშია. კარგი მცველია, მაგრამ ხანდახან უგუნურად იქცევა. გამოცდილება არ აკლია, თუმცა ბოლოხანს დაშავებული იყო.

ჯავად ზარინჩეჰი (ესტეგლალი). 32 წლისაა, ნაკრებში 54-ჯერ უთამაშია. საიმედო ვეტერანია.

რეზა რეზაეიმანეში (ფირუზი). 28 წლისაა, ნაკრებში 12-ჯერ უთამაშია. მებრძოლი მცველია, თავდადებული.

რეზა თორაბიანი (ფირუზი). 26 წლისაა, ნაკრებში ერთხელ უთამაშია. გამოცდილება აკლია, მაგრამ ამ სეზონში თავი გამოიჩინა.

ფარშად ფალაჰადზადე (ბაჰრამი). 27 წლისაა, ნაკრებში 12-ჯერ უთამაშია. ერთხანობა დოპინგის მიღებაში ამხილეს და დისკვალიფიცირებული იყო. უყვარს შეტევაში ჩართვა, ბრძოლას არ ერიდება.

## ნახევარმცველები

ქარიმ ბაგერი (არმინია, გერმანია). 24 წლისაა, ნაკრებში 43-ჯერ უთამაშია. ერთობ ნიჭიერია. უყვარს ორთაბრძოლა და კარში შორიდან არტყამს. გატანილი აქვს 19 გოლი.

ჰამილ ესტილი (ბაჰრამი). 31 წლისაა, ნაკრებში 43-ჯერ უთამაშია. მარჯვენა ფრთიდან გოლების გატანა ეხერხება. ადრე სინგაპურის ლიგაში თამაშობდა.

მეჰდი მაჰდავიკია (ფირუზი). 20 წლისაა, ნაკრებში 23-ჯერ უთამაშია. სწრაფია და სახიფათო, განსაკუთრებით ტლანქ მცველებთან გამოსდის თამაში.

ფარჰად მეჯიდი (ესტეგლალი). 22 წლისაა, ნაკრებში 12-ჯერ უთამაშია. ტექნიკურია და ნიჭიერი.

მეჰრდად მინავანდი (ფირუზი). 22 წლისაა, ნაკრებში 22-ჯერ უთამაშია. შემტევი ნახევარმცველია, რომელიც ამწუთას რომ ბრწყინვალეა, მეორე წუთში არაფერის მაქნისი.

ალირეზა მანსურიანი (ესტეგლალი). 25 წლისაა, ნაკრებში 32-ჯერ უთამაშია. თამაშის დაწყნარება ეხერხება. ეხერხება ჭკვიანური პასების გადაწოდება.

რეზა შაჰრუდი (ფირუზი). 26 წლისაა, ნაკრებში 33-ჯერ უთამაშია. მოღვაწეობდა თურქეთში. მარცხენა ფრთაზე თამაშობს და დრიბლინგი ეხერხება.

სირუს დეენმოჰამადი (მაჰრდარი თაბრიზი). 29 წლისაა, ნაკრებში 15-ჯერ უთამაშია. ნაკრებში ბოლოხანს იწვევენ.

## თავდამსხმელები

ალირეზა აქბარპური (ესტეგლალი). 23 წლისაა, ნაკრებში ჯერ არ უთამაშია. იმედისმომცემი ახალგაზრდაა.

ხოდადად აზიზი (კიოლნი, გერმანია). 26 წლისაა, ნაკრებში 26-ჯერ უთამაშია. 1996 წლის აზიის საუკეთესო ფეხბურთელია. გერმანიაში კარგად ასპარეზობს.

ალი დაეი (არმინია, გერმანია). 29 წლისაა, ნაკრებში 49-ჯერ უთამაშია. გოლის საუცხოო ალღო აქვს. მაღალია, თავურებს კარგად არტყამს.

სათარ ჰამედანი (ბაჰმანი). 22 წლისაა, ნაკრებში 3-ჯერ უთამაშია. ნიჭიერია და იმედისმომცემი.

ალი მუსავი (ფასი). 24 წლისაა, ნაკრებში 8-ჯერ უთამაშია. სასარგებლო ფორვარდია. კარგად აწვდის მაღალ ბურთებს. ფლანგებზე აქტიურია.

**ირანი მონაწილეობდა ერთ მსოფლიოს ჩემპიონატში**

| 3 | +0 | =1 | −2 | 2:8 |
|---|---|---|---|---|
| 1978 | | | | |
| ჰოლანდია | 0:3 | | | |
| შოტლანდია | 1:1 | | | დანაიფარი |
| პერუ | 1:4 | | | როვშანი |

# შენ გელის აშშ

ჯალალ თალები ფეხბურთელობისას ირანის ნაკრებში თამაშობდა, ახლა მწვრთნელია. იგი ურთულეს დროს, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე სამი კვირით ადრე დააყენეს ეროვნული საქმის საჭესთან. მისი ამოცანა რთულზე რთულია, თავი არ უნდა შეირცხვინოს ჯგუფში, რომელშიც გერმანია, იუგოსლავია და რაც მთავარია აშშ გამოდიან.

„სიკვდილი აშშ-ს“ — ეს ლოზუნგი თალების ქვეყანაში ყველაზე პოპულარულია, ასე რომ გერმანიასა და იუგოსლავიასთან რაც გინდა მოხდეს...

თალების დანიშვნა მართლაც მოულოდნელი ამბავი გახლდათ. იგი გამოცდილი და კომპეტენტური ხორვატის, ტომისლავ ივიჩის ნაცვლად აიყვანეს სცენაზე. რატომ? ამბობენ, ამხანაგურ მატჩებში მიღწეული ცუდი შედეგების გამოო. ეტყობა, ირანული ფეხბურთის შეფებს მოთმინების ფიალა იტალიურ „რომასთან“ 1:7 მარცხმა აუვსო.

არადა, ივიჩი საკმაოდ დიდ გულზე იყო, ჩემი ბიჭები საფეხბურთო მსოფლიოს გააოცებენო, ამბობდა. თალები კი მისი ასისტენტი იყო.

**ირანელთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.05.96 | (ა) | თაბრიზი | ყატარი | 2:0 | |
| 27.05.96 | (ა) | ქუვეითი | ქუვეითი | 2:2 | |
| 30.05.96 | (ა) | ქუვეითი | ქუვეითი | 2:1 | დაეი 2 |
| 10.06.96 | (აშ) | თეირანი | ნეპალი | 8:0 | |
| 12.06.96 | (აშ) | თეირანი | შრი ლანკა | 7:0 | |
| 14.06.96 | (აშ) | თეირანი | ომანი | 2:0 | |
| 17.06.96 | (აშ) | მუსკატი | შრი ლანკა | 4:0 | |
| 19.06.96 | (აშ) | მუსკატი | ნეპალი | 4:0 | |
| 21.06.96 | (აშ) | მუსკატი | ომანი | 2:1 | |
| 4.10.96 | (ა) | ქუვეითი | ქუვეითი | 1:0 | |
| 13.11.96 | (ა) | ბეირუთი | ლიბანი | 0:0 | |
| 5.12.96 | (ათ) | დუბაი | ერაყი | 1:2 | დაეი |
| 8.12.96 | (ათ) | დუბაი | თაილანდი | 3:1 | საადავი, მინავადი, დაეი |
| 11.12.96 | (ათ) | დუბაი | საუდეთი | 3:0 | ბაგერი, აზიზი 2 |
| 16.12.96 | (ათ) | დუბაი | კორეა | 6:2 | დაეი 4, აზიზი, ბაგერი |
| 18.12.96 | (ათ) | აბუ დაბი | საუდეთი | 0:0 | პენალტებით 3:4 |
| 21.12.96 | (ათ) | აბუ დაბი | ქუვეითი | 0:0 | პენალტებით 3:2 |
| 11.04.97 | (ა) | ქუვეითი | ქუვეითი | 2:0 | |
| 21.04.97 | (ა) | ტაბრიზი | კენია | 3:0 | |
| 27.04.97 | (ა) | პეკინი | ჩინეთი | 0:0 | |
| 2.06.97 | (მშ) | დამასკო | მალდივეთი | 17:0 | |
| 4.06.97 | (მშ) | დამასკო | ყირგიზეთი | 7:0 | |
| 6.06.97 | (მშ) | დამასკო | სირია | 1:0 | |
| 9.06.97 | (მშ) | დამასკო | ყირგიზეთი | 3:1 | |
| 11.06.97 | (მშ) | თეირანი | მალდივეთი | 9:0 | |
| 13.06.97 | (მშ) | თეირანი | სირია | 2:2 | |
| 17.08.97 | (ა) | ტორონტო | კანადა | 1:0 | |
| 13.09.97 | (მშ) | დალიანი | ჩინეთი | 4:2 | |
| 19.09.97 | (მშ) | თეირანი | საუდეთი | 1:1 | |
| 26.09.07 | (მშ) | ქუვეითი | ქუთეითი | 1:1 | |
| 3.10.97 | (მშ) | თეირანი | ყატარი | 3:0 | |
| 17.10.97 | (მშ) | თეირანი | ჩინეთი | 4:1 | |
| 24.10.97 | (მშ) | ერ რიადი | საუდეთი | 0:1 | |
| 31.10.97 | (მშ) | თეირანი | ქუვეითი | 0:0 | |
| 7.11.97 | (მშ) | დოჰა | ყატარი | 0:2 | |
| 16.11.97 | (მშ) | კუალა ლუმპური | იაპონია | 2:3 | |
| 22.11.97 | (მშ) | თეირანი | ავსტრალია | 1:1 | |
| 29.11.97 | (მშ) | მელბურნი | ავსტრალია | 2:2 | |
| 28.01.98 | (ა) | ჰონკონგი | ნიგერია | 0:1 | |
| 31.01.98 | (ა) | ჰონკონგი | ჩილე | 1:1 | |
| 14.04.98 | (ა) | ტიბრიზი | ქუვეითი | 1:1 | |
| 20.04.98 | (ა) | თეირანი | უნგრეთი | 0:2 | |
| 22.04.98 | (ა) | თეირანი | იამაიკა | 1:0 | |

შემოკლებანი: (ა) — ამხანაგური; (მშ) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი; (აშ) — აზიის თასის შესარჩევი; (ათ) — აზიის თასი

# ხოდადად ხალხის რჩეული

ირანელთათვის ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე ქალაქი მაშჰადი წმინდაა, მაგრამ ფეხბურთის ლეგენდარული ვარსკვლავი ალი ფარვიანი რამდენიმე წლის წინ იქ სალოცავად არ ჩასულა. მისი მიზანი ჯერაც უწვერული ხოდადად აზიზის ნახვა იყო, გაგონილი ჰქონდა,



რომ ეს ბიჭი საოცარი ტრიუკებით თავბრუს ახვევდა მოწინააღმდეგეთა მცველებს.

ფარვანი მერე ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი გახდა, მაგრამ მთავარი ეს არაა, მთავარი ის გახლავთ, რომ მან აზიზის ხელი მოჰკიდა და თეირანში ჩაიყვანა, ელიტაში გარია.

აზიზი „ბაჰმანში“ გადავიდა და მალე ეროვნული გუნდის მაისურიც მოირგო. ნაკრებში გამოჩენა და აზიაში სახელის განთქმა ერთი იყო. 1996 წელს კონტინენტის წლის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა.

26 წლის ვარსკვლავი, საგანგებოდ ცნობილი, გასული წლის ნოემბერში გახდა, როდესაც მელბურნში ისტორიული მნიშვნელობის გოლი გაუტანა ავსტრალიელებს. ამ გოლმა ირანი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა.

ხოდადად აზიზი გერმანიაში, „კიოლნში“ თამაშობს. მისი აზიური ტექნიკა, ევროპულ ყაიდასთან კარგადაა შერწყმული. იგი ხშირად ძვრება მოწინააღმდეგეთა მცველებში და მეკარესთან პირისპირ რჩება.

აზიზი ირანის ნაკრების „გერმანული ტრიოს“ მთავარი წევრია. ტრიოში მის გარდა შედიან „არმინიას“ ფორვარდი ალი დაეი და იმავე გუნდის ნახევარმცველი ქარიმ ბაგერი.

აზიზი ხალხს უყვარს, ფედერაციის ჩინოვნიკებს კი არა. „რაღა აზიზი, მისნაირი კიდევ ათი გვყავს“ — ამბობენ ისინი.

ირაკლიმ სტაბილურად, მაღალ დონეზე ჩაატარა მთელი ჩემპიონატი და ამას წინათ გამართულ ჟურნალისტთა გამოკითხვაში ღირსეულად დაიმსახურა საქართველოს ნომერ პირველი კალათბურთელის წოდება. ეს სეზონი უდავოდ მისი იყო. თამაშში საშუალოდ 30 ქულას აკეთებდა, დაცვაშიც რიგიანად ირჯებოდა და „აზოტის" წლევანდელ წარმატებაშიც ლომის წილი დაიდო. ეს არც ეროვნული ნაკრების მესვეურებს გამორჩენიათ მხედველობიდან და გამოძახებამაც არ დაახანა. ჩვენი ირაკლი ჯაფარიძესთან შეხვედრაც სწორედ ნაკრების ვარჯიშის შემდეგ „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე შედგა.

# ხალხმა მხოლოდ ახლა გამიცნო



ირაკლი ჯაფარიძე
დაიბადა 1973 წლის 11 იანვარს
სიმაღლე 206 სმ.
1998 — საქართველოს ვერცხლის პრიზიორი
1997 — საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორი

**— საუკეთესო კალათბურთელად დასახელება ნებისმიერისთვის საამაყოა. თქვენ როგორ აღიქვით ეს ფაქტი და თუ მოელოდით?**

— მეც „ვითასთან" ბოლო თამაშზე გავიგე ამის შესახებ, ისიც შემთხვევით, ერთ-ერთი ჟურნალისტისგან. სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან გამიხარდა. თუმცა ამაზე საერთოდ არ მიფიქრია. მე მხოლოდ ვცდილობდი, ისე მეთამაშა, რაც გუნდს სასიკეთოდ წაადგებოდა. აღიარება მართლაც რომ საამაყოა, მაგრამ მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა.

**— მთლიანობაში როგორ შეაფასებდით თქვენს თამაშს?**

— ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი. ეს ალბათ თქვენი, ჟურნალისტებისა და კალათბურთის სპეციალისტების საქმეა. ერთს ვიტყვი, ჩემმა თამაშმა რაღაც დონემდე დამაკმაყოფილა, მაგრამ უფრო მეტი შემიძლია. ეს ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი არ არის.

**— ბევრი დაიწერა „ვითა" — „აზოტის" ფინალური მატჩების სერიაზე. დამეთანხმებით, რუსთაველები ჩემპიონობასთან ასე ახლოს არასდროს ყოფილხართ. ფავორიტებადაც თქვენ ითვლებოდით, თუმცა მიზანს ვერ მიაღწიეთ. რით ახსნით ამ ფაქტს?**

— პლეი ოფს, როგორც წესი, მთელი გუნდი თამაშობს. დაძაბულობაც ერთიორად მეტია. ასეთ სიტუაციაში მხოლოდ ინდივიდუალური სიძლიერით ფონს გასვლა ძნელია. მე და რამაზ გოგობერიშვილს გარკვეულწილად გვქონდა გამოცდილება და ვიცოდით, თუ რა ბრძოლის ფასად მივაღწევდით საბოლოო გამარჯვებას, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. გუნდში ბევრი ახალგაზრდა, გამოუცდელი კალათბურთელია და მათთვის ეს ფსიქოლოგიური ბარიერი გადაულახავი აღმოჩნდა. მარცხის ძირითად მიზეზადაც სწორედ ეს მიმაჩნია. მაგრამ აქ ზაზა გაბისონიას ტრავმაც გასათვალისწინებელია...

**— ერთი სიტყვით, „ვითა" ღირსეული ჩემპიონია.**

— გეთანხმებით. ფინალებისთვის „ვითა" უფრო მომზადებული აღმოჩნდა. არასახარბიელო სტარტის მიუხედავად, გუნდმა შეძლო მობილიზება და აკი მეექვსედ გახდა ჩემპიონი. სასურველი იყო, პლეი ოფშიც ისე გვეთამაშა, როგორც მთელი ჩემპიონატის მანძილზე. საბოლოო ანგარიშიც 4:3 ჩვენს სასარგებლოდაა, თუმცა ახლა ამას რა აზრი აქვს.

**— მავანთა აზრით ირაკლი ზედმეტად ემოციურია და მაშინაც ნერვიულობს, როცა საჭირო არ არის. საუკეთესოა, მაგრამ ნერვების მოთოკვა უჭირს, ეს კი მის თამაშზეც მოქმედებს.**

— ემოციური ნამდვილად ვარ, მაგრამ მარტო მე არა. რა ვიცი, სპორტია, აზარტია და შესაბამისად ემოციაც იქნება. ზოგჯერ მეტად, ზოგჯერ ნაკლებად. საერთოდ კარგია, რომ არ იყოს. ბოლო თამაშებზე, მგონი, ისეთი არაფერი ყოფილა, თუმცა ყველაზე დაძაბული იყო.

**— მოდი, ცოტა წარსულსაც გადავხედოთ. ხუთი წელი საბერძნეთში თამაშობდი. არა მგონია, ეს გულშემატკივრებისთვის უინტერესო იყოს.**

— საბერძნეთში შემთხვევით მოვხვდი. 1991 წლის ზაფხულში მამაჩემის მეგობარმა წამიყვანა ტურისტულად. თან მითხრა, ვნახოთ, იქნებ სადმე კარგი ვარიანტი გამოჩნდეს და რომელიმე ძლიერ გუნდში მოგაწყობო. ბედად „პაოკის" წარმომადგენლებს შევხვდით. მაშინ ეს გუნდი საბერძნეთის ჩემპიონი იყო. მათ ტრადიციულად გამსინჯეს, ნახეს ჩემი შესაძლებლობები და დამიტოვეს. მაშინ 18 წლის ახალგაზრდა, სიმართლე გითხრათ, არ ვიყავი მზად უმაღლეს დონეზე სათამაშოდ (ძალიან ძლიერი ლიგაა) და ახალი სეზონის დასაწყისში მეორე ლიგის „მენტში" აღმოვჩნდი. „მენტი" ერთგვარად „პაოკის" საბაზო გუნდი იყო. მათთან კონტრაქტი მაკავშირებდა, რომელიც 1+1-ს ითვალისწინებდა.

**— რა პოზიციაზე გიწევდათ თამაში?**

— ძირითადად მეოთხე ნომერზე. თავიდან კი მესამეზე მათამაშებდნენ, მაგრამ... ფაქტობრივად, ორი წელი დავკარგე. ფეხი მოვიტეხე და თამაშს ვინ ჩივის, სიარულიც აღარ შემეძლო. ეს ჩემთვის ტრაგედია იყო. ამან, რა თქმა უნდა, ჩემს კარიერაზეც უარყოფითად იმოქმედა. ვარჯიში რომ განვაახლე, უკვე წონაც საკმაოდ მომატებული მქონდა. მოგეხსენებათ, ორი წელი რამდენს ნიშნავს მოზარდი კალათბურთელისთვის.

**— მთლიანობაში როგორ შეაფასებდით თქვენს ხუთწლიან „ბერძნულ" კარიერას? რამ გაიძულათ დაბრუნება?**

— ალბათ, დადებითად. იქ თამაში ჩემთვის დიდი სკოლა იყო. მაგრამ ამას თავისი უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა. ნაკრების ხელმძღვანელობის თვალთახედვის არედან დაკარგული ვიყავი. არც ახალგაზრდულში მომიწია თამაშმა. გული მწყდება, რომ ხალხმა მხოლოდ ახლა გამიცნო. ამ მხრივ ჩემი საქართველოში დაბრუნება გამართლებულადაც შეიძლება ჩაითვალოს.

**— ნაკრები ახსენეთ. რა მდგომარეობაა ახლა გუნდში?**

— ვვარჯიშობთ. მოგეხსენებათ, ივნისის ბოლოს მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე ვართ მიწვეულნი და მთელი ყურადღებაც ამაზე გადავიტანეთ. ლეგიონერების საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია. გუნდი დღითიდღე ყალიბდება და იმედია, შევძლებთ წარმატებით ვიასპარეზოთ. თუმცა ცოტა ხელიც რომ შეგვიწყონ, ურიგო ნამდვილად არ იქნება.

**— ირაკლი, მოდით ორიოდ სიტყვით სამომავლო გეგმებზეც ვთქვათ: „აზოტში" რა ხდება? ამბობენ, „ვითა" ეკურკურებაო.**

— პირადად ჩემთვის არავის მოუმართავს. ისე, მეც მოვკარი ყური, გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ალბათ, მომავალშიც „აზოტში" ვითამაშებ. გუნდის ხელმძღვანელობა სერიოზულადაა დაინტერესებული და რამდენიმე მოთამაშის დამატებას აპირებს. კონკრეტულად ჯერ არაფერი თქმულა. 2-3 დღეში უნდა შევიკრიბოთ და ყველაფერიც მაშინ გაირკვევა. რაც მთავარია, გუნდის ბირთვი გამოკვეთილია და დარწმუნებული ვარ, თუ სათანადო პირობებს შეგვიქმნიან, არც ჩემპიონობა იქნება მიუწვდომელი.

**გიორგი ბიძაშვილი**
**გურამ დოლენჯაშვილის ფოტო**

## აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალი

29 მაისი

**ინდიანა 3 ჩიკაგო 3**

**ინდიანა 92:89 ჩიკაგო**

**ინდიანა: ჯეკსონი (13), მილერი (8), მულინი (2), დ. დევისი (19), სმიტსი (25); როუზი (8), ა. დევისი (6), ბესტი (6), მაკკიი (5)**

**ჩიკაგო: ჰარპერი (4), ჯორდანი (35), პიპენი (19), კუკოჩი (10), ლონგლი (13); როდმანი (6), ბარელი (2), კერი, ბრაუნი, უენინგტონი, სიმპკინსი**

ინდიანაში მეექვსე თამაშისას მაიკლ ჯორდანმა 35 ქულა კი გააკეთა, მაგრამ ბოლო წუთში რამდენიმე ააცილა, რითაც ინდიანოპოლისელებმა ისარგებლეს და შინ მეექვსე მატჩში გამარჯვებით სერიაში ანგარიში კვლავ გაათანაბრეს. ინდიანა იმ დღეს ჩინებულად გამოიყურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მის ლიდერ რეჯი მილერს ნატკენი ქუსლი ჯერაც არ მორჩენოდა. მან 41 წუთი გაატარა მოედანზე და თავისიანებს ბევრი ვერაფრით დაეხმარა, მაგრამ მისმა თანაგუნდელებმა თავიანთ საქმეს მშვენივრად გაართვეს თავი და კლუბის ისტორიაში ფინალში პირველად მოხვედრის შანსი შეინარჩუნეს.

31 მაისი

**ჩიკაგო 4 ინდიანა 3**

**ჩიკაგო 88:83 ინდიანა**

**ჩიკაგო: ჰარპერი (4), ჯორდანი (28), პიპენი (17), კუკოჩი (21), ლონგლი (3); კერი (11), როდმანი (2), ბარელი (2), ბიუჰლერი, სიმპკინსი**

**ინდიანა: ჯეკსონი (11), მილერი (22), მულინი (7), დ. დევისი (9), სმიტსი (13); ა. დევისი (7), როუზი (7), ბესტი (4), მაკკიი (3)**

აღმოსავლეთშიც დასრულდა ყველაფერი. ამას შვიდი მატჩი დასჭირდა და თითოეულ მათგანში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. ინდიანამ ბოლო ხუთ წელიწედში მესამედ წააგო აღმოსავლეთის შვიდმატჩიანი ფინალი და სამჯერვე იმის გამო, რომ შინ ნაკრები თამაში უწევდა, ვიდრე გარეთ. ინდიანას რეგულარულ ჩემპიონატებში მის მძლეველებზე უკეთ რომ ესპარეზა, ვინ იცის, მოედნის უპირატესობა იქნებ ესოდენ სანატრელ NBA-ს ფინალს მოუტანდა, მაგრამ „მარდები" პლეი ოფში ყოველთვის უკეთესნი არიან... ჩიკაგოელებმა კი მოახერხეს და სირცხვილს გადაურჩნენ. ისინი ფინალში ზედიზედ მესამედ მოხვდნენ. ერთი რამ კი ცხადია, ხუთგზის ჩემპიონებს რამდენიმე წელიწადია, პლეი ოფში ინდიანას დარი მოწინააღმდეგე არ ჰყოლიათ. ლარი ბერდის ბიჭები მოხსნებში რომ უკეთ გარჯილიყვნენ და საკუთარ ფარზე მეტოქისთვის 22 (!) არ დაეთმოთ, ძნელი სათქმელია, იუტას რომელ გუნდთან მიუწევდა პაექრობა.

ამ მატჩში ერთი საგულისხმო რამ მოხდა, მაიკლ ჯორდანმა 28 ქულა გააკეთა, პლეი ოფებში სულ 5786 დაუგროვდა და 24-ით გადაუსწრო პირველ ადგილზე მყოფ ქარიმ აბდულ ჯაბარს.

NBA-ს ფინალური სერიის პირველი შეხვედრა სოლტ ლეიკ სიტიში 3 ივნისს გაიმართება.

**ირაკლი ფირაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კობა გოგოლაძე: მგონი, ცუდი სასიძო არ ვარ...

**ევროპის ვიცე-ჩემპიონ კობა გოგოლაძესთან სასაუბროდ ტექნიკური უნივერსიტეტის კრივის დარბაზს ვეწვიეთ. არაფერს ვიტყვი იმ გარემოზე, სადაც იგი საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელ ზურაბ გუნიასთან ერთად ვარჯიშობდა, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო, ხომ გაგიგონიათ. ჰოდა, გოგოლაძეც შეუფერებულ პირობებში განაგრძობს მსოფლიო თასისთვის მზადებას. ამ პრესტიჟულ ტურნირს 13 ივნისიდან ჩინეთი უმასპინძლებს. ვიდრე სამომავლო გეგმებზე ჩამოვუგდებდით სიტყვას, კობას წარსული შევახსენეთ და ჩვენი საუბარიც ბავშვობის წლების გახსენებით დავიწყეთ...**

კობა გოგოლაძე
დაიბადა 1973 წელს ფოთში
საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის
საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი
ატლანტის ოლიმპიადის მონაწილე
1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი
1998 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი
მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული



— როგორც ყველა ბიჭი, მეც ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი, ერთხანს ტანვარჯიშმაც გამიტაცა, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი კრივზე შევაჩერე. ალბათ იმიტომაც, რომ ფოთში კრივი ძალიან პოპულარულია და ზღვისპირა ქალაქს ბევრი სახელოვანი მოკრივე გაუზრდია. ვარჯიში 1986 წელს პორტის კრივის სკოლაში დავიწყე ნიკოლოზ შლანტიშვილის ხელმძღვანელობით. ბატონი ნიკოლოზი რინგის ცნობილი ოსტატების — იური სავოჩკინისა და ცხონებული ზურაბ სარსანიას აღმზრდელია. ორი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ჩემპიონატი მოვიგე, იგივე შედეგი 1989 და 1990 წლებშიც გავიმეორე.

საუბარში ნაკრების უფროსი მწვრთნელი **ზურაბ გუნია** ჩაგვერთო:

— მას შემდეგ კობას რაღაც დაემართა, სამი წლის განმავლობაში რინგზე აღარ გამოსულა. მისი ნიჭის მოკრივისთვის კარიერის ნაადრევად დასრულება საცოდაობა იქნებოდა. ჩემი რჩევითა და დაჟინებული მოთხოვნით 1993 წლიდან კვლავ შეუდგა ინტენსიურ ვარჯიშს, რასაც ჩვეული სპორტული ფორმის აღდგენა მოჰყვა და წარმატებებმაც აღარ დააყოვნა.

**— თქვენ ალბათ ყველაზე უკეთ მოგეხსენებათ კობას დადებითი და უარყოფითი თვისებების შესახებ...**

— შეიძლება ცუდ შედარებას ვაკეთებ, მაგრამ კობას არ ეწყინება. იგი ისეთი ნიჭიერი არაა, როგორც, ვთქვათ, გიორგი კანდელაკი, რომელსაც უვარჯიშებლად შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგოს. მას შემდეგ, რაც კობამ ვარჯიში განაახლა, საოცარი შრომისუნარიანობითა და მიზანდასახულობით გამოირჩევა, მასში სწორედ ამ თვისებას ვაფასებ.

**— კობა, ატლანტის ოლიმპიადაზე თითქმის ყველა ფავორიტი დაამარცხე.**

— პირველ შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტ, კორეელ მოკრივეს მოვუგე, შემდეგ წრეში მსოფლიოს ჩემპიონ, კუბელ გონსალესს ვძლიე და რუმინელი დოროფტეიც გავამგზავრე შინ. თავს არ ვიქებ და, სამოყვარულო კრივში 60 კგ-ში სწორედ ისინი ქმნიდნენ ამინდს. აქვე მინდა გითხრათ, რომ ამჟამად სამივე მოკრივე პროფესიულ რინგზე გამოდის.

**— 1997 წელს, უნგრეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მეოთხედფინალურ ბრძოლაში დოროფტეისთან მიიღე ტრავმა...**

— რუმინელი კი დავამარცხე, მაგრამ ნახევარფინალში მოტეხილმა თითმა საშუალება აღარ მომცა, მონღოლ მოკრივეს საკადრისად გავსწორებოდი. მართალია, ბრინჯაოს მედალი ურიგო შედეგი არ იყო, მაგრამ მერწმუნეთ, საუკეთესო ფორმაში ვიყავი და ოქროს მოპოვება არ გამიჭირდებოდა.

**— მინსკის ევროპის ჩემპიონატსაც მივადექით. გერმანელ ჰუსტესთან ფინალურ ბრძოლას ტელევიზიით ვუყურე და, პირდაპირ გეტყვი, შენგან მეტს ველოდი.**

— ვიდრე მინსკის რინგზე გამართული ბრძოლების შესახებ ვისაუბრებთ, ერთსაც გეტყვი: მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღებული ტრავმის შემდეგ აღარ მივარჯიშია და მხოლოდ წელს, თებერვალში დავიწყე კონტინენტის პირველობისთვის მზადება. მართალი გითხრა, ოქროს მედალზე ვოცნებობდი და ასეთი განწყობითაც გავემგზავრე ბელარუსის დედაქალაქს. პირველი სამი შეხვედრა, შეიძლება ითქვას, ცალი ხელით მოვიგე, ნახევარფინალში ჩემს მეგობარ სომეხ არტურ გევორქიანს დავუპირისპირდი. ორივე ტექნიკური სტილის მოკრივეები ვართ, კარგად ვიცნობთ ერთმანეთის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ბრძოლა დაძაბულად წარიმართა და საბოლოოდ ჩემი გამარჯვებით 5:4 დამთავრდა. გერმანელ ჰუსტეზე აბა რა გითხრათ. მართალია, იგი 60 კგ წონაში მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შედის, მაგრამ დიდი ვერაფერიშვილი მოკრივეა. მინსკის რინგზეც ყველა ბრძოლა თითო ქულით მოიგო, ჩაკეტილ ჩხუბს ამჯობინებს და მთელი ხუთი რაუნდი იმას ელის, როდის შეუტევს მოწინააღმდეგე, რათა საპასუხო დარტყმა მიაყენოს. ფინალური შეხვედრაც ასე წარმართა, სამი რაუნდის განმავლობაში ერთმანეთს ვზვერავდით, ბოლოსწინა რაუნდში შეტევაზე გადავედი. ჰუსტემ კონტრშეტევაზე ქულა აიღო. მეხუთეში უკვე ვიცოდი, ვაგებდი და გამალებით შევუტიე. წუწუნი არასოდეს მყვარებია, მაგრამ ორჯერ მაინც ნამდვილად სახეში მოვარტყი, მაგრამ მსაჯებმა ამაზე თვალი დახუჭეს, გერმანელს კი კიდევ ერთი ქულა მიუთვალეს და შეხვედრაც მის სასარგებლოდ 2:0 დამთავრდა.

**— ძალიან ბევრი მოკრივე პროფესიონალებში გარბის, შენც იქით ხომ არ მიგიწევს გული.**

— ჯერჯერობით ვერ გადამიდგია ეს ნაბიჯი და არც ვარ მზად. აგერ, გიორგი კანდელაკმა უკვე მოაწერა კონტრაქტს ხელი, მჯერა, წარმატებებსაც მიაღწევს. ისე არ გამიგოთ, თითქოს საკუთარი თავის იმედი არ მქონდეს, მაგრამ ჯერ მინდა, სამოყვარულო კრივის მწვერვალები დავიპყრო.

**— ვატყობ, მსოფლიოს თასის მოპოვებაზე უარს არ იტყოდი.**

— 10 ივნისს მივემგზავრებით ჩინეთში მე და რამაზ გაზაშვილი. იმედია, იქ გერმანელ ჰუსტეს შევხვდები და რევანშიც შედგება. საერთოდ კი, მსოფლიოს ჩემპიონობასა და ოლიმპიურ ოქროზეც ყაბულს ვარ.

**— მოდი, რინგიდან ჩამოვიდეთ და ორიოდ სიტყვით შენს პირად ცხოვრებაზეც ვთქვათ, დაოჯახებას აღარ აპირებ?**

— რთული საკითხია, ისე კი ამ ინტერვიუს მშვენიერი გოგონებიც თუ წაიკითხავენ, აუცილებლად გამომეხმაურონ, მგონი, ცუდი სასიძო არ ვარ...

**— მით უმეტეს, მალე უდიპლომო სასიძო აღარ იქნები.**

— ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ვარ. მალე დიპლომიანი მოკრივე გავხდები. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენი ფაკულტეტის დეკანს, ალეკო ცინცაძეს თანადგომისა და ჩემს მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისთვის.

**სოსო კოტორეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ქართული სიტყვა




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

# ვარსკვლავთცვენა მაჩხაანში

## ნეტა რა მოხდა ბაზალეთზე?

იმ დღეს გზები ორად გაიყო. 70 ათასამდე კაცი, ფეხბურთის გულშემატკივარი იყო თუ არა, თბილისში ეროვნულ სტადიონზე მივიდა, რათა ეხილა ჩვენი და რუსთა ეროვნული ნაკრებების მატჩი, უფრო სწორად დიდი ბრძოლა. სწორედ იმ დროს მსოფლიო სპორტის ვარსკვლავთცვენა დაიწყო მაჩხაანში. კახეთის ამ სოფელში 500-მდე კაცმა მოიყარა თავი. ყველანი ფეხბურთის გულშემატკივრები იყვნენ, მაგრამ როცა არჩევანზე მიდგა საქმე, მათ ბევრი არ უფიქრიათ, ადგნენ და ვინ საკუთარ ავტომობილით, ვინც საგანგებოდ საამისოდ გამოყოფილი მიკროავტობუსითა თუ „იკარუსით", მაჩხაანში დათქმულ დროს ჩავიდა.

აქ იყვნენ ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები, პრიზიორები, ძველი თუ ახალი თაობის წარმომადგენლები: მოჭიდავეები დავით ციმაკურიძე, რომან რურუა, გურამ სალარაძე, ლევან თედიაშვილი, თეიმურაზ აფხაზავა, დავით გობეჯიშვილი; ძიუდოისტები შოთა ხაბარელი, თემურ ხუბულური, ამირან ტოტიკაშვილი; ძალოსანი რაფაელ ჩიმიშკიანი; კალათბურთელები ნოდარ ჯორჯიკია, ოთარ ქორქია, რეზო გოგელია, ვლადიმერ უგრეხელიძე... ბევრი ვარსკვლავი იყო, ძალიან ბევრი. ამდენი ვარსკვლავი, ერთად თავმოყრილი, მაჩხაანს არ ახსოვს, არც ზედას, არც ქვედას, არც ერთად აღებულს...

ქართული სპორტის ასეთი ნაღები, ალბათ, მხოლოდ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებისას თუ გვინახავს.

— ყველას ჩამობრძანება ძალიან გამიხარდა, მაგრამ მე რომ აქ ჩემი ოთარ ქორქია დავინახე, მე რომ ჩემი ნოდარ ჯორჯიკია დავინახე, ამურა ციმაკურიძე და რაფო ჩიმიშკიანი დავინახე, ჩემ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დღეს მხოლოდ ეს გადაგვარჩენს — სიყვარული და თანადგომა გადაგვარჩენს, — გვითხრა იმ თავმოყრის მთავარმა მიზეზმა და მასპინძელმა, მერე იქვე დაამატა, ახლა დროა ნელ-ნელა ქვემოთ ჩავიწიოთო.

ქვემოთ ჩაწევაში თავის სახლ-კარსა და იქ გაშლილ მეფურ სუფრას გულისხმობდა, ის დიდებული ოთხეული კი ალბათ იმად გამოარჩია, რომ თავისი კბილანი იყვნენ. „ჩაწევისას" იყო ასეთი დიალოგიც:

— ამ კაცმა რაღა ფეხბურთის დღეს დაამთხვია დაბადების დღე?

— მაგას ვინ ეკითხებოდა. იმ დღეს დაიბადა, როცა განგებამ ინება.

— ჰო, ჯობდა მატჩის დღე გადაეტანათ!

— რას ამბობ, კაცო, მატჩის დღეს ვინ გადაიტანდა, დიმიტრიჩს კი უნდა გადაედო თავისი დაბადების დღის აღნიშვნა, ბოლოს და ბოლოს, 9 მაისსაა დაბადებული.

— აბა, თქვენა ხართ. კაცი სამოცდაათისა გამხდარა, ამდენი ხალხი ჯერ კიდევ როდის დაგვპატიჟა, თადარიგიც დაუჭერია, ორი დღე უნდა ვიქეიფოთო, თქვენ კიდევ გადატანა-გადმოტანაზე ლაპარაკობთ. როგორც დიმიტრიჩს სურს, ეგრე უნდა იყოს და ეგრეც იქნება. არ იცით, რა ჯიუტია?!

„დიმიტრიჩი" ბიძინა მაზიაშვილი გახლავთ. სპორტის ჭეშმარიტი მოყვარულისთვის ამ სახელსა და გვარს ახსნაგანმარტება არ სჭირდება. როგორც იმ დღეს ზემო მაჩხაანის სოფლის კლუბში მოწყობილ საიუბილეო საღამოზე თქვეს, თუ ვინმეს მთელს მსოფლიოში კიმონო ან ჩოხა ჩაუცვამს, ყველა ბიძინა მაზიაშვილს იცნობსო, ჩვენთან კი, რაღა თქმა უნდა, ისინიც იცნობენ, ვისაც არც ერთი ჩაუცვამს და არც მეორე.

აბა, როგორ შეიძლება, არ იცნობდე კაცს, ვისაც აღუზრდია ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ-პრიზიორები: ფარნაოზ ჩიკვილაძე, გივი ონაშვილი, ჯიბილო ნიჟარაძე, გურამ გოგოლაური, ამირან მეზაევი, აბდულა ბარკალაევი, ანზორ მარტყოფლიშვილი, დილარ ხაბულიანი...



ბიძინა, ასე მტერი დაგეცალოს!

აბა, როგორ შეიძლება, არ იცნობდე კაცს, ვინც 23 წელი საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო, იმ ნაკრებისა, რომელსაც ზღვა სიხარული მოუტანია ჩვენთვის.

აბა, როგორ შეიძლება, არ იცნობდე კაცს, ვინც თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნი „ა" კლასის უპრესტიჟულეს ტურნირად აქცია.

იმ საღამოს ისიც გაიხსენეს, რომ ბიძინა მაზიაშვილმა გუნდის მზადებაში პირველმა გაითვალისწინა მეცნიერთა რეკომენდაციები. ჰოდა, რაღა საკვირველია, რომ თბილისში ჩამოსული ძიუდოს სამშობლოს წარმომადგენლები მაზიაშვილს სთხოვდნენ ქართული ჭიდაობის ილეთების სწავლას, რასაც მისი აღსაზრდელები არაერთხელ აუყვანია საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ამგვარი ილეთების სასწავლებლად იაპონელებს მაზიაშვილი 1962 წელს თავიანთ ქვეყანაშიც მიუწვევიათ.

ყოველივე ამისთვის ბიძინა მაზიაშვილს იმ სოფლის კლუბში „ღირსების ორდენი" გადასცეს და ქვეყნის პრეზიდენტის მილოცვაც წაიკითხეს, საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა კი საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

იმ საზეიმო საღამოზე ბიძინა მაზიაშვილის პორტრეტისთვის შტრიხებს რომ გვაწვდიდნენ, ძიუდოს კიდევ ერთმა სახელგანთქმულმა სპეციალისტმა ქრისტეფორე ნინიაშვილმა გვითხრა, ამ კაცს სპორტში კი არა, მეგობრობაშიც არ მოეძებნება სწორიო. ამის დასტურად საქართველოს სპორტის აკადემიის პროფესორმა, აკადემიკოსმა ავთანდილ ციბაძემ გაიხსენა, ამ რამდენიმე წლის წინათ ორიოდე პურისთვის ცივ ზამთარში რიგებში რომ ვათენებდით და ვაღამებდით, ბიძინამ თავისი მოწეული ხორბალი დაფქვა, ტომრები დატენა და თბილისში თავის მეგობრებს ჩამოგვირიგა, რამაც ორ თვეს თავი გაგვატანინაო.

ბიძინასთვის ჯერ ძიუდოა, მერე ოჯახიო, თქვა ერთმა. მართლაც, ბიძინა მაზიაშვილი ძიუდოზე ფიქრში ათენებს და აღამებს. ძიუდოსთვის ათას ვინმეს აწუხებს და აწრიალებს, ხან კიმონოებზე დარბის, ხან დარბაზის ასაშენებლად, ხან შეკრების ჩასატარებლად თუ შეჯიბრებაზე გასამგზავრებელი ფულის საშოვნელად, მაგრამ იმას ვერ დავეთანხმებით, ამ კაცისთვის ჯერ ძიუდოა, მერე ოჯახიო. ორივე წინა პლანზეა. მშვენიერი შვილები დაზარდა. ერთი მათგანი ჩვენი კოლეგაა. თავად ბატონ ბიძინას სურს, შვილიშვილიც მის კვალს გაჰყვეს.



გახსოვს?.. რაფაელ ჩიმიშკიანი და ოთარ ქორქია

ახლა სახლი და კარ-მიდამო ნახეთ, მარანი კი ხომ მართლაც საარაკო ჰქონია. იქ, იმ მარანში გაშლილ ტაბლასთან ბევრი რამ შეიძლება მოისმინოთ. თუმცა, იმ დღეს მოგონებები ბიძინა მაზიაშვილის სახლის ვეება აივანზეც მრავლად იყო და მეზობლისაზეც, სადაც ასევე სუფრა გაეშალათ.

მოგონებათაგან უმეტესობა თავშესაქცევი და სალაღობო იყო.

ერთხელ ბიძინა მაზიაშვილს „დინამოს" საკავშირო პირველობაზე გუნდი წაუყვანია. ერთი მოჭიდავე, მწვრთნელის წონისა, ავად გამხდარა, ბიძინას კი გუნდის ინტერესებისთვის კიმონო გადაუცვამს, გასულა ტატამზე და „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი კიდევ ერთხელ გამხდარა.

მაშინ 40 წლისა ყოფილა ბიძინა.

გურამ პაპიტაშვილმა, ვინც მაზიაშვილთან ერთად საქართველოში ძიუდოს პატრიარქად ითვლება, გვითხრა, ეს ჩვენი ზოგი სპორტსმენი შეჯიბრების დღეებში რომ დაგლახავდება და გაიძახის, აი, გრიპი მაქვს, აი, სურდო მაქვს, აი, სიცხე მაქვს და სარბიელზე ვერ გამოვალო, ბიძინასგან უნდა აიღონ მაგალითი. ამ კაცს, ჯავარი წერია და, არაფერი ემართება. დადის აჯიკითა და გუდის ყველით მთელს მსოფლიოში და კაჟივითაა.

ჰო, იქ, იმ გაშლილ სუფრაზე, ჩიტის რძეც რომ არ აკლდა, ერთმა ახირებულმა სტუმარმა... ნიორი მოისაკლისა. მეორემ კი მიუგო, აბა, ნიორს სუფრაზე როგორღა მოიტანდა, სულ იაპონიაში გაზიდაო.

იაპონიაში გაზიდულმა ნიორმა და გუდის ყველმა ერთი ისტორია გაგვახსენა — სადღაც, უცხოეთში, სასტუმროში მიბრუნებული ბიძინა მაზიაშვილი და მისი ამალა თურმე ხედავს, რომ ერთი ალიაქოთია ამტყდარი. იქიდან სტუმრები გამოესახლებინათ და რაღაც სპეციალური დანიშნულების რაზმი აირწინაღებით დარბის და ხელსაწყოებით რაღაცას გამალებული ეძებს. ხელსაწყოებმა ისინი ბიძინას ნომერში მიიყვანა. იქიდან საშინელი სუნი გამოდიოდა, იმ სუნს კი ცელოფანში გახვეული რაღაც უბედურება აფრქვევდა. ის რაღაცა მაშით აიღეს, კონტეინერში ფრთხილად ჩადეს, ხელის კანკალით მოხუფეს და გააქანეს. გააქანეს და ბიძინაც დაედევნა ყვირილით, რას შვებით, ხალხო, სად მიგაქვთ, ყველია, გუდის ყველია, ამაზე უკეთესი ყველი მთელს დედამიწაზე არ მოიძებნებაო, მაგრამ ვინ ათხოვა ყური.

ამ თავგადასავლის მსგავს ისტორიასაც იხსენებენ: ისევ უცხოეთი, ისევ სასტუმრო, ისევ განგაში და ისევ ალიაქოთი. აირწინაღებიანი, ნაჯახებითა და ბრანდსპოიტებით შეიარაღებული მეხანძრეები გულისხეთქებით იჭრებიან ერთ-ერთ ნომერში, იქ კი მათი მოულოდნელი შევარდნით გაოცებულ კაცს ხედავენ. ის კაცი, რა თქმა უნდა, ბიძინა მაზიაშვილია.

თურმე უფიქრია, ამ ჩემს ბიჭებს რესტორანში ამათი უგემური მენიუ მშიერს დამიტოვებსო. ამიტომ ამდგარა და თავისი ბალონით უყიდია გაზქურა, ქვაბი, ბლომად ხორცი, აუტანია ნომერში და ხაშლამა აუთუხთუხებია. აუთუხთუხებია და მალე ოხშივარიც ავარდნილა. იმ ოხშივარს ნომერში ჩამონტაჟებული სახანძრო განგაშის სიგნალი აუკივლებია...

მოკლედ, ბიძინა მაზიაშვილი და მისი გუნდი სასტუმროდან გამოუსახლებიათ.

მოგონებები, მოგონებები...

— დიმიტრიჩ, ახლა ბაზალეთის ამბები არ მოგვაყოლო, თორემ... ერთი-ორჯერ დაემუქრნენ ბიძინა მაზიაშვილს მეგობრები იმ საზეიმო სუფრაზე და შანტაჟმა გასჭრა.

ნეტა რა მოხდა ბაზალეთზე?

ამას, ალბათ, მომდევნო იუბილეზე შევიტყობთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი.

II ბუნდესლიგა. XXXIII ტური

3 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| დიუსელდორფი — ლაიპციგი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| ვატენშაიდი — ფრაიბურგი | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| ზანქტ პაული — მეპენი | 1,25 | 4,7 | 7,5 |
| მაინცი — ურდინგენი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| კიკერსი — ნიურნბერგი | 4,7 | 2,4 | 1,9 |
| ფიურტი — უნტერჰახინგი | 2,3 | 2,3 | 3,5 |
| ცვიკაუ — აინტრახტი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ფორტუნა — კარლ ცაისი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| კოტბუსი — გიუტერსლო | 3,6 | 2,7 | 2,0 |

### რუსეთის ჩემპიონატი.

X ტური

3 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| როტორი — კრილია | 1,25 | 4,0 | 8,0 |
| შინიკი — ურალანი | 1,7 | 2,9 | 4,4 |
| ჩერნომორეცი — ალანია | 3,8 | 3,2 | 1,6 |
| ზენიტი — ჟემჩუჟინა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ლოკომოტივი — დინამო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ცსკა — ტიუმენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ტორპედო — ბალტიკა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| როსტსელმაში — სპარტაკი | 2,6 | 2,8 | 2,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი.

VI ტური

2 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ემენი — ვალვაიკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ეინდჰოვენი — დენ ჰააგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| დენ ბოსხი — გრონინგენი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ცვოლე — კამბური | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ამხანაგური მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ივნისი | | | |
| შვედეთი — იტალია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ავსტრია — ლიხტენშტაინი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 3 ივნისი | | | |
| იუგოსლავია — იაპონია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| რუმინეთი — პარაგვაი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| მალტა — უელსი | 4,4 | 3,4 | 1,6 |
| ხორვატია — ირანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ბელგია — კოლუმბია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ესპანეთი — ჩრდ. ირლანდია | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 ივნისი | | | |
| ბრაზილია — შოტლანდია | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მაროკო — ნორვეგია | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 1:0 | 2,3 | 3,2 | 2,0 |
| 11 ივნისი | | | |
| იტალია — ჩილე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| კამერუნი — ავსტრია | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 12 ივნისი | | | |
| საუდეთი — დანია | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| 1:0 | 2,3 | 3,2 | 2,0 |
| საფრანგეთი — ს. აფრიკა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| პარაგვაი — ბულგარეთი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ესპანეთი — ნიგერია | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 13 ივნისი | | | |
| კორეა — მექსიკა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ჰოლანდია — ბელგია | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 14 ივნისი | | | |
| იუგოსლავია — ირანი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| გერმანია — აშშ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,5 | 3,4 |
| არგენტინა — იაპონია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| იამაიკა — ხორვატია | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 1:0 | 2,9 | 3,2 | 1,8 |
| 15 ივნისი | | | |
| ინგლისი — ტუნისი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| რუმინეთი — კოლუმბია | 2,0 | 2,9 | 3,5 |

| ჩემპიონი | | (ფინალში გასვლა) |
|---|---|---|
| ბრაზილია | 4,0 | (2,0) |
| გერმანია | 4,0 | (2,0) |
| საფრანგეთი | 5,0 | (3,0) |
| იტალია | 5,0 | (3,0) |
| ინგლისი | 6,0 | (3,0) |
| არგენტინა | 10,0 | (5,0) |
| ჰოლანდია | 15,0 | (7,0) |
| ესპანეთი | 15,0 | (7,0) |
| იუგოსლავია | 25,0 | (15,0) |
| ნორვეგია | 25,0 | (15,0) |
| ნიგერია | 50,0 | (25,0) |
| ხორვატია | 50,0 | (25,0) |
| რუმინეთი | 50,0 | (25,0) |
| დანია | 50,0 | (25,0) |
| კოლუმბია | 50,0 | (25,0) |
| ბელგია | 75,0 | (40,0) |
| ჩილე | 75,0 | (40,0) |
| შოტლანდია | 75,0 | (40,0) |
| მექსიკა | 75,0 | (40,0) |
| ბულგარეთი | 75,0 | (40,0) |
| ავსტრია | 100,0 | (50,0) |
| აშშ | 100,0 | (50,0) |
| პარაგვაი | 100,0 | (50,0) |
| კამერუნი | 200,0 | (100,0) |
| ს. აფრიკა | 200,0 | (100,0) |
| მაროკო | 200,0 | (100,0) |
| ტუნისი | 500,0 | (250,0) |
| კორეა | 500,0 | (250,0) |
| იამაიკა | 500,0 | (250,0) |
| საუდეთი | 1000,0 | (500,0) |
| ირანი | 1000,0 | (500,0) |
| იაპონია | 1000,0 | (500,0) |

ფინალში გასვლაზე შეიძლება გადამრავლდეს ორი გუნდის კოეფიციენტი

### ჯგუფში I ადგილი

(ფრჩხილებში ჯგუფიდან გასვლა)

| | | |
|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | |
| ბრაზილია | 1,1 | (1,01) |
| ნორვეგია | 5,0 | (1,6) |
| შოტლანდია | 12,0 | (2,2) |
| მაროკო | 40,0 | (6,0) |
| **B ჯგუფი** | | |
| საფრანგეთი | 1,15 | (1,01) |
| დანია | 5,0 | (1,5) |
| ს. აფრიკა | 20,0 | (2,5) |
| საუდეთი | 75,0 | (6,0) |
| **C ჯგუფი** | | |
| ჰოლანდია | 1,3 | (1,05) |
| ბელგია | 4,5 | (1,4) |
| მექსიკა | 6,0 | (2,0) |
| კორეა | 50,0 | (5,0) |
| **D ჯგუფი** | | |
| ინგლისი | 1,3 | (1,01) |
| რუმინეთი | 4,0 | (1,5) |
| კოლუმბია | 7,0 | (1,8) |
| ტუნისი | 75,0 | (8,0) |
| **E ჯგუფი** | | |
| იტალია | 1,15 | (1,01) |
| ჩილე | 8,0 | (1,8) |
| ავსტრია | 9,0 | (2,0) |
| კამერუნი | 10,0 | (2,5) |
| **F ჯგუფი** | | |
| ესპანეთი | 1,5 | (1,05) |
| ნიგერია | 3,5 | (1,6) |
| ბულგარეთი | 6,0 | (2,3) |
| პარაგვაი | 20,0 | (3,5) |
| **G ჯგუფი** | | |
| გერმანია | 1,15 | (1,01) |
| იუგოსლავია | 4,0 | (1,05) |
| აშშ | 50,0 | (3,5) |
| ირანი | 100,0 | (10,0) |
| **H ჯგუფი** | | |
| არგენტინა | 1,4 | (1,01) |
| ხორვატია | 2,5 | (1,1) |
| იამაიკა | 75,0 | (6,0) |
| იაპონია | 75,0 | (6,0) |
| | | |
| ბომბარდირი | 5,0 | |
| ანგარიში | 5,0 | |

### ბურთების რაოდენობა I ტურში:

| 31 და ნაკლები | 32-36 | 37-41 | 42-46 | 47-51 | 52-56 | 57-61 | 61 და მეტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8,0 | 5,0 | 3,0 | 1,8 | 1,8 | 3,0 | 5,0 | 8,0 |

### რამდენ ქულას დააგროვებს ჯგუფში?

| | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 1000,0 | 500,0 | 100,0 | 25,0 | 12,0 | 6,0 | 5,0 | 1,8 | 1,6 |
| იტალია | 500,0 | 250,0 | 50,0 | 15,0 | 10,0 | 5,0 | 3,0 | 1,8 | 1,8 |
| საფრანგეთი | 1000,0 | 500,0 | 75,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 | 4,0 | 1,8 | 1,8 |
| ესპანეთი | 500,0 | 100,0 | 25,0 | 15,0 | 7,0 | 4,0 | 4,0 | 2,0 | 2,0 |
| ჰოლანდია | 500,0 | 100,0 | 25,0 | 15,0 | 7,0 | 4,0 | 4,0 | 2,0 | 2,0 |
| გერმანია | 1000,0 | 500,0 | 100,0 | 50,0 | 15,0 | 8,0 | 4,0 | 1,8 | 1,6 |
| ინგლისი | 500,0 | 100,0 | 25,0 | 15,0 | 7,0 | 4,0 | 4,0 | 1,8 | 1,8 |
| არგენტინა | 1000,0 | 500,0 | 100,0 | 25,0 | 10,0 | 4,0 | 4,0 | 1,8 | 1,6 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# შავი თეთრმა დააფრთხო

**ROLAND GARROS 98**

კაცების მესამე წრეში ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი მოხდა: ესპანელმა ალექს კორეტხამ და არგენტინელმა ერნან გუმიმ დიდი სლემის ტურნირების ისტორიაში ყველაზე გრძელი მატჩი ითამაშეს, რომელმაც არც მეტი არც ნაკლები 5 საათისა და 30 წუთის გასტანა. ჩოგბურთელებმა შეხვედრა შაბათ საღამოს დაიწყეს, მაგრამ თავსხმა წვიმის გამო იგი სწორედ იმ დროს გადაიტანეს საკვირაოდ, როდესაც კორეტხას მეოთხე ხელში სეტ-პოინტი ჰქონდა 5:4-ზე.

სარეკორდო ნუსხაში მოხვედრა მთლიანად ესპანელის დამსახურებაა: იგი მეოთხე ხელში 5:0-ს იგებდა, მეხუთეში — 5:1-ს, მაგრამ ერთგან სეტ-პოინტები და მეორეგან მატ-პოინტები უნიჭოდ გაანიავა და კორტზე საჭიროზე გაცილებით მეტი ოფლისღვრაც მოუხდა. თუმცა, მეორე მხრივ, არც რეკორდის დამყარება უნდა იყოს ურიგო, მით უმეტეს, რომ მეთოთხმეტედ განთესილმა მერვედფინალში გაღწევა მაინც მოახერხა 6:1, 5:7, 6:7(4:7), 7:5, 9:7.

„მაინცდამაინც კარგად არ მითამაშია, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლე. ახლა შევეცდები, ეს შეხვედრა თავიდან ამოვიგდო — საშინლად დავიღალე, ხვალ კი მორიგი მატჩი მელის“ — განაცხადა კორეტხამ, რომელიც თამაშის დამთავრების შემდეგ თავის მეგობარ გუმის ბადესთან გადაეხვია, კორტიდან კი ლამის გასატანი შეიქნა. „იგი შესანიშნავი პიროვნებაა. ბადესთან წარმატებები ვუსურვე, გამეხარდება, თუ ამ ტურნირს მოიგებს“ — თქვა არგენტინელმა, რომელმაც ისიც დაუმატა, ამდენი ხანი თუ ვითამაშეთ, ვერც ვიგრძენი, ალბათ, იმიტომ, რომ ორ დღედ გაგვეწელაო.

განთესილთა უიღბლობა არც მესამე წრეში დასრულებულა. ამერიკელებს მათი ერთადერთი შემორჩენილი წარმომადგენლის — მაიკლ ჩანგის იმედი ლა ჰქონდათ, მაგრამ 1989 წლის საფრანგეთის ღია პირველობის გამარჯვებულმა ესპანელ ფრანსისკო კლავეტს ვერაფერი მოუხერხა და ოთხ სეტში, 6:3, 6:7(5:7), 2:6, 4:6 დამარცხდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბოლო 25 წლის მანძილზე პირველად დიდი სლემის ტურნირის მერვედფინალში ერთი ამერიკელიც კი არ იქნება.



რონალდო კურნიკოვას ეკურკურა

გავარდა 1996 წლის უიმბლდონის გამარჯვებული, ჰოლანდიელი რიჩარდ კრაიჩეკიც, რომელიც თავისიანების გულშემატკივრობით შეგულიანებულმა სედრიკ პიოლინმა მოწოდებაზე ბრწყინვალე მიღებებით არ გაახარა, ბადესთან — არანაკლები შემოვლებებითა და აბრაგნებით და სამ სეტში, 6:3, 6:2, 7:5 მოუგო.

ტურნირის მთავარ ფავორიტს — ჩილელ მარსელო რიოსს გარკვეულწილად გაუმართლა. იგი, მესამე წრეში სამხრეთაფრიკელ უეინ ფერერას ხვდებოდა, რომელიც ბობოლების განაწყენების ოსტატი გახლავთ (წლეულს სამპრასის, რაფტერისა და თავად რიოსის გამწარება მოუსწრია). სწორედ მაშინ, დიდი ბრძოლა რომ ჩაღდებოდა, წითურა, ჭორფლიანმა ფერერამ ბურთის დასაწევად თავი გადადო, ფეხი უშნოდ დადგა და იმავ წამს კორტზე გორაობასაც მოჰყვა — როგორც აღმოჩნდა, სამხრეთაფრიკელმა კოჭი იღრძო. იგივე ტრავმამ მას შარშან რამდენიმე თვე გააცდენინა და სეზონის ბოლოს ოპერაციის გაკეთებაც დასჭირდა. ფერერამ ასპარეზი ასკინკილით დატოვა, რიოსი კი მერვედფინალში 6:1, 3:3-ით გავიდა.

**მესამე წრე: მარატ საფინი (რუსეთი) — დანიელ ვაჩეკი (ჩეხეთი) 6:3, 3:6, 6:3, 7:5; ალბერტ კოსტა (13, ესპანეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:3, 6:3, 6:0; რამონ დელგადო (პარაგვაი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 2:6, 7:6(7:4), 6:4, 7:6(9:7); ფელიქს მანტია (15, ესპანეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 4:6, 6:2, 6:2, 7:5; ალბერტო ბერასატეგი (16, ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:7(2:7), 6:3, 7:5, 7:5.**

თუ ფავორიტი კაცები ტურნირის პირველ კვირაში პანტა-პუნტით ვარდებოდნენ, ქალებში ნამდვილი ბრძოლები მხოლოდ მერვედფინალებიდან გაჩაღდა.

უმცროსი და მეტად დაკუნთული უილიამსის — სერენასა და როლან გაროსის ორგზის გამარჯვებულის, არანჩა სანჩეს-ვიკარიოს შეხვედრამ მეტად უსიამოვნო ელფერი მიიღო. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ პირველი სეტის ბოლოს ესპანელმა შემოკლებული დაარტყა, რომელსაც სერენამ რის ვაი-ვაგლახით მიუსწრო და ქულაც მოიგო, მაგრამ არანჩამ ჩათვალა, რომ ბურთი მანამდე მიწაზე ორჯერ დაეშვა და მსაჯს კამათი დაუწყო. ჩოგბურთელებს შორის ბადესთან საკმაოდ გაცხოველებული აზრთა გაცვლაც გაიმართა. უილიამსს თუ ვერწმუნებით, მას მეტოქისთვის „ბურთი ერთხელ დავარდაო“-ს მეტი არაფერი უთქვამს, თუ არანჩას დავუჯერებთ, იგი საკმაოდ უკმეხი სიტყვებით შეამკეს. ასეა თუ ისე, მატჩი გაგრძელდა, სერენამ პირველი სეტიც მოიგო და მეორეშიც დაწინაურდა, ამ დროს კი არანჩამ შესვენება ითხოვა და კორტზე სამგლოვიარო შავის ნაცვლად თეთრი კაბით დაბრუნდა. ესპანელის გარეგნობას ბევრი ვერც ახალმა სამოსმა შემატა, სამაგიეროდ, რატომღაც სერენა გაწყრა, სანჩესმა ჩათვალა, რომ თეთრი კაბა ჩემს წინააღმდეგ უფრო უკეთესი ტაქტიკა იქნებოდა (?) და ასეც აღმოჩნდაო.

კაბის ბრალი იყო თუ სხვა რამის, არანჩამ 3:5 ჩამორჩენა დაძლია და მესამე ხელში ანერვიულებულ მეტოქეს, შეცდომა შეცდომაზე დააშვებინა. მესამე სეტში დასაჩივლი უკვე ესპანელს გაუჩნდა — ბადესთან გასულს სერენამ ბურთი, ერთი შეხედვით, განზრახ დაუმიზნა სახეში და არანჩას თავი გაწევა რომ არ მოესწრო, შეიძლება გასაწევი არც არაფერი შერჩენოდა. საბოლოოდ, ესპანელმა მაინც მოიგო 4:6, 7:5, 6:3 და მეტოქეზე ავის თქმაც არ დავიწყნია: „ძალიან მიხარია, რომ დავამარცხე, გაკვეთილად გამოადგება, იგი ხომ არავის სცემს პატივს.“

მერვედფინალში დაუსრულდა პარიზული თავგადასავალი კიდევ ერთი 16 წლის ჩოგბურთელს — ანა კურნიკოვას. თუმცა ექსცესების გარეშე არც ამ მატჩს ჩაუვლია. კურნიკოვა მესამე სეტში იანა ნოვოტნასთან 0:4-ს აგებდა, როდესაც მსაჯს ჩამოღამების გამო შეხვედრის სახვალიოდ გადატანა სთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ისევე, როგორც უარი უთხრეს მომდევნო გეიმის შემდეგ კუთვნილ სამწუთიან შესვენებაზე — მსაჯმა იგი ლამის ძალით მოაბრუნა უკან. ჰოდა, ანამ თამაშისას სულ ცრემლები აღვარღვარა, თუმცა გეიმი მაინც მოიგო, მერე კი მატჩის გადატანა ნოვოტნამ ითხოვა და როდესაც ჩეხს ამაზე დაყაბულდნენ, სულ მთლად გადაირია.

მეორე დღეს შეხვედრამ მხოლოდ 13 წუთს გასტანა — ნოვოტნა მეოთხედფინალში 6:7, 6:3, 6:3 გამარჯვებით გავიდა.

**მერვედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 6:1, 6:2; ვინუს უილიამსი (8, აშშ) — ჰენრიეტა ნაგიოვა 6:1, 6:3; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — სანდრინ ტესტიუ (14, საფრანგეთი) 6:3, 4:6, 6:2; ივა მაიოლი (10, ხორვატია) — კონჩიტა მარტინესი (7, ესპანეთი) 7:6 (7:0), 6:7 (2:7), 6:3; მონიკა სელეში (6, აშშ) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:1, 6:4; პატი შნიდერი (შვეიცარია) — მაუი სერნა (ესპანეთი) 6:1, 6:3.**

პირველი ნამდვილი გამოცდა ელოდა მერვედფინალში მარსელო რიოსს — მისი მეტოქე შესანიშნავ ფორმაში მყოფი ესპანელი ალბერტ კოსტა (13) იყო. ეს ორი ერთმანეთს რომის ტურნირის ფინალშიც უნდა შეხვედროდა, მაგრამ ის მატჩი კოსტას ტრავმის გამო არ შედგა. თუმცა ამჯერად ტრავმირებულის მდგომარეობაში ჩილელი აღმოჩნდა: მარსელოს მატჩის განმავლობაში ხან სუნთქვა უჭირდა, ხან მარჯვენა ფეხს იტკიებდა, ხანაც მარცხენას, კორტზე ექიმსაც წამდაუწუმ არბენინებდა, მაგრამ თავსხმა წვიმაში ჩათავებული შეხვედრა გამარჯვებამდე მაინც მიიყვანა 4:6, 6:4, 6:3, 6:3, მერე, ყველასდა გასაოცრად (მე ნამდვილად პირველად ვნახე), გაიღიმა კიდეც და ზოგიერთ იღბლიანს ავტოგრაფიც უწყალობა.

თუმცა მარსელოს არც ის დავიწყნია, რომ ორიოდ დღის წინ ჟურნალისტებმა ზედიზედ მესამედ (რეკორდია) ლიმონის პრიზი სტკიცეს — ყველაზე უჟმური ხასიათისა და მტრულად განწყობილი ჩოგბურთელისთვის (ყველაზე კეთილგანწყობილის — ფორთოხლის პრიზი გუსტავო კუერტენს ერგო) და როცა მატჩის შემდეგ საფრანგეთის ტელევიზიის წარმომადგენელმა „ერთი სიტყვის“ თქმა სთხოვა, საკმაოდ უხიაკად ჩამოიშორა გზიდან, ფეხი მტკივა და შენი თავი სულაც არ მაქვსო.

მერვედფინალში კიდევ ერთი მარათონული, ხუთსეტიანი მატჩი გამართა ტურნირის აღმოჩენამ — 18 წლის მარატ საფინმა. 1,95 მეტრიანი რუსი ამჯერადაც ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ შეხვედრის ბოლოს თანდათან დაღლა დაეტყო, იქვე სედრიკ პიოლინი შესანიშნავად ათამაშდა და საფინის გამარჯვებათა სერიასაც წერტილი დაესვა — 7:5, 4:6, 6:7 (5:7), 6:4, 6:4. მატჩს რონალდოს მეთაურობით ლამის ნახევარი ბრაზილიის ნაკრები ესწრებოდა და კამერებს არც ის გამოპარვიათ, მსოფლიოს ბოლო ორი წლის საუკეთესო ფეხბურთელი მის ახლოს მჯდარ გაბადრულ ანა კურნიკოვას რომ ემუსაიფებოდა.

**მერვედფინალი: ტომას მუსტერი (ავსტრია) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:4, 6:7 (8:10), 6:3, 3:6, 6:3; მანტია — დელგადო 6:2, 6:2, 6:4; კარლოს მოია (12, ესპანეთი) — იენს ნიპშილდი (გერმანია) 6:3, 7:5, 3:6, 6:4; ჰიშამ არაზი (მაროკო) — ბერასატეგი 6:2, 6:4, 3:6, 6:3; კორეტხა — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 6:4, 6:4, 6:3; ფილიპ დევულფი (ბელგია) — კლავეტი 7:5, 6:3, 6:1.**

**ავთანდილ სვანიძე**



ალექს კორეტხა და ერნან გუმი

**უგრძესი მატჩები**

ამერიკის ღია პირველობაზე

1992 წლის ნახევარფინალი — სტეფან ედბერგსა და მაიკლ ჩანგს შორის — 5 საათი და 26 წუთი

ავსტრალიის ღია პირველობაზე

1991 წლის მეორე წრე — ბორის ბეკერსა და ომარ კამპორეზეს შორის — 5 საათი და 11 წუთი

უიმბლდონზე

1982 წლის ფინალი — ჯიმი კონორსსა და ჯონ მაკინროის შორის — 4 საათი და 16 წუთი

როლან გაროსი (ექს-რეკორდი)

1982 წლის ფინალი — მატს ვილანდერსა და გილერმო ვილასს შორის — 4 საათი და 42 წუთი

აბსოლუტური რეკორდი

1982 წლის დევისის თასის ნახევარფინალი — ვილანდერსა და მაკინროის შორის — 6 საათი და 22 წუთი

**ალექს კორეტხა — ერნან გუმი 6:1, 5:7, 6:7(4:7), 7:5, 9:7**

| | კორეტხა | გუმი |
|---|---|---|
| პირველი მოწოდები % | 59 | 68 |
| ეისები | 13 | 1 |
| ორმაგი შეცდომები | 5 | 5 |
| პირველ მოწოდებაზე მოგებული ქულები | 82/126-დან — 65% | 74/131-დან — 56% |
| მეორე მოწოდებაზე მოგებული ქულები | 43/85-დან — 50% | 30/60-დან — 50% |
| სუფთად მოგებული ქულები | 111 | 107 |
| უნებლიე შეცდომები | 83 | 101 |
| ბრეიკ-პოინტების გამოყენება | 12/32-დან | - 9/25-დან |
| სულ მოგებული ქულები | 212 | 190 |
| დრო | 5 საათი და 30 წუთი | |



**GIRO D'ITALIA 98**

მე-15 ეტაპი. ტრიესტი. სიჩაუქის გამოცდა. 40 კმ

ალექს ცულე სიჩაუქის გამოცდის სპეციალისტად ითვლება, ამიტომ კვირას მისგან ყველა გამარჯვებას ელოდა და საოვალიანმა შვეიცარიელმაც გულშემატკივრებს იმედები იოტისოდენადაც არ გაუცრუა — კარიერაში ყველაზე სწრაფად ირბოლა და ჯიროს 4 წლის წინანდელ რეკორდი — 52 კმ/სთ ერთბაშად 1,7 კმ/სთ-ით გააუმჯობესა, და ეს იმის მიუხედავად, რომ ტრასის შუაში გვარიანი აღმართიც იყო დასაძლევი. ცულემ უახლოეს მდევარს — სიჩაუქის გამოცდაში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ სერგეი გონჩარს თითქმის მთელი წუთით აჯობა და საერთო ჩათვლაშიც თავისი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

**მე-15 ეტაპი. 1. ცულე — 44, 38; 2. გონჩარი + 53; 3. პაველ ტონკოვი (რუსეთი) +1,22; 4. ხუან კარლოს დომინგესი (ესპანეთი) +2,00; 5. მიქელე ბარტოლი (იტალია) +2,11.**

მე-16 ეტაპი. უდინედან ასიაგომდე. 236 კმ

რბოლის ლიდერები ამჯერად ერთმანეთის თვალთვალსა და ტაქტიკურ თამაშებში ისე გაერთნენ, რამდენიმე მრბოლის შეტევას ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს და მაშინღა გამოერკვნენ, გაქცეულები 16 წუთით რომ დაწინაურდნენ, რაც ამ უკანასკნელთაგან ერთს — პაოლო ბეტინის ლიდერის, ვარდისფერი მაისურის მორგების შესაძლებლობასაც კი მისცემდა. გამალებული დევნის შედეგად საბოლოო ჩამორჩენამ „მხოლოდ“ 11 წუთი და 46 წამი შეადგინა, თუმცა პელეტონმა ფინიშის ხაზი მაშინღა გადაკვეთა, ეტაპის გამარჯვებულს — 33 წლის იტალიელ ფაბიანო ფონტანელის პოდიუმზე ასვლა და შამპანურის გახსნაც რომ მოესწრო.

**მე-16 ეტაპი: 1. ფონტანელი — 5:53,53; 2. ბეტინი; 3. მარიო შირეა (იტალია) — იგივე დრო; 4. მარიანო პიკოლი (იტალია)17,5; 5. ანდრეა ფარიგატო (იტალია) — იგივე დრო.**

**საერთო ჩათვლა: 1. ცულე — 73:51,28; 2. ტონკოვი 12,02; 3. ბეტინი 13,29; 4. მარკო პანტანი (იტალია) 13,48; 5. ჯუზეპე გერინი (იტალია) 14,21.**

**ლაშა ლომჯარია**


**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია

**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული

**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე

**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29


## ჰოკეი

**'98 NHL Playoffs**

### აღმოსავლეთი

**ბუფალო 1 ვაშინგტონი 3**

30 მაისი

**ბუფალო — ვაშინგტონი 0:2**
**0:0, 0:0, 0:2**

**შაიბები: ბერუბი 1 (ჰაუსლი, ჰანტერი 43) (0:1), ჟიუნო 5 (ოუთსი 54) (0:2)**

დომინიკ ჰაშეკმა წლეულს იმდენი მატჩი მოიგო, ერთის წაგება ნამდვილად ეპატიება. თუმცა მაინცდამაინც გადამწყვეტ შეხვედრაში უმტყუნა თავისიანებს. ვაშინგტონელებთან სრულიად თანაბარ ორთაბრძოლაში მან ორი საბედისწერო შეცდომა დაუშვა და თუ ბერუბის კარიერაში პირველ საპლეიოფო გოლში (59 თამაშში) ნაწილობრივ დაიდო ბრალი, ჟიუნოს მოედნის ცენტრიდან დარტყმულის მოგერიება არ უნდა გასჭირვებოდა. სამაგიეროდ, მისმა დედაქალაქელმა კოლეგამ ოლაფ კოლციგმა კიდევ ერთი საუცხოო მატჩი (30 მოგერიება) მიითვალა.

### კონფერენციების ფინალი

### დასავლეთი

**დეტროიტი 3 დალასი 1**

29 მაისი

**დეტროიტი — დალასი 5:3**
**2:0, 2:1, 1:2**

**შაიბები: ჯილკრისტი 2 (აიზერმანი, ლიდსტრიომი 6) (1:0), ლიდსტრიომი 4 (ლარიონოვი, მერფი 13) (2:0), ლიდსტრიომი 5 (მერფი 25) (3:0), მაკოუნი 2 (ჰოლმსტრიომი, ლარიონოვი 26) (4:0), ლეჰტინენი 2 (34) (4:1), ლეჰტინენი 3 (მოდანო 45) (4:2), მოდანო 4 (ლანგებრუნერი, ლეჰტინენი 48) (4:3), ლაპოინტი 7 (კოზლოვი 56) (5:3).**

დალასს, შესაძლოა, არც ახლა გაეშვა 2 შაიბაზე მეტი (მანამდე ზედიზედ 10 ასეთი მატჩი ჩაატარა, რაც ნჰლ-ის რეკორდია), რომ არა მეკარე ედ ბელფორის უხეირო თამაში. 26-ე წუთამდე სტუმართა კარში გატანილი 4 გოლიდან 2 მისი „დამსახურება“ იყო, ხოლო როცა დალასელებმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს, ბელფორი კიდევ ერთხელ შეცდა — კარი უმეთვალყურეოდ დატოვა და შაიბა პირდაპირ კოზლოვს მიაწოდა. დეტროიტელიც არ დაიბნა და ლაპოინტი აზეირა.

31 მაისი

**დეტროიტი — დალასი 3:2**
**2:0, 0:1, 1:1**

**შაიბები: მოლტბი 3 (8) (1:0), აიზერმანი 4 (13) (2:0), ვერბიკი 3 (25) (2:1), ზუბოვი 4 (ლეჰტინენი, სიდორი 41) (2:2), კოზლოვი 6 (მერფი, აიზერმანი 52) (3:2).**

1997 წლის 13 ივნისის ავტოკატასტროფის შემდეგ დეტროიტის „ჯო ლუის არენაის“ ტრიბუნაზე პირველად გამოჩნდნენ გუნდის მცველი ვლადიმერ კონსტანტინოვი და მასაჟისტი სერგეი მნაცაკანოვი. ცხადია, „წითელფრთიანებს“ მათ თვალწინ თავის შერცხვენა არ სურდათ და ამიტომაც იყო, რომ ერთობ მობილიზებულად და საიმედოდ ითამაშეს. ახლა თასის ფინალამდე სულ ერთი ნაბიჯია.

**სამველ ლარიბიანი**